აკაკი გელოვანი

ვატიკანის უკანასკნელი ასი წელი

ნატირული პამფლეტი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი — 1973 წ.

Г 2+2 (4)
899.962.1—7+282 (45)
ბ 305

აკაკი გელოვანის ნაშრომი „ვატიკანის უკანასკნელი ასი წელი“ თავისებური მხატვრულ-სატირული პამფლეტია, რომელშიაც მწერალი ყველასათვის გასაგები და საინტერესო ფორმით გადმოგვცემს თანამედროვე რეაქციის ერთ-ერთი ბურჯის — ვატიკანის საქმიანობის მთელ არსს, მის ძირითად, არსებით, ნიდაბახდილ ისტორიას.

წიგნში თავმოყრილი, გაანალიზებული, განზოგადებული და სატირის ცეცხლში გახვეულია ის ბნელი საქმეები, რომლებიც ვატიკანიდან გამოსულან ასი წლის განმავლობაში.

მშრალი ფაქტების სატოვანი გადმოცემითა და სატირულ-იუმორისტული იარაღის მარჯვედ გამოყენებით ავტორი ისახავს საკმაოდ რთულ მიზანს: ყველასათვის მიმზიდველ საკითხავ წიგნად აქციოს სერიოზული პოლიტიკური მოვლენების ისტორია.

АКАКИЙ ПЛАТОНОВИЧ ГЕЛОВАНИ

ВАТИКАН ЗА ПОСЛЕДНИЕ СТО ЛЕТ

Сатирический памфлет

(На грузинском языке)

Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси, 1972

ვატიკანი — რეაქციის ბუნაგი

● მარადიული რომის მფეთქავ გულში, ძველ საიმპერიო ციხე-გალავანსა და პეტრეს მოედანს შორის, მეხუთე გორაკის თავზე, ხელოვნების ტიტანთა აშენებული ტაძარია. იქვეა მისი უწმინდესობის, რომის პაპის აპარტამენტები. მთავარი შესასვლელის წინ მაღალი ჭადრაკული კიბეებია. პაპი სასახლიდან ჭადრაკს ეთამაშება კაცობრიობას! ეს თამაში ხშირად წაუგია, მაგრამ უფრო ხშირად მოუგია. ოღონდაც! მას ხომ ღმერთი ეხმარება! ღმერთი, რწმენა, უმეცრება... უმეცრებასთან ბრძოლა კი არც ისე იოლია.

ამრიგად: არც ოლიმპზე, არც ბროკენის მთაზე, არც სადმე სინაიზე — რომის ერთ-ერთ ლამაზ გორაკზეა აშენებული ქრისტეს მოადგილეთა ცათა სწორი ტაძარიც, პაპთა სასახლეც, და ისტორიამ მას უწოდა მსუსხავი სახელი — ვატიკანი. განა ეს სიტყვა კლასიკურად არ ჟღერს?

პაპის სასახლეს ათასზე მეტი დარბაზი და ოთახი აქვს, კრიტოსის მრისხანე მეფის ლაბირინთი მოგაგონდებათ. მთელს ვატიკანში რაღაც ცხრაასი, სულ დიდი ათასი სული მოსახლეა, მაგრამ კათოლიკური მსოფლიოს ეს შავი შტაბი 620 მილიონამდე მორწმუნის სულსა და ხორცს განაგებს. მართალია, ეს ციფრი ცოტა გაბერილია. კათოლიკედ მონათლული ყველა ყრმა ხომ ბოლომდე კათოლიკედ არა რჩება, თორემ ასე ხომ თვით ბრუნო, დიდრო, ვოლტერი კათოლიკური წესით მონათლეს! მაგრამ ასეა თუ ისე, კათოლიკური სარწმუნოების მიმდევართა რიცხვი განუზომელია და ვატიკანს საქმე ყელამდე აქვს. წარმოვიდგინოთ შავი არმია, რომელშიაც ირიცხება 435 000 მღვდელი, 335 000 ბერი და 1 063 000 მო-

ნაზონი, 35 700 იეზუიტი, 15 700 კაპუცინი, 12 000 ბენედიქტინელი....

ვატიკანი არ აცხადებს თავის სიმდიდრეს, მაგრამ მარტო მისი ვალუტისა და ოქროს მარაგის ჯამს 12 000 000 000 დოლარამდე ანგარიშობენ*. მარტო დასავლეთ გერმანიაში კათოლიკური ეკლესია 18 მილიონ ცალ ბეჭდურ გამოცემას უშვებს. ასეთი ტირაჟი გოეთეს შეშურდებოდა!

ვატიკანის საიდუმლო არქივს უეანგავი კლიტე-ურდული ადევს. შეგიძლიათ შეხვიდეთ, ილოცოთ თუნდაც მთელი დღე, ნახოთ მუზეუმი, ხელოვნების საგანძური. შიგნით კი, პაპის სასახლის ლაბირინთებში არაფერი გესაქმებათ, თორემ შეიძლება მინოტავრს შეეყაროთ. რომის პაპი იტალიის რესპუბლიკასაც არ აძლევს თავის საქმეებში ჩახედვის ნებას.

უხსოვარ წარსულში აშენდა და არაერთხელ დამშვენდა პეტრეს ტაძარი. მათეს სახარებაში იესო ეუბნება პეტრეს, რაც ბერძნულად „ქვას" ნიშნავს: „და მე გეტყვი შენ: რამეთუ შენ ხარ ქალდე და ამას ქალდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას". ასეთია ლეგენდა. ქრისტეს სიტყვა გამართლდა: ქალდეზე მყარი ტაძარი აშენდა, მაგრამ ტაძარში ჯოჯოხეთი გაიმართა, და ამ ჯოჯოხეთის ცოდვის კითხვამ ვერ დაანგრია ქალდეზე ნაგები ტაძარი.

სასახლესთან ბაღია, ნამდვილი სამოთხე — განხორციელებული მხოლოდ მღვდელმსახურთათვის. ფორთოხლისა და ზეთისხილის დახუნძლული ტოტები მწვანე მოშრიალე-თაღსა ქმნიან, აკრძალულ ხეხილზე გასულა და მაცდურ თვალებს ნაბავს ტიაროსანი „პაპე სატან", რომელიც იმდენჯერ იცვლის სახეს, რამდენი პაპიც ტახტზე ადის. ათეისტები კი გვარწმუნებენ: ბიბლიური სამოთხე ზღაპარიაო! ზღაპარია ის მისთვის, ვისთვისაც ედემის კარები ჩაკეტილია, მაგრამ ვისაც სამოთხის გასაღები ხელში უჭირავს, იმას სხვა მოსაზრება აქვს.

ბაღში სკოლაცაა. აქვეა რადიოსადგური, რედაქცია, პოლიკლინიკა, მაღაზიები, სადაც ფასები საოცრად დაბალია, არის იაფი ბენზინი, რაც იტალიაში საერთოდ ძნელად იშოვება.

---

* 1952 წ. ანგარიშობდნენ 11 მილიარდ დოლარამდე (ნ. ი. ლავრეცკის „ვატიკანი", გვ. 173.).

ვატიკანი დაუფარავად ერევა პოლიტიკურ საქმეებში და სახარებას იმოწმებს: იესო ქრისტე ზრუნავდა არა მარტო სულისათვის, არამედ ხორციელი ადამიანისთვისაც. პიუს XII აშკარად აცხადებდა: „ეკლესიის ძალაუფლება სულაც არ შემოიფარგლება რელიგიური საქმეებით, როგორც ზოგიერთები ფიქრობენო“.

ვატიკანის პოლიტიკური პროგრამა შეუთავსებელსა და შეუძლებელს ითხოვს: „საყოველთაო მშვიდობა“ და „ხალხთა ერთიანი ოჯახი“ იმ სახით, სადაც იქნებიან მდიდრები და ღარიბები, მაშასადამე მჩაგვრელნი და ჩაგრულნი, მაგრამ არ იქნება კლასთა ბრძოლა. ეს მარტივი და სასარგებლო პოლიტიკაა, ოღონდ ვისთვის, საკითხავი ეს არის. ამავე პოზიციაზე დგას პავლე VI ენციკლიკაში „პოპულარუმ პროგრესიო“. აქ გატარებულია ის აზრი, რაც იოანე XXIII — რონკალიმ განაცხადა და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა: ადამიანი არის არა პასიური ქმნილება, არამედ ღმერთის უსასრულო სიდიადის გამომხატველი, ძლიერი მოაზროვნე, მეუფე დედამიწისა, „თავისი წარმატების მთავარი შემოქმედი“, მთელი ჩვენი ცხოვრების ცენტრი... შუა საუკუნეების პესიმისტურ ფილოსოფიასთან შედარებით ეს ნამდვილი წინსვლაა, ნიშანი იმისა, რომ ადამიანი მართლაც მძლავრი შემოქმედია, ეკლესიის მეთაურებსაც რომ უცვლის აზრებს.

მაგრამ „ადამიანის სიდიადის“ ეს აღიარება მხოლოდ ცდაა, რომ ეკლესია თანამედროვეობას შეურიგდეს. ეს ჩანს იოანე XXIII, პავლე VI გამოსვლებში და მსოფლიო ყრილობების გადაწყვეტილებებში; ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რამ „გააქრისტიანა“ ასე საქრისტიანოს მეთაურები.

სწორად შენიშნა ერთმა პადრემ: თანამედროვე ვითარებასთან ეკლესიის შეგუება, ესაა მისწრაფება, რომ არ ჩამორჩეს მატარებელს, რომელიც მომავალში მიდის. ჩამორჩენილებს თელავენ. პაპს არ სურს ზედ გადაუარონ. ყველა წინ მიდის და ისიც მიჰყვება.

* * *

წმინდა ტახტის მთელი ისტორია ესაა სიცრუის, ვერაგობის, ღალატის, ფარისეველობის ისტორია. უკანასკნელ ას წელს ეს ზნე არ შეუცვლია, მხოლოდ უფრო დახვეწა და შენიღბა.

რა სიკეთეს უნდა ელოდეს ხალხი გაბატონებული ბანდიტების ბანდისაგან, რომელიც მამას შვილის წინააღმდეგ აქეზებს, შვილს მამის დასმენას ასწავლის? განა მამის მკვლელი, დედის მომწამვლელი ფანატიკოსი ქვეყნისა და ხალხის ან იდეის ერთგული იქნება? რომის კლირის ეს ხასიათი მახვილი თვალით შეუნიშნავს ვანდა ვასილევსკაიას, „ვატიკანის შავი ლაშქრის" ავტორს, რომელიც 1949 წელს პაპის რომის ასეთ სურათს ხატავს: „აგერ, მიმოდიან, დაძვრებიან, დაძრწიან რომის ქუჩებში. გიყურებენ ვამომცდელი ჯაშუშური თვალებით, ყურები დაუცქვეტიათ. იოლად და მშვიდად გასცემენ აღსარების საიდუმლოს, ასწავლიან ბავშვებს მშობლების დასმენას, ცოლს—ქმრისას. ცდილობენ ყველა ღონისძიებით შეაღწიონ, შეიჭრან ცხოვრების ყველა ნასვრეტში, გააფორმონ და გადააკეთონ ეს ცხოვრება თავისებურად და თავიანთ სასარგებლოდ, საკუთარი შავი მიზნებისათვის თავს უყრიან სიმდიდრეს, რითაც მთელი მშიერი იტალიის რჩენა შეიძლებოდა".

ეკლესია უკარგავს ადამიანს საკუთარი ძალების რწმენას, ინიციატივას, თვით ადამიანობას, ლუკმის შემყურე ძაღლის დონეზე აყენებს ბუნების მეფეს. აი, დაჩოქილა ფანატიკოსი საკურთხეველთან და უნიჭო მხატვრის დახატულ სურათს შეჰღაღადებს: „მე ცოდვილი ვარ, უღირსი ვარ, მომიტევე, შემიბრალე, ღმერთო ჩემო!" ღმერთო ჩემო! რა თვითგვემაა, რა დამცირება და დაკნინება ადამიანური ღირსებისა და თავმოყვარეობისა! ეს მონური სული ტირანთა წინაშე ხოხვისა, ხატებთან ქედის მოხრისა იმდენადვე ძლიერია, რამდენადაც სულელური, და მას, ამ მავნე სულს, დღემდე კვებავს ვატიკანი, ასაზრდოებს რელიგია.

იაროსლავ გალანი მხატვრის ხელით ხატავს გენერალ ფრანკოს შეჭრას რესპუბლიკურ ესპანეთში და ვატიკანის როლს ამ საქმეში. კითხულობთ და გოიას ფუნჯი გაგონდებათ: „როცა იეზუიტების აღზრდილი გენერალი ფრანსისკო ფრანკო თავისი მავრების რაზმით ესპანეთში შეიჭრა, პირველად დახმარების ხელი გაუწოდა კათოლიკურმა „მეხუთე კოლონამ". ორმოცდაათი ათასი მღვდლის, თხუთმეტი ათასი ბერისა და ორმოცდაათი ათასი მონაზვნისაგან შემდგარმა — რესპუბლიკის მოძულე პარაზიტების ამ ასორმოცდაათი ათასიანმა არმიამ არსებობის პირველსავე დღეებში გვიჩვენა თავისი საზარელი ფაშისტური სახე. რესპუბლიკური მთავრობი-

სათვის რომ სახელი გაეტეხათ, მათ საკუთარი ხელით დაწვეს თავიანთი ეკლესიები და მონასტრები, ხოლო როცა კვამლისა და ცეცხლის სვეტები ცაში ავარდა, რათა ძველი არქიტექტურის ძეგლები ფერფლად ექცია, კათოლიკე პროვოკატორებმა ცეცხლის გაჩენა გადააბრალეს.. „კომუნისტებს". აი, ადამიანთა, იდეათა, ინტერესთა გიჟური შეტაკების უაზრო, სამწუხარო, უსაშველო შედეგები!

ამ მაგალითითაც დასტურდება, რომ ღმერთთან დავაში ეშმაკი მოგებული დარჩა: შავანაფორიან მსახურთა მთელი არმია ჰყავს, და საამისოდ მასავით შვილის შეწირვაც არ დასჭირდა — ქრისტეს მსახურთ იმსახურებს!

პაპი, როგორც ყოველი ტირანი, ამართლებს ჩაგვრას. წოდებები ღმერთმა შექმნა. რაც ღმერთს შეუქმნია, უცვლელია. ბიბლიურ ნოეს სამი შვილი ჰყავდა. ერთმა დასაბამი მისცა თავადაზნაურობას, მეორემ გლეხობას, მესამემ — სამღვდელოებას. ცხადია, იმ დროს ღმერთმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ შეიქმნებოდა მუშათა კლასი, ინტელიგენცია და ა. შ., თორემ პატრიარქს ხუთ შვილს მაინც აჩუქებდა.

* * *

ზღვას ჯებირებით ართმევენ მიწას, ეკლესიას ბრძოლით აგლეჯენ თავისუფლებას, და ეს ჭიდილი გრძელდება.

შუა საუკუნეებში პატიოსან დიასახლისს კუდიანობას დასწამებდნენ, ძროხის მონუსხვას დააბრალებდნენ, ცეცხლითა და მარწუხით აწამებდნენ, თავზე ფისს დაასხამდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ბრბო ეკლესიის მამების ასეთ „წყალობას" ღრიანცელით ხვდებოდა: კუდიანს ხომ კოცონი ელოდა! წმინდა სამსჯავრომ სასჯელი შეურბილა.

დღეს კუდიანობის სასამართლოს აღარ მართავენ, მაგრამ საიქიოს კუპრის ტბა ჯერაც არ დამშრალა და მისი შიშით ცდილობენ მონუსხონ მილიონები, რათა ეკლესიის კლანჭებს თავი ვერ დააღწიონ.

ეკლესიას ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში უწოდეს დიდი მეძავი. ფაქტიურად ის კუბოს უმზადებს კაცობრიობას, რომელიც ამ მეძავს საკუთარი სისხლით კვებავს, და იქცევა უმადური დედაკაცი-

ვით, რომელსაც ქმარმა სასახლე აუშენა და სამაგიეროდ თვითონ ქმარს კუბოს „უშენებს“. მაგრამ კაცობრიობა მეტად დიდია, რომ პაპის კუბოში ჩაეტიოს, ისევ იბადებიან ჭეშმარიტების რაინდები.

ყველა ქვეყანას ჰყავს და ჰყოლია ასეთი რაინდები და მათ შორის პირველნი — პოეტები იყვნენ.

მრავალი ცეცხლოვანი ისარი უსვრიათ სიტყვის ოსტატებს რეაქციის წმინდა ბუნაგში — ვატიკანში. თვალი გავაყოლოთ ზოგ მათგანს.

პოეტები და პაპები

● შეუთავსებელი ცნებებია! არც: ვაპირებთ მათს შეთავსებას. ჩვენ ბრძოლის ისტორიას მოგითხრობთ.

ძლიერ მოსწონდათ პაპებს კურთხეული იტალია. ისე მოსწონდათ, რომ საუკუნეების მანძილზე თითქმის ფეხმოუცვლელად ისხდნენ რომში, სულ რამდენიმეჯერ გასცილდნენ იტალიის საზღვრებს და მხოლოდ ერთხელ — ევროპის საზღვრებს — პავლე მეექვსის პონტიფიკატის დროს.

მაგრამ ხალხს არავინ ეკითხებოდა, მოსწონდა თუ არა პაპები.

ამაზე პასუხს იძლევა მრავალი იტალიელი პოეტი. ჯოზუე კარდუჩი ვატიკანს დამხობით ემუქრება სასტიკ სატირაში, რომლის მთავარი გმირია ამბოხებული სატანა:

...ცახცახებენ მონასტრები,
ტახტები და ტიარები,
დევგმირები წამოშლილან,
ცეცხლის თანაზიარები.

ისევ მოჰქრის ბუმბერაზი
ძლევამოსილ ქარიშხალად.
ეს, ხალხებო, ის გმირია!
ძლევის დროშა გაიშალა.

ცეცხლოვანი ეტლით მოჰქრის
და ირყევა მიწის პირი!
მეამბოხე სატანაა,
თავისუფალ აზრის გმირი!

იმავე კითხვაზე ბევრად უფრო ადრე ამომწურავი პასუხი გასცა კარდუჩის თანამემამულე რომანტიკოსმა პოეტმა ჯაკომო ლეოპარდიმ, რომლის ოდას „იტალიას“ აქვე დავიმოწმებთ:

ო, მამულო! ვხედავ მე შენს კედლებსა და ბურჯებს,
კოშკებსა და სასახლეებს, სვეტებსა და თაღებს,
ჩვენს წინაპრებს რომ ჰგონიათ, მამაცებს და ურჩებს —
დიდებას კი ვერა ვხედავ, დაფნით მოსილ თავებს!

რად არ ამკობს იტალიას, რაც ამკობდა გუშინ? —
რვალის ხმალთა კვეთების ხმა რატომ აღარ ისმის?
შენი შუბლი წყლულებშია, დაჭრილი ხარ გულში,
ვაი ჩემდა! მოჩუხჩუხებს ნაკადული სისხლის!

საყვარელი ცოლისათვის გაუხსნიათ მკერდი,
აუხდიათ ნამუსი და დაუგდიათ დაბლა.
ქვევით მიწას ვეკითხები, ვევედრები მაღლა:
რომელი ხართ ქრისტიანი, ამიხსენით ერთი,

ვინ შებილწა, ვინ შეეხო საზიზღარი ხელით,
ვის ჩაუსვამს ბორკილებში, როგორც რამე დავლა!
ზის მიწაზე თავდახრილი და სდის ცრემლი ცხელი,
გაშიშვლებულს დალალები დაუშლია დაბლა.

მუხლებში რგავს თავს, ამაყად რომ ეჭირა მაღლა,
ხელებს იმტვრევს, ტირის, ტირის, თითქოს ბალღამს სვამდეს!
ჰო, იტირე, იტალიავ! მხევალი ხარ ახლა —
შენ, ქვეყნებს რომ განაგებდი უწინ ზღვიდან ზღვამდე.

ორ მდინარედ გექცეს თუნდაც ცრემლი თვალთა შენთა,
მოსკდეს უცებ და წაიღოს ჩვენი ყურთა სმენა —
ვერ ჩარეცხოს შენი დარდი, სირცხვილი და სევდა,
ო, დედაო იტალიავ! მხევალი ხარ შენა!

სადღა არის იტალია! მისი დღეის ბედი
აბა ვის არ მოაგონებს, რა ფურცლები შალა?

რა იყო და რანაირად მოიხარა ქედი —
მერე, რატომ? საით გაქრა ოდინდელი ძალა?

ის დიდება, ვაჟკაცობა, ის მედგარი სული,
სად დაკარგე? ხომ გეჭირა ერთ დროს ხელში ხმალი?
მოგპარეს თუ დაგაძინეს, დარჩი დაღდასმული,
ამ უფსკრულში დაგიკარგავს იმედები ხვალის?

ნუთუ შენი ერთი შვილიც არ იშიშვლებს ხმალსა?
იარაღი! მარტო წავალ! შენ სუდარას ნუ შლი!
ღმერთო! დაე, ჩემი სისხლი ჰგავდეს ცეცხლის ალსა!
ხანძრად იქცეს გაყინული იტალიის გულში!

მთელი იტალია მღეროდა ხალხის საყვარელი პოეტის ამ ლექსს, რაც პიუს VII, ამ ნაპოლეონის უნდილი თოჯინის პონტიფიკატის დროს დაიწერა. მას ძლიერ აფასებდნენ გარიბალდიელები, პისარევი...

ამ ცეცხლოვან ვნებათა ღელვას, თავისუფლებისაკენ მოწოდებას ვერ ეგუებოდა პაპი, ამიტომ ეგუებოდა იმ ძალებს, რომლებიც პოეტების ხმას ახშობენ. ამისათვის აბამდა იეზუიტურ ქსელს.

საქრისტიანოს მბრძანებელი მორჩილებას და საღვთო წიგნების კითხვას ქადაგებდა, ხალხი კი უსმენდა პოეტებს...

ესპანეთში — პოეტ რომანოსს:

თუ სამოთხეში მოხვედრა გინდა,
აღთქმა იკითხე, წიგნია წმინდა,
ხოლო ამქვეყნად, სიმართლე გითხრა,
საჭმელთა წიგნის ჯობია კითხვა.

საფრანგეთში — სახელოვან ვიქტორ ჰიუგოს, პაპთა რისხვას, რომელიც „სიცრუის სამეფოს“ მესვეურებს ასე მიმართავდა:

ჩქარა ჩამალე, წმინდა მამავ, ხელი ბაფთებში,
გარეცხე შენი სისხლიანი თეთრი ქოშები!
გიცნო, თავს გიხრის თვით ურჩხული, ბილწი ბორჯია,
დუმს ათასობით განწირული, დაღუპულები...

ღვთის მოადგილევ, შენ დღეიდან მწყემსი კი არა,
ხარ სირცხვილ-ნამუს დაკარგული მხეცი, ყასაბი!

გერმანიაში — ჰაინეს, რომელმაც სამღვდელოებას ანდერძი აუგო. „ზანგთა შავი მეფეები მეტ სიამოვნებას მანიჭებენ, ვიდრე ჩვენი თეთრი ველური მამები, თუმცა ადამიანთა უფლებებზე მათაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და მონობას ბუნების კანონად თვლიანო“, — სწერდა დიდი სატირიკოსი გეორგ ვეერთს. იგივე ვეერთი კი პირდაპირ ვატიკანს ესხმის თავს სატირაში „რომის წინააღმდეგ“:

წყევლას გითვლი, ვატიკანო,
ვწყევლი პეტრეს წულებს!
ცოდვით სავსე კლირსა ვწყევლი,
პაპის კარის წყლულებს.

შენი ხელით მოგიწამლავს
ხალხი ევროპისა,
ხმალივით ჭრის შენი სკიპტრა,
თუმცა არის ხისა.

ვაი, ჩვენო ქანაანო,
ძრწის ბრუტუსის ერი,
ვატიკანი აიძულებს
ლოკოს ტახტის მტვერი.

თვით ლუთერი გყავდა ბურჯად
და რიენცი კოლა,
დღეს კი ლოიალურია...
მხოლოდ ლოიოლა!

არა, პეტრე შენ არა ხარ,
შეერევი მტვერსა,
და სიცრუის ფარს, დაგიმსხვრევს
ხალხი, აზრის მტერსა!

რევოლუციონერმა პოეტმა ვეერთმა კი არა, თვით ოლიმპიელმა გოეთემ გააკრა სამარცხვინო ბოძზე ინკვიზიტორები, ბნელეთის ბურჯები. მისი ინკვიზიტორები „ბალადებში“ სისხლის მდინარეს აჩქეფებენ:

ძალუმი ორთქლი მხურვალე სისხლის
ჯადოა ჩვენი უწყალო რისხვის,
და შავი ძმების ლაშქარი მიდის,
რომ მეუფება დაბრუნდეს ბინდის.

სისხლს ახსენებენ — მოვილხენთ იქა,
სისხლს აჩქეფებენ — ვბანაობთ შიგა.
ცეცხლი და სისხლი გვალაღებს მარად—
დე ცეცხლში სისხლი დიოდეს ღვარად!

ცოლი გვანიშნებს — საბუთად კმარა!
ლოთი გადაჰკრავს —სიკვდილი ჩქარა!
თამამი მზერა, ნათელი აზრი —
მყისვე იელვებს ხანჯალი ბასრი,

და სისხლის წყარო მოსკდება მყისვე,
სისხლის ნაკადი, ისევ და ისევ,
ნაკადი ნაკადს... შავი, მძვინვარე
აჩუხჩუხდება სისხლის მდინარე.

ვაიმარელი ბრძენი „ვენეციურ ეპიგრამებშიც“ გადაჰკრავს ოლიმპიურ სახრეს პაპის მსახურებს:

ვხედავთ დოჟსა და ნუნციუსს, აქვთ იერი საზეიმო.
ქრისტე-ღმერთი დაუმარხავთ და პრელატი ბეჭდავს კუბოს.
რაზე ფიქრობს ახლა დოჟი, მე არ ვიცი, მეორეს კი
ამ ყოფაზე ალბათ ჩუმად ულვაშებში ეცინება.

ვენეციაში გოეთემ ნახა, როგორ „ფსკერზე, ყინულქვეშ დაფარულიყო ადამიანთა გრძნობა-გონება“.

გენიალური მიკელანჯელოს ნამდვილი რისხვა იყო ბნელეთის მოციქულებისა, მაგრამ მათს სახიფათო ძლიერებასაც გრძნობდა:

„ღმერთი კვლავ ცოცხლობს — მოკვდა მხოლოდ ბრძენთა თავებშიო“, — შენიშნავს უდიდესი პოლონელი.

უკრაინაში — დიდმა მეამბოხემ ტარას შევჩენკომ ამ თემაზე მთელი პოემა დაწერა, „ერეტიკოსი“. აი ნაწყვეტი:

ყველგან მონობა, უსამართლობა!
  გმინავს უღელქვეშ ყოველი ერი,
და მოციქულის ტახტზე დამჯდარა
სვებედნიერი მსუქანი ბერი.
სისხლით ვაჭრობს და ზღაპრებით
  გვართობს:
თქვენ — სამოთხე და მე კი — ჭამაო!
ღმერთო ციურო! შენი სამსჯავროც,
შენი სამეფოც არის ამაო!
არა! დაჰკრავს დიდი წუთი,
შურისგების წამი!
რომ ტიარა მტვერში დასცეს —
ის გვირგვინი სამი!
დაეცემა! მოზიახლე,
ღმერთო, იგი ჟამი!
დამილოცე სუსტი ხელი
და ის დიდი წამი!

ცნობილმა დემიან ბედნიმ ვატიკანსაც ესროლა მარციალის ისარი:

ვითომ ესეც ქვეყანაა! ყურს არ სჯერა.
ეს ხომ ლოცვის სამეფოა, არა შრომის!
რომ შეხედავ, პატარაა, როგორც ძერა,
და რა მძიმე ჭანგებს იწვდის სვავი რომის!

ჩეხი პოეტი ვლადიმერ ჰოლანი ნიღაბს ხდის პიუს მეთორმეტეს:

რამდენი წელი წყევლის სიტყვა ვერ გიპოვნია
გერმანიის და საკუთარი ხალხის მტრებისთვის,
და ყველამ იცის, რომ ლოცავდი ორმოცდაორში,

წმინდაო მამავ, პირსისხლიან ფაშისტ გენერლებს;
რომ ცარიელი სიტყვა იყო და არის „პაპი“...

თურქეთში... ნაზიმ ჰიქმეთმა რომის პაპს დიდი ჯადოქარი უწოდა, აფრიკელ ჯადოქრებს შეადარა. აი ნაწყვეტი პოემიდან „წერილები ტარანტა-ბაბუს“:

...ვატიკანის მოედანზე გამოჩნდა ეპიგრამა გრაფი ფერეტი-მასტაის, იგივე პიუს IX და მისი თავაშვებული საყვარლის, „საყოველთაო წმ. ხასის“ შესახებ, რომელიც სერგი მესამის საყვარელ მაროზიას (მარუცციას) ჩრდილავდა და ფაქტიურად განაგებდა მშვენიერ მზიურ იტალიას. ეპიგრამაში ნათქვამია:

იერუსალიმს დედაკაცი დაეუფლა,
დაუბნია გზები ახალ თაობასო! —
ბელზებელი დაგვესვაო, დაე, უფლად,
რადგან რამე ჯობდა არარაობასო!
აბრიყვებს პაპი მორწმუნე ხალხებს,
ზის ვატიკანში ობობის მსგავსად,
ოქროში აბამს სიცრუის ქსელსა,
მთელს დედამიწას რომ ახვევს გარსა.
ოცდათორმეტ წელს ქვეყანა ატრიალა,
გაიბერა სულით დუხჭირ-მათხოვარი.
წმიდა ტახტი ჩაამჟავა ნაძირალამ,
და კუბოში ჩაწვა ისევ მაცხოვარი.

პაპს გმობენ პოტიე, ბერანჟე...
მაგრამ დროა დავხუროთ ლექსთა კრებული. პაპს ის ნერვებს უშლის.

ისტორია
მრძელდება

● ვატიკანის მყუდრო თაღების ქვეშ, მღვდელმთავრის სამყოფელში მძიმე საპარადო სამოსის შრიალი გაისმა. იესო ქრისტეს ასეთი ოქროქსოვილი არც დასიზმრებია. მოწაფემ მასწავლებელს გადააჭარბა. წყნარად გაიღო კარი და შემოვიდა მიწიერი ღმერთი.

საბჭოთა ჟურნალისტების წინ იდგა მომღიმარი პავლე VI, მთელი საქრისტიანოს უზენაესი მბრძანებელი, სხვებზე უკეთესი და მაინც პაპი. ტანმაღალი, თავაზიანი, გამხდარი მღვდელმთავარი, რომელმაც ის იყო დახურა მსოფლიო საეკლესიო კრება, მაშინვე მშვიდობის სიკეთეზე იწყებს ლაპარაკს. მისი ნატიფი ზრდილობა ისტორიის მონაპოვარს ჰგავს. ანდაზისა არ იყოს, თევზი ჭკუაში მაშინ ჩადგება, როცა ბადეში მოჰყვება. ვატიკანს აღარ აძლევს ხელს პროგრესის ძალებთან ცეცხლითა და მახვილით ლაპარაკი. მოაზროვნე ადამიანი დარტყმას დარტყმაზე აყენებდა ტიაროსანსამმაგგვირგვინოსან ჰიდრას, და მან ადამიანის სახე მიიღო. მაგრამ ფრთხილად! პაპის ღიმილიც კი სიხაფათოა!

ოდესღაც დოქტორმა ლუთერმა პაპის ბულა ცეცხლში ისროლა. ეს იყო გმირობა. ამით დაიწყო ახალი ერა. ამ ისტორიულ აქტს გულისხმობდა შილერი „გერმანიის სიდიადის" ფრაგმენტებში:

მძიმე ბორკილი უშლიდა თალხებს,
სულს უხუთავდა ევროპის ხალხებს,
როს გერმანელმა დალეწა იგი,
მოახრევინა ვატიკანს ქედი,
შემოაბრუნა მსოფლიოს ბედი,
ცოდნით შებოჭა პაპების ხრიკი.

მაგრამ ვატიკანს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა... თუმცა ეს უკვე იმდენად ბრძოლა აღარაა, რამდენადაც წინააღმდეგობის გაწევა. მოაზროვნე კაცობრიობა უტევს, ვატიკანი თავს იცავს.

* * *

ისტორიას ახსოვს მრავალზე მრავალი საუკუნე, პერიოდი, დინასტია, ტირანია, მეფე, დიქტატორი, რომლის დროსაც ბრძოლა და მოღვაწეობა კი არა, უბრალო ცხოვრება და არსებობაც კი ერთგვარ გმირობად ჩაითვლებოდა. ადამიანთა სულიერი და ფიზიკური ტანჯვის ერთი ისეთი, სამწუხაროდ, ყველაზე ხანგრძლივი ეპოქაა პაპობა.

მონობის უღლის ზიდვა ვერ ეწყობა გმირობის ცნებას, მაგრამ

პაპის რომში ცხოვრება გარკვეული აზრით მაინც გმირობაა, ხოლო ვინც პაპს ებრძოდა, ორმაგად გმირი იყო.

რელიგია საერთოდ სიცრუისა და ძალადობის ყველაზე უფრო ჯიუტი, დახვეწილი, რთული, ძნელად დასაძლევი სახეა დესპოტიზმისა. მისი საფუძველი მარტო პეტრეს კლდე და ცრუ რწმენა როდია — განა ყველა პაპსა და მის ქომაგს კი სწამდათ ღმერთი? ამ ურჩხულს უთუოდ უმეცართა მილიონები, შეშინებულთა და დაღდასმულთა სიბნელე კვებავდა და კვებავს. პაპს უფრო მორწმუნე სჭირდება, ვიდრე ღმერთი. ბოროტება რომ ვძლიოთ, მისი სათავე უნდა ვიპოვოთ. სარწმუნოება კაცობრიობის უძველესი და უძნელესი სენია, რაც მხოლოდ ადამიანს ემართება და სამყაროს მეუფეს ხშირად პირუტყვზე დაბლა აყენებს. მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი ხელმწიფე და მეცნიერიც კი ღმერთისა და ავსულების შიშით ცახცახებდა. ესაა სენი. მისი ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ვატიკანია. ვატიკანს პაპი განაგებს. მის ხელთაა გაბრიყვებულ ადამიანთა სული.

პაპობის ისტორია გრძელდება. ის დასრულდება მაშინ, როცა დაიშრიტება მისი ყველა საარსებო წყარო — უმეცრება, ძალადობა, იდეური უკუღმართობა...

ამ ისტორიის უკანასკნელ მონაკვეთს, რაც დაახლოებით ასი წლის ფარგლებში თავსდება, თავისებური ელფერი აქვს.

საუკუნეების მანძილზე კათოლიკური ეკლესიის მბრძანებლები სახელმწიფო მბრძანებლებს ჭეშმარიტების დასათრგუნავად გამართულ ომში ითრევდნენ. თანამედროვე ვითარებაში საქმე ცოტა შებრუნებითაა: დღეს დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოები იყენებენ ვატიკანს „კომუნისტური საფრთხის" წინააღმდეგ ბრძოლაში. ადრე ვატიკანს საერო ძალაუფლების ძლიერი იარაღიც ეჭირა ხელში, დღეს თვითონ არის იარაღი მსოფლიო რეაქციის ხელში, და საკმაოდ მძლავრი, საშიში იარაღიც. მის უვნებელსაყოფად ჩვენი მთავარი იარაღია პროგრესული აზრი, ნათელი იდეა და ცოდნა, რაც მუდამ ასე აშინებდა პაპებსა და ინკვიზიტორებს. ამ ცოდნას აფართოებს სიმართლე. ამ სიმართლის საგრძნობი ნაწილია დამოწმებული წმინდა ბუნაგის ისტორიის იმ ნაწილში, რასაც „ვატიკანის უკანასკნელი ასი წელი" ვუწოდეთ და რასაც მკითხველს ვთავაზობთ, როგორც ვატიკანის საზარელი ათასწლოვანი „რომანის" ეპილოგს.

● ათიოდე წუთით გადავიხედოთ საუკუნის სარკმელში — წინ კი არა, უკან მივიხედოთ. იქ გვეგულება ყბადაღებული ჯიოვანი-მარია მასტაი-ფერეტი, იგივე პიუს IX, ქრისტეს მოადგილე დედამიწაზე, გრაფის შვილი, ჯალათი, მკვლელი, ყალბი ფულის მჭრელი, ზნედაცემული პაპი და დუხჭირი მბრძანებელი, რომელიც ვატიკანსა და საქრისტიანოს არაჩვეულებრივ დიდხანს, 32 წელი განაგებდა, 1846 წლიდან 1878 წლამდე.

ვინც ლეო ტაქსილის „წმინდა ბუნაგი" წაიკითხა, მისთვის უცნობი არ იქნება ეს პიუს-მასტაი, სიავითა და სიწამხდრით რომ შუა საუკუნეების პაპებს არ ჩამოუვარდებოდა. მის ამბავს აქ მხოლოდ ზოგიერთი დეტალით შევავსებთ, რამდენადაც ეს დაკავშირებულია მომდევნო თავთან და წმინდა ბუნაგის იმ დანარჩენ ბინადართა მოღვაწეობასთან, რომელთა ზოგადი პორტრეტების მოხაზვაც ამ წიგნში მიზნად დაგვისახავს.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა მასტაის ლანდი. ვნახოთ, რით მოგვაწონებს თავს ეს ტიაროსანი გრაფი!

სიმართლე არც გრაფს აწყენს, არც პაპს. ვიდრე ტახტზე ავიდოდა, მასტაის მხოლოდ სასიყვარულო ინტრიგებით ჰქონდა სახელი მოხვეჭილი. რა შეუშლიდა ხელს? გრაფის წოდება, მღვდელმთავრის ანაფორა თუ სინდისი? პირველი ფულსა და ძალაუფლებას იძლევა, მეორე ნიღაბია, მესამე არ გააჩნდა. ამიტომ თავაშვებული ეპისკოპოსი სარგებლობდა ყველა მიწისქვეშა და მიწისზედა ხვრელებით, რათა წუთისოფლისაგან მიეღო ყველა სიამე, რისი მიცემაც მას შეუძლია. მაგრამ ვის შეუძლია აღწეროს ყველა საჩოთირო თავგადასავალი, რაც ბუდუარებში და სასახლეებში, სარდაფებსა და აბანოებში გამოუვლია? აღნუსხულია ცამეტი ნამდვილი უზნეო თავგადასავალი, რაც ამ ანაფორიან დონ ჟუანს სხვადასხვა ქალებთან ჰქონია, შემთხვევითი ცოდვების რიცხვი კი ბევრად მეტია. ჯერაც ცოცხლობდა კოლონების ძველი გვარი, რომელსაც პიუსი თავის ნამდვილ ამაღლებას უმადლოდა. ერთ-ერთმა ხასამ, კლარა კოლონამ თავისი საგვარეულო განძი არ დაიშურა, რომ ეპისკოპოსი კარდინალად ექცია. ეს ამბავი მთელმა იტა-

ლიამ გაგიო. მაგრამ თვით კოლონა დაჩრდილა გრაფის ქალმა სპორმა. ცნობილი ამბავია: რევოლუციონერთა შიშით მისმა უწმინდესობამ პაპის სამოსელი დაყარა, მსახურის ტანსაცმელი გადაიცვა, იარაღი აისხა და სპორის თანხლებით გაეტაში გაიპარა. ასევე მოურიდებლად ატარებდა დროს ფონიანოს მონასტრის წინამძღვარ ქალთან. ერთხელ, თავის ოლქში რომ მოგზაურობდა, ამალა გზაში მიატოვა და მონასტერს მიაშურა, რათა საიდუმლო სენაკებში თავის ძველ საყვარელთან ელოცა, ხოლო რაც ამ ლოცვას მოჰყვებოდა, ეს მკითხველმა წარმოიდგინოს. პიუს IX საერთოდ ზედმეტად თვლიდა ზნეობის ნორმების დაცვას. განდიდებულ ადამიანში ნადირი იღვიძებს... თუ ის ადამიანი არაა.

ამდენი საქმის მოქმედს ნამდვილი ფული რას ეყოფოდა, ამიტომ პიუსმა ყალბი ფულის მოჭრა დაიწყო.

გარყვნილი არამზადა იმდენადვე ულმობელი იყო მამაკაცების მიმართ, რამდენადაც ლმობიერი — მანდილოსნებთან. მართალია, თავიდანვე თოჯინად იქცა ჭკვიანი და ბოროტი კარდინალის ანტონელის ხელში, რომელსაც ისტორიამ „წითელი პაპი“ უწოდა, მაგრამ საითაც ეს თოჯინა ხელს გაიშვერდა, ყველგან ქრებოდა შუქი და იწყებოდა სიკვდილის ცეკვა.

ტახტზე მკვლელის ასვლა უჩვეულო ზეიმით აღინიშნა. ეს მოხდა 1846 წლის 16 ივლისს. მთელი რომი გაჩირაღდნებული იყო. ნაირფერი მაშხალები და ფოიერვერკები ვარსკვლავთა წვიმა გეგონებოდათ. საძულველი გრიგოლ XVI გაიქცა და ტახტზე ახალი პაპის ასვლას ხალხი ზეიმით ხვდებოდა. იმაზე უარესი ვინ იქნებაო! რა იცოდნენ, რომ სატანა წავიდა და ლუციფერი მოვიდა! ცერემონმაისტერმა სამჯერ მოუყარა მუხლი, მერე ტიარა მოწიწებით მოხადა. ცერემონიალი გაიმეორა და ასე დაადგა ნაპოლეონის ნაჩუქარი სხვა ტიარა, რომლის ღირებულებამ ხუთასი ათას ფრანკს შეადგენდა. იტალიის ყველაზე უფრო უპატიოსნო ადამიანს თავს უმშვენებდა პატიოსანი თვლებით მოოქვილი თეთრი ხავერდის ბრწყინვალე გვირგვინი, საერო და სასულიერო ძალაუფლების სიმბოლო, რომელსაც სამ წრედ ერტყა ლალის, საფირონის, ფირუზის და მარგალიტის ზოლი.. ტიარას აგვირგვინებდა არაჩვეულებრივ დიდი ზურმუხტი, რომელზედაც ბრილიანტის მანათობელი ჯვარი იყო აღმართული, როგორც ნაკელზე ამოსული თეთრი ყვავილი.

ახალ პაპს ირჩევენ! ვატიკანი ზეიმობს. ტაძრიდან უკვე ავიდა თეთრი კვამლი. ქუჩებში კი ასეთი საუბარია:

— გახსენი ფანჯრები! რატომ არ ზეიმობ? დღეს ხომ პაპის დღეობაა.

— ეს დღე არაა. ღამეა. როცა დღე გათენდება, მაშინ ვიზეიმოთ.

არიან ტირანები, სისტემები, მთავრობები, მინისტრები და კარდინალები, რომელთაგანაც ხალხი სიკეთეს ისევე უნდა ელოდეს, როგორც ნარ-ეკლისაგან — ლიმონების მოსხმას. არც ერთი საქმე, არც ერთი ნაბიჯი მათი — სიკეთის მომტანი არაა, თუნდაც სამი საუკუნე იბატონონ. მხოლოდ ცარიელი ქადაგება, შაბლონი, ეგოიზმი და ძალადობა, მეტი არაფერი! მხოლოდ ერთი სიკეთე შეუძლიათ ხალხს მოუტანონ: მათი მზის ჩასვენება. ამ სიკეთეს პიუს IX მაგრად უჭერდა ხელს, ჩაამქავა ნაძირალამ წმინდა ტახტი.

მიდიოდნენ პაპები და შავ კვალს ტოვებდნენ. პიუსმა წითელი კვალი დატოვა, თუმცა განა ვატიკანის გზაზე ეს ახალი კვალი იყო?

მას ერთბაშად არ დაუწყია სისხლისღვრა. ჯერ კიდევ ახსოვდა თავისი წინამორბედის ბედი, ფრთხილობდა, ლიბერალური ღონისძიებებიც კი გაატარა. პოლიტიკურ პატიმრებს ამნისტია მისცა, სასახლის ხარჯები ოდნავ შეამცირა, მონასტრებს მცირეოდენი გადასახადები დააკისრა... კმარა! პიუსი ხომ ქრისტე არაა, ბოლომდე ეკლიანი გზით იართს! მას ხომ ეკლის გვირგვინის მაგიერ ხავერდის გვირგვინი უბოძა ომის ღმერთმა! გარდა ამისა, საყვარლები ჰყავს, ქალებს ფული უყვართ! დროა სათნოების ნიღაბი შეიხსნას და ნიანგის კბილები გამოაჩინოს.

ისევ დაიწყო შავი რეაქცია. შეიქმნა წმინდა ტრიბუნალი. დატრიალდნენ ვანუჩელი, ალტიერი და დელა განგა. მათი ვალი იყო საიქიოს საგზურების გაცემა. ცეცხლი და მახვილი, გაზი და სადგისი იღებდა სიტყვას ყველგან, სადაც თავს იჩენდა თავისუფალი აზრი და შეეცდებოდნენ გადაეგდოთ ორმაგი უღელი — ავსტრიისა და პაპის. ეს მძიმე უღელი იყო. პაპი თავისას ითხოვდა, იმპერატორი თავისას, ხალხს ორივე სძულდა. ამ სიძულვილმა მოთმინების ფიალა აავსო. გარიბალდის რაზმები რომს უახლოვდებოდნენ. იარაღს ხელი! პაპისათვის ადგილი აღარა რჩება. მისი ულაჩრესობა პიუს IX ტახტს ბედის ანაბარა ტოვებს, ხავერდის ტიარას მა-

ლავს, სამოქალაქო სამოსელს იცვამს, ჩემოდანში დებს თავისი ძალაუფლების ატრიბუტებს — ბეჭედს, ოქროს მედლებს, ზარდახშას, წმინდა ქოშებს, და რომიდან გარბის. ცნობილია მისი ხიფათი ჩივიტა-ვეკიას გზაზე. თავისი საყვარლის ეტლი აგვიანებს, გზაზე უცებ გარიბალდის კარაბინერთა რაზმი გამოჩნდა, უახლოვდებიან და თუ ხელი ახლეს, აფეთქდება, როგორც ნაღმი, ისეა გაბერილი ცოდვებით. პიუსი ხედავს, რომ ღმერთმა გასწირა და ღვთისმშობელს მიმართავს, ლოცვას ბუტბუტებს. ღვთისმშობელმა შეიბრალა. ავსტრიის იმპერატორის აგენტის-ეტლი გამოუგზავნა. ეს აგენტი მისი ერთგული მსახურია, იმისი ცოლი—პიუსის ერთგული საყვარელი. ეტლი ჩერდება, სარკმლიდან ქალი უძახის: „ჩაჯექით, სენიორ, რაღას აყოვნებთ?“ სენიორი პიუს IX მარდად ჯდება ეტლის უკან, სიღრმეში, წინ აგენტი ზის. ეტლი დაიძრა. პაპი და მისი ხასა ნებივრობენ, ქმარს კი უფლება არა აქვს უკან მიიხედოს, რადგან იცის თავისი საქმე: აგენტი წინ უნდა იყურებოდეს, რომ ისტორიის ეტლი არ გადაიჩეხოს. პაპი — ეს არის ისტორია.

მალე დასრულდა მისი უწმინდურობის შვებულება: მალე ნაპოლეონ მესამის ხიშტების შემწეობით პიუს IX ტახტზე ბრუნდება. საფრანგეთი ახშობს იტალიის თავისუფლებას: აქაო და წესრიგს ვამყარებთო!

სადღაა ძველი „ლიბერალი პაპი!“ იწყება საშინელი ტერორის დღეები და წლები. განუკითხველად აწამებენ, ახრჩობენ, წვავენ, გუდავენ, საპყრობილეებში ხდიან სულს ყველას, ვინც პაპის განდევნაში იღებდა მონაწილეობას ან ეპვმიტანილთა სიაში ადმოჩნდა. 1849—1853 წლებში ხუთი ათასი ადამიანი დაისაჯა სიკვდილით. იგივე გრძელდება ათი წლის შემდეგაც.

პროგრესის მესიტყვეები ხმას იმაღლებენ. მაგრამ ამაოდ. როცა მენტანასთან საფრანგეთის არმიის დახმარებით პაპის გვარდიამ გარიბალდი დაამარცხა, ვიქტორ ჰიუგომ დაწერა პოემა „მენტანა“, რომელშიაც მთელი რისხვა დაატეხა თავისი ხალხის ჯალათ პიუსს: „ბოროტო ბებერო! შენ კმაყოფილი ხარ, რომ ადამიანთა თავის ქალებს ნადირი ხრავს და ბრძოლის ველს ყორანი დასჩხავის! იტალიის ხალხი დაჩოქილია! მეფე პარაკლისებს იხდის, თხრილებში ადამიანთა გვამებს ვირთხები ღრღნიან, მიწა გმირთა სისხლით მორწყულა; ხოლო გარიბალდი უკვე ცარიელი სიტყვაა, როგორც ლეო-

ნიდე, როგორც ტელი — მათებრ უკვდავია, მაგრამ შენთვის საშიში აღარაა! პაპი ლმობიერია, იღიმება, მოწყალების ნიშნად ამბიონიდან ენამჭევრობს, და თითქოს სინანულის ცრემლს აფრქვევს, სისხლი დაიღვარაო! გავიმარჯვეთო!"

ფრანგები რომში 1870 წლამდე რჩებიან. ხალხის დასაშოშმინებლად ფრანგთა წარმომადგენელი კონსტიტუციის შემოღებას ითხოვს, მაგრამ პიუსს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნის. ნაპოლეონის ხიშტებზე შედგმული პეტრეს ტახტი ადამიანთა ბედს ძველებური სისასტიკით განაგებს. კარდინალი ანტონელი სიკვდილით სჯის გიჟს, რომელიც ჩანგლით დაემუქრა. პაპის სბიროები დაძრწიან ღამით ქუჩებში, ხანჯლით ხოცავენ საეჭვო პირებს და ტიბრში ყრიან, იმავე ტიბრში, სადაც ჩეზარე ბორჯიამ თავისივე ბრძანებით განგმირული ძმა გადააგდო... ტიბრი არ არჩევს უბირსა და წარჩინებულ გვამებს, ყველა ძლეული — თანასწორია. ამიტომ ბრძანებს პიუს IX: „ჩააგდე! ღმერთი გაარჩევს თავისიანებს!"

პაპთა ათასწლოვანი დევიზი მეორდება.

როგორ იქცევიან ლეგენდები დოგმებად

● სწორედ ასი წლის წინათ, 1879 წელს პიუს IX — მასტაიმ ქრისტეს უბიწოდ ჩასახვის საერთო-ქრისტიანულ დოგმატს დაუმატა პაპთა უცოდველობის კურიოზული დოგმატი, ხოლო 1950 წელს ამას დაემატა ღვთისმშობლის ცადამაღლების ახალი დოგმატიც — „აუცილებელი დებულება".

პაპის უცოდველობის დოგმა უფრო თავხედური და ფანტასტიკურია, ვიდრე ყველა ზღაპარი. ზღაპრის სიცრუე მართლდება იმით, რომ ის ზღაპარია, მაგრამ რით მართლდება, რით შეიძლება გამართლდეს ძველი მითი პაპის უცოდველობისა, როცა პაპიზმის მთელი ისტორია — ჯოჯოხეთურ დანაშაულობათა ისტორიაა? როგორ იქნება უცოდველი მეკობრეთა, სოდომიტების, სისხლის აღმრევთა, ულმობელ ჯალათთა, მკვლელთა და სინდისით მოვაჭრეთა მთელი ეს ბანდა, რომლის საბრალდებო დასკვნად გამოდგება მარტო ზოგი მათგანის დასახელება? რაღას ეწოდება ცოდვა, თუ უცოდველია მომწამვლელი ურჩხული ალექსანდრე VI — ბორჯია?

საქრისტიანოს მბრძანებელთა უპირობო და სრული „უცოდველობა“ „ექს კათედრა“ (ამბიონიდან) ძველი აბსურდია, ისეთი აბსურდი, რომ თვით შუა საუკუნეების ბნელეთის მეუფების ჟამს ვერ შეძლეს რომის პაპებმა მისი დამტკიცება. მხოლოდ პაპობის საერო ძალაუფლების საბოლოო დამხობის კვირაძალზე გაიტანა ეს დოგმა პიუს IX — მასტაიმ. ამით დაივიწყა თვით ადრიან მეექვსის განცხადება, 1522 წელს რომ ითქვა: პაპი შეიძლება ცოდვილი იყოს თვით სარწმუნოების საკითხშიაც კი, ჩვენ ერეტიკოსი პაპებიც გვყოლიაო!

ვატიკანის დიდ საეკლესიო ყრილობაზე, სადაც ეს საკითხი ხელახლა დაისვა, 1869 წლის 8 დეკემბერს, 766 პრელატი გამოცხადდა. ბევრმა მათგანმა ყრილობა მიატოვა, რომ ხმის მიცემისაგან თავი შეეკავებინა. როცა ერთმა ეპისკოპოსმა ჯუიდიმ პაპს უთხრა: ჩვენმა ტრადიციამ არ იცის პაპის უცოდველობის დოგმის მიღებაო, პიუსმა უპასუხა: „ტრადიცია — ეს მე ვარ!“

დოგმა 1870 წლის 18 ივლისს დამტკიცდა. ერთი დღის შემდეგ დაიწყო საფრანგეთ-პრუსიის ომი, ახლო იყო პირველი მსოფლიო ომიც. საფრანგეთს პაპის დაცვის თავი აღარა ჰქონდა, ჯარები წაიყვანა. იტალიის მეფეს კი შეეშინდა, რომში პირველად გარიბალდი არ შეევიდესო, და თვითონ დაიკავა მარადიული ქალაქი. პაპის საერო ძალაუფლება დაემხო. მორწმუნე იტყოდა: პაპთა ცოდვებს შორის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა პაპის უცოდველობის დოგმა, პაპს ღმერთი გაუწყრაო!

ახლა უფრო უწყინარ დოგმას, ღვთისმშობლის ცად ამაღლების დოგმასაც შევეხოთ. არავინ იცის, როგორ განჭვრიტა პიუს XII— პაჩელიმ, რომ 1950 წლის წინათ მარიამი ცად ამაღლდა. მაგრამ ცნობილია უბიწოდ ჩასახვის მთელი ისტორია.

ათინა პალადა არ შობილა დედის მუცლიდან: ზევსის თავიდან გამოვიდა, ჰეფესტოსმა რომ ჩაქუჩი დაჰკრა. არც დიონისე უშვია დედას: სემელეს ჟუჟუნა წვიმის სახით მოევლინა ზევსი, მერე მოკვდავმა ქალმა ზევსს სთხოვა, წვიმას ისედაც ხშირად ვხედავ, მთელი შენი ღვთაებრივი სიდიადით მომევლინეო. ზევსმა სურვილი შეუსრულა. ქალი დაიწვა. ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფი დიონისე ზევსმა ბარძაყში შეინახა, დაწვას გადაარჩინა... არც ვენერა შობილა დედის მუცლიდან, ზღვის ქაფიდან გამოვიდა...

კეისარი ავგუსტოსიც აცხადებდა, მამის შვილი კი არა ვარ, აპოლონი მოევლინა დედაჩემს და ასე ჩავისახეო. „ეს აპოლონი იმისი ნათესავი ხომ არ იყო, ვისაც ჰაინემ უმღერაო?" — ირონიულად წერდა ენგელსი.

დენი დიდრო კი იმავე მოვლენას ასე გვიხატავს: „ერთი ქალიშვილი ძალიან განმარტოებით ცხოვრობდა. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი ესტუმრა, ხელში მტრედი ეჭირა, და ქალიშვილი დაორსულდა. ვინ ჩასახა ბავშვი? რა უცნაური კითხვაა! რა თქმა უნდა, ჩიტმა!"

მათეს სახარება კი ირონიის გარეშე გვიამბობს: „ხოლო იესო ქრისტეს შობა ესრეთ იყო: რამეთუ თხოვილ იყო დედამისი მარიამ იოსებისა, და ვიდრე შერჩვამდე მათდა, იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა". ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე დადგებოდა იოსები, როცა ნახა, რომ მისი საპატარძლო ფეხმძიმედაა. მიხვდა და „იზრახა განტევებაი მისი". მაგრამ ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ გეშინია, მოიყვანე, რადგან ყრმა სულისაგან წმიდისა არსო". ასე ითხოვა მარიამი ხანდაზმულმა იოსებმა და თავის მხრივ მალე გააჩინა შვილი, რომელსაც დაარქვა ემანუელი — „ჩვენთან არს ღმერთი".

სახარების ეს ცნობილი ლეგენდა, რაც სულაც არ არის ორიგინალური, რომის პაპებმა განსაკუთრებული ზრუნვის საგნად აქციეს, რადგან ამასთან ბევრი რამ არის დაკავშირებული და უწინარეს ყოვლისა — ვატიკანის ტახტის სიმტკიცე. მერე, ეს სრული სიმართლეა!

მცირე აზიის, საბერძნეთის, სპარსეთისა და ინდოეთის, თუნდაც პოლინეზიის რელიგიებში მოთხრობილი ამბები ცოცხალი არსების, ადამიანის უმამაკაცოდ ჩასახვის შესახებ კიდევ შეიძლება ზღაპრად ჩაითვალოს. რაც შეეხება ღვთისმშობლის ცად ამაღლების დოგმატს, აქ დაუჯერებელი არაფერია: ჯერ კიდევ მიქელანჯელოს „განკითხვის დღეში" შეძრწუნებული ღვთისმშობელი ვეღარ ითმენს შვილის სისასტიკეს, სახე მიუბრუნებია სამართლიანი მსაჯულისაგან. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ პაპთა და მის მსახურთა ამდენი სამარცხვინო უსამართლობის შემყურეს დედამიწა მიეტოვებინა და ცად ამაღლებულიყო? ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი— თვით რელიგიური დოგმების საკითხშიაც კი.

ლეო ტაქსილის სასამართლო პროცესი

● 1881 წლის ზაფხულში ფრანგულ გაზეთ „რესპუბლიკურ სამხრეთსა“ და ჟურნალ „ანტიკლერიკალში“ გამოქვეყნდა პიუს მეცხრის უზნეობისა და ვერაგობის მამხილებელი ფელეტონების მთელი სერია, რომელთაც მერე შეადგინეს ცნობილი რომანი „პიუს მეცხრის სასიყვარულო სიდუმლოებანი“. მათი ავტორი იყო ცნობილი ლეო ტაქსილი, პაპებისა და იეზუიტების რისხვა, შეურიგებელი ათეისტი, გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი. არ დაგვავიწყდეს, რომ სხვათა შორის ის იყო... კარდინალიც! მაგრამ ვატიკანის ბურჯთა წითელმა ქუდმა ხელი ვერ შეუშალა, რომ ფარდა აეხადა ვატიკანის შავი საქმეებისათვის.

ტაქსილი, იგივე გაბრიელ ანტუან ჟოგან-პაჟესი ამტკიცებდა, რომ სამი წლის წინ განსვენებული პიუს IX იყო მკვლელი, ჯალათი, გახრწნილი არამზადა, ყალბი ფულის მჭრელი, კაცი, რომელიც ყველაფერს კადრულობდა.

ტაქსილის ახალმა მამხილებელმა რომანმა მთელი ვატიკანი ააფორიაქა. გამოჩნდა პიუსის ქომაგი, მისი „ერთადერთი მემკვიდრე და ძმისწული“, გრაფი ჯიროლამო მასტაი, რომელმაც „მჯღაბნელ“ ტაქსილს სასამართლოში უჩივლა. ბიძის შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის 60 000 ფრანკი მოსთხოვა. აი, თურმე რა აინტერესებდა მასტაის გრაფს!

პარიზის სასამართლომ „ცრუ რომანის“ ავტორის საქმეს მსვლელობა მისცა. ამრიგად, პაპთა გამოჩენილი მსაჯული თვითონ აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე, მართალია, მას ჯერ არ დაუწერია „წმინდა ბუნაგი“...

ძალადობის სამსჯავრო უკვე იმარჯვებდა და ტაქსილმა იმედი დაკარგა, როცა პროცესი მოულოდნელად შეწყდა: სასამართლოში არ გამოცხადდა თვით მოსარჩლე გრაფი. მაშინ ფარდა აეხადა მორიგ სიყალბეს. თურმე გრაფი მხოლოდ ნიღაბია, სინამდვილეში კი პროცესს აწყობს ეპისკოპოსი როვერიე დე კაბრიერი, გრაფი კი ისეთივე ნათესავია პაპისა, როგორც ყვავი ჩხიკვის მამიდა... ვატიკანს არ უნდოდა სამოცი ათასი ფრანკის დაკარგვა, მით უმეტეს,

რომ ამის შემდეგ გაღატაკებული ტაქსილი დაკარგავდა კლირთან ბრძოლის ხალისს, და პროცესი განაგრძო.

მაშინ ტაქსილმა ვექილად აიყვანა სახელგანთქმული დელატრი. მამაცი რომანისტის (ჯერ კიდევ სიმამაცე იყო პაპებზე აუგის წერა) დამცველმა იოლად ნახა ვატიკანის აქილევსის ქუსლი და იმავე „ანტიკლერიკალში“ გამოაქვეყნა სენსაციური მამხილებელი სტატია, რომელშიაც ფარდას ხდიდა კათოლიციზმის ბურჯებს, კერძოდ პიუს მეცხრეს, რომელმაც შუა საუკუნეების უსასტიკესი პაპები დაჩრდილა. ამასთან იმოწმებდა მრავალ ზეპირ და წერილობით განცხადებას. დელატრის მოწმეთა სია გააჩუმებდა თვით წმინდა პეტრეს: რომის მერი, ისტორიკოსი, გრაფი პიანჩინი, „პაპის რომის“ ავტორი; პეტრიჩელი დელ გატინა, ავტორი წიგნისა „პიუს IX, მისი ცხოვრება და მმართველობა“; ინგლისელი ისტორიკოსი ოუენ ლეჯი; ინგლისელი რომანისტი ტროლოპი; მორის ლაშატრი — „პაპთა ისტორიის “ავტორი; მოქანდაკე ფერარი, სახელოვანი მაძინის შვილი, გარიბალდი, ჰიუგო...

ყველა ბრალდება რკინის ლოგიკით მტკიცდება.

პროცესმა პიუს IX არა თუ არ გაამართლა, სამარცხვინო ბოძზე გააკრა საბოლოოდ და უსაშველოდ. წმინდა კოლეგიამ უთუოდ ძველი ანდაზა გაიხსენა: „ნუ ქექავ — ნუ აყროლებო“, და პროცესი შეწყდა.

საქმე მოიგო ლეო ტაქსილმა. საქმე მოიგო ჭეშმარიტებამ, სალმა აზრმა, ახალმა საუკუნემ. რა ადვილი იქნებოდა ასეთი მოწმეების დამარცხება კლიმენტი მეცხრის დროს! მაგრამ ეს იყო პიუს IX.

1878 წლის ამბებით იხურება ტაქსილის „წმინდა ბუნაგი“*.

---

* კარდინალ-ათეისტის სამტომეული ,ესაა მრისხანე მხატვრული პამფლეტი-ტრილოგია. მამა — ღმერთზე („სახალისო ბიბლია“), ძე —ღმერთზე („სახალისო სახარება“) და მათს მიწიერ მოადგილეებზე — რომის პაპებზე („წმინდა ბუნაგი“). ამით გამოჩენილმა მღვდელმთავარმა ნიღაბი ახადა თავისი სარწმუნოების მთელს სიყალბეს, მის მსახურთა აღვირახსნილობას, კანონიკურ წიგნთა მიწიერ სარჩულს და ცხადყო თეოკრატიის მიწიერი ხასიათი — რომ ყოველგვარი ბატონობა არის ერთი მუჭა მოძალადეების დღეკეთილობა ჩაგრულთა და დაღდასმულთა ზურგზე. ეს ტრილოგია, რაც ქართულ ენაზეც გამოდის, სამაგიერო წიგნებია ყველასათვის, ვისაც რელიგიების ნამდვილი არსი და ხალხთა ბედი აინტერესებს.

ჩვენ თვალი გადავავლეთ იმ სისხლიან კვარცხლბეკს, რომელზედაც აღმართულია კათოლიკური ეკლესიის ისტორიის მთელი ახალი ეპოქა — ვატიკანის უკანასკნელი ასი წელი. ჩვენს წინაშეა მთელი მისი შუქი და ჩრდილი. სამწუხაროდ, საქმე აქაც სულ ჩრდილთან გვექნება, რადგან შავი ანაფორის მთელს ძვირფას ქსოვილში ერთი თეთრი ძაფიც არ ურევია, რომ სხივის იმიტაცია მაინც შექმნას. რა გაეწყობა, სიმართლეს არ ეღალატება, თორემ ჩვენ გადმოცემაც კი გვიჭირს იმ საშინელებისა, რასაც ტირანები აკეთებდნენ.

ნათლის სვეტმა ვატიკანშიც შეაღწია

●როცა რესპუბლიკური იტალიის ძლევამოსილი ჯარი რომში შევიდა, ფრანგთა ხიშტებზე აგებული ტერორისტული რეჟიმი დაემხო და პაპის საერო ძალაუფლება სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდა. პიუს IX ვატიკანის წმინდა ბუნაგის შიდა აპარტამენტებში ჩაიკეტა, თავი „მორალურ ტყვედ“ გამოაცხადა, უარჰყო გარანტიის კანონი, რაც პაპს მხოლოდ საერო ხელმწიფედ ცნობდა, და ქედმაღლურად შესძახა: „ვიდრე ძალაუფლებას არ დამიბრუნებთ, აქედან არ გამოვალო!“ სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, დახავსებული კედელი ჩამოწმინდეს, ობობა ხვრელში შეძვრა და თქვა: „დაშალეთ ქსელი, არ მეშინია. დაიძინებთ და ისევ გამოვძვრებიო!“

კაცობრიობა დაძინებას აღარ აპირებდა. პაპს ძალაუფლება დრომ წაართვა, დრო კი არაფერს არ აბრუნებს.

ახალი დროის შუქმა ბნელ ხვრელშიც შეაღწია, შხამიან მგუდავს თვალი მოსჭრა და ჩააფიქრა. ფიქრმა პაპს თავი დაუმსხვილა.

პიუს მეცხრეს, სხვათა შორის, სამხედრო კარიერას უმზადებდნენ. მაგრამ ბნედა გამოაჩნდა და ბნედიანი სადღა გამოდგებოდა, თუ არა სასულიერო სარბიელზე! მამამისი ხომ გრაფი იყო, თანაც პაპის ნათესავი, და ახალგაზრდა მღვდლის კარიერას წინ რა დაუდგებოდა!

პიუსმა წინამორბედთა ყველა ობსკურანტული ღონისძიება შეაჯამა და სინათლის წინააღმდეგ მიმართულ ბირთვად შეკრა. მისი „სილაბუს ერორუმ“ ანუ ცთომილებათა სია თავს უყრიდა ყველაფერს, რაც ოდესმე პაპობის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული, და ყველაფერს აცამტვერებდა. პავლე მეოთხეს „ინდექსის“ —აკრ-

ძალულ წიგნთა სიის შემდეგ ასეთი ბნელი სია არავის შეუდგენია. სინამდვილეში კი თვითონ პაპი აღმოჩნდა პირველი ცთომილი და გაცამტვერებული იმ შუქის ძალით, რასაც ამაოდ ებრძოდა.

პიუს IX არ ყოფილა ორიგინალური პაპი. ისიც უხვად ურიგებდა საქრისტიანოს მრავალმილიონიან სამყაროს კეთილ რჩევას: ითმინეთ, ილოცეთ, იმარხულეთო! მოკლედ, პაპი უხვად აფრქვევდა რჩევას იმქვეყნიურ სიამეზე, ამქვეყნიური სიამე კი მხოლოდ ერთხელ დაიეწყა: როცა მიიცვალა. მერე მთელი ქონება დედამიწაზე დატოვა, თვითონ კი ცარიელ ცაში წავიდა. რა გულის ამაჩუყებელი ნაბიჯი იყო ეს კეთილი მოხუცის მხრით! მისი პონტიფიკატის დროს ვატიკანის ბუნაგში ასე თუ ისე მთელი ძალით შეიჭრა ნათლის სვეტი. კათოლიკური ეკლესიის მომდევნო ასი წლის ისტორია, ესაა ძირითადად ამ შუქთან შეგუების ცდის ისტორია, იმავე დროს მღვდელმთავრები ამ შუქს წყეველა-კრულვას უთვლიან.

ლევ XIII და იმპერიალიზმთან შეგუება

● პიუს მეცხრის პოლიტიკამ წმინდა კოლეგია დაარწმუნა, რომ ჯიქურ სვლა ძველი გზით პაპობის უარეს იზოლაციას გამოიწვევდა. საჭირო გახდა უფრო ზომიერი პაპის არჩევა, რომ იმპერიალიზმის ეპოქის მოთხოვნებს შეგუებოდა და რაიმე შეთანხმებით ეხსნა პროგრესის მუხრუჭად ქცეული პაპობა.

კარდინალთა ვარაუდით, ასეთი უნდა ყოფილიყო ლევ XIII.

ლევ XIII, ჯოაკინო პეჩი, შეძლებული მიწათმფლობელის, წოდებით გრაფის შვილი იყო. 1810 წელს დაბადებულმა ჯერ პაპის სათავადაზნაურო აკადემია დაამთავრა, კანონიკური და სამოქალაქო სამართლის სპეციალობა მიიღო, მერე რომის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

პაპმა გრიგოლ XVI პეჩი თავის კამერ-იუნკრად დანიშნა. 1837 წელს მან მღვდლის ხარისხი მიიღო. შვიდი წლის შემდეგ არქიეპისკოპოსის კვერთხი ებოძა და ნუნციუსად გაიგზავნა ბელგიაში. შემდეგ 32 წელი გაატარა პერუჯიაში; ასეთი იყო კარდინალ ანტონელის ნება: ცბიერი პრელატი ამ კაცში მომავალ პაპს ხედავდა, ტახტი კი თავისთვის უნდოდა და ლომის ნახტომისა ეშინოდა, სახიფათო მეტოქეს ახლოს არ აჭაჭანებდა. ანტონელი იმ თავებს გა-

ნაგებდა, რომელთაც ტიარა ეხურათ, თუმცა თვითონ ისე ჩავიდა მიწაში, რომ მის მელოტ თავს ტიარა არ შეხებია. ეს მოხდა 1876 წელს. პიუსმა პეჩი მაშინვე რომში დაიბარა. ორი წლის შემდეგ ის პაპი გახდა.

ლევ XIII იყო პირველი პაპი, რომელიც იტალიის გაერთიანების შემდეგ აირჩიეს. ამრიგად, ისაა ბურჟუაზიული პაპობის „პირველი მერცხალი".

ხალხი ფიქრობდა, რომ ახალი მღვდელმთავარი შეგუებული იქნებოდა საერო ძალაუფლების დაკარგვასთან, მაგრამ როგორც ყოველთვის, მოლოდინი არც ახლა გამართლდა. ლევი ცდილობდა შუა საუკუნეების კათოლიციზმი ახალ ბურჟუაზიულ წყობილებასთან შეეგუებინა ,ეს იყო მისი კარდინალური ხაზი.

პირველივე ენციკლიკით მოითხოვა რომიდან იტალიელთა გასვლა და პაპის საერო ძალაუფლების აღდგენა. ეს ფანტასტიკური განზრახვა ვერ განახორციელა, მაგრამ ეკლესიას კი მტკიცედ ჩასჭიდა ხელი და მრავალმილიონიან სამწყსოს ისე მართავდა, როგორც ბებერ მგელს შეეფერება.

სახელად რომ ლევ XIII აირჩია და არა პიუს X, ეს უკვე ნიშნავდა, რომ წინამორბედის გზით არ წავიდოდა, ე. ი. მარტოოდენ შუა საუკუნეთა ძალებს — მეფეებსა და ფეოდალებს არ დაეყრდნობოდა, მაგრამ არც მას დავიწყებია ძველი ანდაზა: ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო. ამისი ნათელი დადასტურებაა ბნელი ღონისძიება, რაც 1879 წელს გაატარა: კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ ფილოსოფოსად გამოაცხადა თომა აქვინელი, გარდასულ საუკუნეთა კუშტი ღვთისმეტყველი, ბნელეთის მოციქული. ამით გამოიჩინა თავი, როგორც წყვდიადის ტრფიალმა, პროგრესის მტერმა, რომელიც წინ აღუდგა საერო განათლებას, მუშათა მოძრაობას, სოციალიზმსა და ნიჰილიზმს.

ლევ XIII დროს ფართოდ გაიშალა მუშათა მოძრაობა. პაპმა ეს იცოდა და ყველა ღონისძიებით ცდილობდა მშრომელთა ჩამოშორებას რევოლუციური ბრძოლის მიზნებისაგან. ტყუილად როდი მიმართავდა სახელმწიფოებს ენციკლიკით „ლიბერტას": რელიგია სახელმწიფოს საკვირველი თანაშემწეაო. ახალ ვითარებასთან შეგუებას ამ სახით ცდილობდა: მუშებს კათოლიკურ ორგანიზაციებში აბამდა და ჩააგონებდა: ბრძოლა დაგღუპავთო. სამაგიეროდ მჭიდ-

როდ დაუკავშირდა გერმანიისა და ამერიკის მონოპოლიურ კაპიტალიზმს. მისი მისიონერების ბანდა მოედო შორეულ ქვეყნებს — სამხრეთ ამერიკას, პოლინეზიას, ფილიპინის კუნძულებს... ძველ ბებერი მხეცი ახალ გარემოს ეგუებოდა.

მიუნხენელი მხატვრის ფრანც ფონ ლენბახის ჩინებული პორტრეტიდან პირდაპირ შემოგვცქერის მომღიმარი, ცბიერი, გამჭრიახი ლევ XIII. მრგვალი ბრილიანტის ბეჭდით დამშვენებული მარჯვენა ხელი თეთრი სამოსით დაფარულ კალთაზე დაუსვენებია, მარცხენაში ცხვირსახოცი უჭირავს, თავზე თეთრი ბერეტი ახურავს, ვარდისფერ ზედა სამოსელს ფაფუკი ბეწვის ქობა ამშვენებს. პაპი სავარძელში ზის და თითქოს კაცობრიობას ეუბნება: აი, წამოვდგები და შენ დაეცემიო. უნდა ეთქვა: თუ წამოვდგებიო... მაგრამ პაპს წამოდგომა უჭირს.

სიტყვით მისიონერი — საქმით მილიონერი

● მისია ლათინურად დავალებას, გაგზავნას ნიშნავს. დავალება სხვადასხვანაირია, ყველას ვინ მოთვლის. ჩვენ საქმე გვაქვს ქრისტიანული რელიგიის მოციქულებთან, რომლებიც ჭირს ავრცელებენ და ოქროს იხვეჭენ.

მისიონერი ის კაცია, რომელიც „ველურ“ ხალხებში ქრისტეს მცნებას ქადაგებს, საცოდავ ჩამორჩენილ კაფრებს, კუნძულელებს, იროკეზებს, ინდიელებს, ინდოელებსა და მისთანა მოუნათლავ ხალხს ასწავლის, როგორ უნდა ზიდოს კოლონიზატორთა უღელი, როგორ დაწნას მათრახი საკუთარი ზურგის ასაჭრელებლად, როგორ აგროვოს კაუჩუკი, შაქრის ლერწამი, ნიანგის ტყავი, ოქრო და სხვა მისთანა სიკეთე, როგორ უდრტვინველად ემსახუროს მას, ვინც „მამაო ჩვენო“ ასწავლა, კაცთმოყვარეობა უქადაგა, ბიბლია წაუკითხა... მოკლედ, ეს მთელი მეცნიერებაა. 1963 წლიდან მას ხალხთა ევანგელიზაციასაც ეძახიან.

მისიონერი წყნარად ჩადის რომელიმე ნავსადგურში, ქალაქში ან სოფელში, სანთლით იწყებს და კოცონით ამთავრებს. ესაა დაზვერვა. უკან ვაჭრები და ავანტურისტები მიჰყვებიან, მერე ქრისტეს არმიაც მიდის, რომ ურჩებს მორჩილება ასწავლოს. ასე გრძელდება საუკუნეების განმავლობაში.

მისიონერთა საქმეს განაგებს ვატიკანის კონგრეგაცია, რაც 1622 წელს დაარსდა, გრიგოლ XV დროს. როგორც უზენაეს სასულიერო იერარქიას, ისევე ჯაშუშთა ქსელსა და მისიონერთა გაერთიანებებსაც ამარაგებენ სხვადასხვა რელიგიური ორდენები, უმთავრესად კი იეზუიტები. იეზუიტი რომ ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად წავა, ეს იგივეა, რომ მგელს დაავალო სათნოება გაავრცელოს ცხვრის ფარაში.

ცხადია, იყვნენ აქა-იქ შედარებით პატიოსანი მისიონერებიც, განათლებული ადამიანები, რომელთაც სწამდათ მაინც თავიანთი მისია, მაგრამ ჩვენ თეთრ ყორნებზე რბოდი ვლაპარაკობთ. მისიონერული საქმიანობა, ფარული თუ აშკარა, ყოველთვის დაკავშირებული იყო საეკლესიო კომპანიებთან, ფინანსიურ კაპიტალთან, ჯაშუშურ საქმიანობასთან. მისიონერებად მიდიოდნენ იეზუიტები, ფრანციისკანელები, კარმელიტები, დომინიკანელები, ბენედიქტინელები... მსოფლიოს ევანგელიზაციის ეს შავი მოციქულები უმალ ყორანთა გუნდებს მოგვაგონებენ, ჯიდრე სარწმუნოების მტრედებს.

მიდიოდნენ აბეზარი მისიონერები ახალ ქვეყანაში, აცტეკების ამაყ ბელადს სახარებას უჩვენებდნენ, ქრისტეს ჯვარცმის ისტორიას უამბობდნენ. წარმართნი მხრების აჩეჩვით აძლევდნენ პასუხს: „რად მინდა თქვენი მოკვდავი ღმერთი, როცა თვითონ უკვდავი ღმერთი მყავს? რა ღმერთია ის, რომელიც ადამიანებმა მოკლეს? და რა ადამიანები არიან ისინი, რომელთაც ღმერთი მოკლეს?“ ასეთი იყო მეფის პასუხი — „ირეკეზების“ მიამიტი მეფისა!

მრავალმილიონიანი ხალხის ბელადი ქრისტეს მსხვერპლი ხდებოდა.

პოლინეზიის კუნძულებზე თუ აფრიკის ჯუნგლებში, ამერიკაში თუ ინდოეთში ასეთი დიალოგი იმართებოდა:

— ილოცეთ, ცოდვილნო!

— ლოცვა შიმშილს არ გვიკლავს.

— იკითხეთ სახარება.

— ის არაფერს არ გვეუბნება.

— ჩვენ აგიხსნით.

— თქვენ ავაზაკები ხართ.

— ჩვენ მისიონერები ვართ.

— თქვენ სიკვდილი მოგვიტანეთ.

— ჩვენ შუქი მოგიტანეთ.

— შუქი ქოხმახთა კვამლისა, ცეცხლი ხანძრისა, ღამით გემზე რომ ჩნდება, ტრიუმებს ანათებს, მაგრამ გემს ღუპავს.

მისიონერთა მფარველობაში დანარჩენ პაპებს არც ლევ XIII და პიუს X ჩამორჩებოდნენ.

ლევის მისიონერებმა ფილიპინელთა ბედი დანავსეს.

1910 წელს იმპერიალისტურმა ქვეყნებმა გერმანელი ფელდმარშლის გრაფ ფონ ვალდერზეეს სარდლობით სისხლში ჩაახრჩო ჩინეთის სახალხო აჯანყება. მისიონერები ხალხის ჟლეტას ქადაგებდნენ. მერე, როცა თავის დროზე ვალდერზეემ პაპი ინახულა, მას ვატიკანის ორდენი ებოძა.

1950 წელს წმინდა წლის საბაბით შეკრებილ კათოლიკურ ორდენთა ვატიკანის საკრებულომ ჯაშუშთა მთელი ბანდა გამოგზავნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: ვითომ მისიონერებს ვაგზავნითო.

მისიონერთა ნიღაბზე „ქველმოქმედება“ ეწერა, მაგრამ ვნახოთ, როგორი იყო ქრისტეს მოციქულთა ქველმოქმედება. 1951 წელს კანტონში კათოლიკური კანადის მისიის „უბიწო ჩასახვის“ ობოლთა თავშესაფარში სამი ორმო ნახეს, სავსე ბავშვთა გვამებით. როგორც გამოირკვა, რაღაც ერთ წელიწადში თავშესაფარში 2216 ბავშვი მიუღიათ, აქედან სულ 48 დარჩენილა ცოცხალი და ისიც ჭლექით სნეული. ამრიგად, სიკვდილიანობა თავშესაფარში თითქმის 98 პროცენტს აღწევდა. აღმზრდელი მონაზვნები, ეს ავი დედინაცვლები, ბავშვებს სცემდნენ, აშიმშილებდნენ, თვითონ კი გარყვნილებასა და ფუფუნებაში ატარებდნენ დროს. არც სხვა სახლებში ყოფილა უკეთესი მდგომარეობა. რამდენიმე ქალაქში მისიონერთა მეურვეობით გახსნილ მოზარდთა თავშესაფრებში 23 წლის განმავლობაში 58 000 ბავშვი დაღუპულა.

იუკატანის კოლონიზატორი ბერი დიეგო დე ლანდა განუწყვეტლივ ანადგურებდა ძველი მექსიკის კულტურის ძეგლებს. დიდი რუსი მოგზაური მიკლუხო-მაკლაი შეშფოთებული იყო პოლინეზიის კუნძულებზე არსებული მდგომარეობით, რაც მისიონერებმა შექმნეს. მართალია, წერა-კითხვას კი ასწავლიან, მაგრამ „მისიონერებს კვალდაკვალ მიჰყვებიან ვაჭრები და ყველა ყაიდის მჩაგვ-

რელები, რომელთა ზეგავლენა გამოიხატება ლოთობის, სნეულებათა, ცეცხლსასროლი იარაღის და ა. შ. გავრცელებაში. არა გვგონია ეს „ცივილიზაციის ქველი საქმეები“ წერა-კითხვისა და ფსალმუნთა გალობის ცოდნამ გააბათილოს“.

პიუს XII კი 1957 წელსაც აუწყებდა ხალხებს, თქვენი მტერია არა იმპერიალიზმი, არამედ „ათეისტური კომუნიზმი“.

მისიონერთა ნამდვილი მისია იყო უცხო ტომთა გადაშენება და მათს ნასახლარზე მილიონერთა სასახლეების აღმართვა.

მაგრამ პროგრესის ძალებსაც აქვთ თავიანთი მისია: გზები ჩაუკეტონ მისიონერ-იეზუიტებს, რომელთა დანიშნულებაა ხალხთა საგანძურიდან მილიონების ამოქაჩვა.

მუშათა პაპი

● ეს კიდევ რაღაა, მუშათა პაპი? არსებობს ასეთი პაპიც?

კათოლიკურ ლიტერატურაში არსებობს. ლევ XIII მონათლულია, როგორც „ზნეობის მაგალითი“, „სოციალური რეფორმატორი“, „მშრომელთა მფარველი“, „ახალი გზების მაჩვენებელი“. ეს უკანასკნელი ეპითეტი სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს. ახალ გზებს ნამდვილად უჩვენებდა მორწმუნეებს, მაგრამ საით მიდიოდა ეს გზა? შუა საუკუნეთა წყვდიადში.

ლევს „მუშათა პაპიც“ კი უწოდეს, რადგან მოიცალა და 1891 წლის 15 მაისს მუშათა საკითხზე ენციკლიკა გამოაქვეყნა: ცნობილი „რერუმ ნოვარუმ“, კათოლიკური ეკლესიის სოციალური დოქტრინა, რაც საფუძვლად დაედო ახალი დროის პაპობის მთელს საქმიანობას.

რას წარმოადგენს ეს ენციკლიკა? კერძო საკუთრება ღვთისაგანაა და მისი გაუქმება არავის შეუძლია; კლასობრივი უთანასწორობა ბუნების კანონია, „ღრმა და ნაირფეროვანი“. როგორც ორგანიზმის ნაწილებს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ ქმნიან ერთიან ჰარმონიას, ასევე საზოგადოების ყველა კლასი და წოდება ბუნებით დაკანონებულ ფუნქციას ასრულებს და ქმნის საერთო წესრიგს, რაც „ისე უნდა დავტოვოთ, როგორც არის“. მუშის ხვედრი ამქვეყნად მძიმეა და იქნება, უნდა იყოს კიდეც — პირველი ცოდვის გამო, — მაგრამ თავისი ამქვეყნიური ტანჯვისათვის ღირსეულად იქნება დასაჩუქრებული საიქიოში.

ამრიგად, ლევ XIII თავისი ნახტომით თორმეტსავე წინამორბედ „ლომს“ აჭარბებს, რადგან ინდულგენციების ფულს არც კი ახარჯვინებს მუშებს, ისე ჰპირდება საიქიოს სასუფეველს. განა ამ იმედით აღჭურვილ მუშას შიშისა და შიმშილის ატანა გაუჭირდება? ნამდვილად, ლევ XIII მუშათა სულის პაპია.

ამ ენციკლიკის პირველ ნაწილს „ყალბი წამალი“ ეწოდება. რა არისო ყალბი წამალი? პაპის ნუგეში? არა, სოციალიზმი, რაც თურმე „მუშებს ზიანს აყენებს“, რადგან სპობს კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების მოსპობა პაპის მტკიცებით ღუპავს მუშას, რადგან ართმევს საშუალებას, რომ დანაზოგით გამდიდრდეს, შეიძინოს მიწა და ნივთები. ეს დებულება იქცა კათოლიკური ეკლესიის დოგმად.

პაპმა დააგვიანა. „რერუმ ნოვარუმ“ გამოვიდა იმ დროს, როცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ 43 წლის გამოსული იყო. როგორც ჟან ჟორესმა შენიშნა, „ეკლესიამ მაშინ დაიწყო სუსტებით დაინტერესება, როცა ისინი ძალად იქცნენ“. შრომისა და კაპიტალის ეს შერიგება ახალი როდი იყო. ჯერ კიდევ 1848 წელს ქადაგებდა მას მაინცის არქიეპისკოპოსი კეტლერი.

თავისი ენციკლიკა ლევმა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე III გაუგზავნა და თვითმპყრობელს მოეწონა პაპის სიბრძნე.

მაგრამ რომელმა ანგელოზმა ჩააგონა ლომს ცხვრების შებრალება? რატომ შეწუხდა პაპი მუშებისათვის? იმიტომ, რომ რევოლუციის მახვილოსანი ანგელოზი ეჩვენებოდა ბარიკადებზე და ხომ უნდა ჩამოეყვანა დაბლა? როგორ მოახერხებდა ამას, თუ დემაგოგიას არ მიმართავდა?

ლევ XIII კუშტად შეხვდა პარიზის კომუნას. ვერ მოინელა მისი დეკრეტები და რვა წლის შემდეგაც აცხადებდა: „ებრძოლეთ ყველას, ვინც თავის თავს სოციალისტს, კომუნისტსა და ნიჰილისტს ეძახისო“. მაშ როგორ! ისინი არყევენ ტახტებს, ეხებიან მდიდართა ქონებას. ლევი მოკავშირეებს ეძებდა. ყველაზე საიმედო მოკავშირედ ალექსანდრე III მიაჩნდა. ძალიან აფასებდა თავის კეთილ შვილს ვილჰელმ მეორესაც. 1903 წელს გერმანიის იმპერატორმა რომის პაპი ინახულა. ლევმა უთხრა: დიდ იმედს ვამყარებ შენზე და გავალებ დააბრუნო ევროპა ქრისტიანობის წიაღშიო. ვილჰელმმა პაპი სამჯერ ინახულა. ასეთი შორსმჭვრეტელი პაპი ოთხჯერ

ნახვის ღირსიც იყო: დიდი საფრთხე განჭვრიტა და რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთის კავშირის შეკვრა მოითხოვა.

„მუშათა პაპი" არ იქნებოდა წინააღმდეგი, რომ გრიგოლ VII დროის პაპობა აღედგინა და ევროპას თავისი ჭკუის მასწავლებლად ეღიარებინა. აკი ტახტზე ასვლისთანავე განაცხადა პროტესტი „ტახტის უზურპაციის" გამო: რომს დავტოვებო, იმუქრებოდა, და ავსტრიის იმპერატორთან დაიწყო მოლაპარაკება. რამდენჯერაც იტალიის მთავრობას უცხოელთა წარმომადგენლები ეწვეოდნენ, პაპი ეჭვიანი როსკიპივით შეიცხადებდა: როგორ თუ პარლამენტს ესტუმრეთ, მეფეს ესტუმრეთ და პაპს კი არაო! მართალიც იყო: ბოლოს და ბოლოს, არის თუ არა ის პაპი? დიახ, პაპია და არ ცნობს რომს იტალიის დედაქალაქად. ასე წამოიჭრა „რომის საკითხი", რაც დიდ სიძნელეს უქმნიდა იტალიის მთავრობას.

ლევის ოცნება მხოლოდ 1929 წელს შესრულდა, ისიც ნაწილობრივ, როცა ფაშისტებმა ვატიკანის მინიატურული სახელმწიფო შექმნეს.

რაკი დარწმუნდა, პაპის გულისათვის გერმანია იტალიის მთავრობას არ წაეჩხუბებაო, თვითონაც იმავე გერმანიასთან შეკრა კავშირი, თან მეგობრობის ხელი გაუწოდა „კათოლიკური ეკლესიის უფროს ასულს" — საფრანგეთს, თუმცა მეორე ხელით მასვე ებრძოდა ანტიკლერიკალური კანონების გამოცემისათვის. კავშირს კრავდა რუსეთის მეფესთანაც, რომ უზარმაზარ იმპერიაში თავისი მისიონერებისათვის გზა გაეხსნა.

„მუშათა პაპი" არც შორეულ წინაპართა შემოსავლის წყაროებს ივიწყებდა, ინოკენტი XXII გაიხსენა. როგორც ამ ხარბმა მღვდელმთავარმა 1700 წელი საიუბილეოდ გამოაცხადა, თვითონაც 1900 წლის საიუბილეო წლის მოსავალი მოიმკო, და მერე რა ბარაქიანი! ასეთი მრგვალი თარიღებით უზენაესი თავის რჩეულებს ასაჩუქრებდა. მორწმუნეებისათვის კი ჟამთასვლას ვერაფერი უსწავლებია. რომს ოთხასი ათასი მლოცველი მიაწყდა. ვატიკანის დარბაზები ისევ აივსო ოქრო-ვერცხლით. რომის პაპი ისევ იქცევდა ქვეყნიერების ყურადღებას. საიუბილეო წელი გლოვის წლად ექცა იტალიის მეფე უმბერტოს, რომელიც ანარქისტმა ტყვიით განგმირა, პაპი კი ზეიმობდა.

„მუშათა პაპმა“ აფრიკის განაწილებაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა. აფრიკა ხომ ლომთა ქვეყანაა და „მეცამეტე ლომი“ რისთვის შეუშლიდა ხელს შავ ხმელეთზე მონავარდე იმპერიალისტურ აფთრებს, რომელთაც მილიონობით სიცოცხლე შეიწირეს!— შავკანიანთა სისხლი ლევის სალაროებში ყვითელ ოქროდ იქცეოდა.

პაპი წინ აღუდგა ბიბლიის მეცნიერულ კრიტიკას და მიზანში ამოიღო მოდერნიზმი — კათოლიკური ეკლესიის წიაღში შექმნილი მიმდინარეობა, რაც რელიგიისა და მეცნიერების შერიგებას ცდილობდა. მეცნიერება ხომ რელიგიის მოახლეა! ასე ბრძანებდა დიდი თომა აქვინელი.

1899 წელს ლევმა გამოაქვეყნა ენციკლიკა „ამერიკანიზმის ერესის წინააღმდეგ“. ამით დახავსებულ დოგმებს იცავდა. თვით გამოჩენილი თეოლოგები — შელი, აბატები ლუაზი და დიუშენი, იეზუიტი ტირელი გამოდიოდნენ საეკლესიო დოგმების წინააღმდეგ, უარყოფდნენ ქრისტეს ღვთაებრივ ჩამომავლობას, არყევდნენ ტახტს, და ლევს მშვიდად რა დააძინებდა!

როგორც ვხედავთ, ლევ XIII მრავალ სფეროში მოღვაწეობდა, მრავალ კარდინალურ პრობლემას შეეხო, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც ის იყო, რომ დრო წინ მიდიოდა, ეკლესია კი ისევ ბნელში რჩებოდა და მის სიბნელეს მფარველად ედგა ცრუმორწმუნე პაპი, წინსვლის მტერი.

ეს ცხადჰყო ე. წ. ლეო ტაქსილის საქმემ, რამაც საბოლოოდ გააშიშვლა ლევიც და მისი კათოლიკური ეკლესიაც.

25 წელი იჯდა ლევ XIII ტახტზე და თავისი დაუღალავი ცდით მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ პაპობის ოდინდელი დიდების აღდგენაზე ფიქრი აბსურდია. თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, საეკლესიო სარბიელზე ის მაინც სხვა პაპთა მსგავსი აღმოჩნდა: ჩვეულებრივი მღვდელი და პროგრესის მუხრუჭი. თვალსაჩინო ობსკურანტი ადრევე უნდა გადაეყირავებინათ, მაგრამ პაპებისათვის კანონი არ დაწერილა. ამ ჯიშის ტირანები ტახტზე სიკვდილამდე სხედან. პეჩის ტიარა მტვერში დაეცა. მხოლოდ 1903 წლის 20 ივლისს, როცა მღვდელმთავარი 93 წლისა იყო.

ამ უჩვეულოდ დღეგრძელი პაპის უნდილ პორტრეტზე უჩვეულოდ წინ წამოწეული ქვედა ტუჩის გარდა მხოლოდ ერთი თავი-

სებური შტრიხი შეინიშნება: მშვენიერ ლექსებს წერდა გამართულ ლათინურ ენაზე. მაგრამ შინაარსს ნულარ იკითხავთ. ჩვენ ეს ლექსები არ წაგვიკითხავს, რადგან რატომღაც კაზმული ლიტერატურის არც ერთ ანთოლოგიაში არ შეაქვთ.

პიუს X — ერთეულების არჩეული, მილიონების შეურაცხმყოფელი

● პიუს X, ჯუზეპე სარტო, 68 წლის მოხუცი იყო, ტახტზე რომ ავიდა, უფრო სწორად — ტახტზე რომ დასვეს. „სულიწმინდას", რომელმაც თავისი ჩარევით უზრუნველჰყო პაპის არჩევა, ამჯერად ავსტრიის ორთავიანი საიმპერიო არწივის სახე ჰქონდა.

ცხრაკლიტულში ჩაკეტილი კონკლავი ირწმუნებოდა, მხოლოდ უფლის ნებას ვასრულებთო, სინამდვილეში კი გარესამყაროდან იღებდა მითითებებს. ყველაზე ძლიერი დაჯგუფება კარდინალ რამპოლას უჭერდა მხარს, ლევ მეცამეტის ნაცად მრჩეველსა და მარჯვენა ხელს. ამას გერმანიის კანცლერი ბიულოვიც ამტკიცებს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელკასემ თავის კარდინალებს მიუთითა, რამპოლას მიეცითო ხმა, და მართლაც 24 ხმა მიიღო, მისმა მეტოქემ სარტომ კი — მხოლოდ ხუთი. მაშინ საქმეში ჩაერია გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომელსაც მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთის კარდინალი პუზინა. კოლეგიას იმპერატორის ნება ეუწყა. ბოლო კენჭისყრაში რამპოლამ მხოლოდ ათი ხმა მიიღო, სარტომ კი — 50, ათჯერ მეტი, ვიდრე წინა დღეს!

ამრიგად, პაპის ტახტზე ავიდა გერმანელთა და ავსტრიელთა კანდიდატი სარტო, რომელმაც პიუს X დაირქვა.

სარტომ დაამარცხა რამპოლა, დაიხურა ტიარა და 11 წელი განაგებდა საქრისტიანოს. 68 წლის პაპს დიდი თავი არა ჰქონდა, მაგრამ რა საჭიროა ტახტზე თავი?

ჯუზეპე სარტო 1835 წელს დაიბადა. 1858 წელს მღვდლად ეკურთხა, 1884 წელს — ეპისკოპოსად. 1839 წლიდან კარდინალი და ვენეციის პატრიარქია.

სარტო-პიუს X თავიდანვე აცხადებდა: პოლიტიკაში არაფერი გამეგება, დიპლომატიასთან კი არაფერი მესაქმებაო. მაგრამ როგორ აქცევდა ზურგს ახალი დროის პაპი პოლიტიკასა და დიპლო-

მატიას, როცა იტალიაში სოციალიზმს ასეთი წარმატება ჰქონდა, ხალხმა კი „დაივიწყა ღმერთი და განუდგა ეკლესიას“! სოციალიზმთან ბრძოლაში პაპი კაიზერის გერმანიასა და მეფის რუსეთს დაეყრდნო, ეს კი პოლიტიკაა.

პიუს X განუხრელად განაგრძობდა ლევ XIII გეზით სვლას, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მუშათა მოძრაობას, დაწყეველა მოდერნიზმი, თომა აქვინელის მოძღვრება (თომიზმი) საყოველთაო სავალდებულო მოძღვრებად გამოაცხადა. შეცვლილი ვითარება დახვეწილ პოლიტიკურ ცბიერებას ითხოვდა. ეს ღირსება კი პიუსსაც ჰქონდა. დემოკრატიის დაუძინებელი მტერი ამას მაინც გულახდილად ამბობდა: „როგორ შეიძლება მბრძანებელი ხალხი იყოს? ხალხი ქვეშევრდომია და ქვეშევრდომად უნდა დარჩეს“. ასე განუცხადა რუსეთის მეფის წარმომადგენელს საზონოვს 1907 წელს. ახალ პაპს ლაპარაკიც არ სურდა „ახალ ქრისტიანულ ცივილიზაციაზე“. მეცნიერების განვითარებას კი დაუპირისპირა შუა-საუკუნეების კლერიკალური იდეების აპოლოგია, აქეზებდა ჰაბსბურგებს, ადიდებდა ავსტრია-უნგრეთის აგრესიულ პოლიტიკას. მოკლედ, ნამდვილი პაპი იყო!

რუსეთის რეაქციული წრეები გრძნობდნენ ამას. 1905 წელს პიუს X ენციკლიკით მიმართა რუსეთში მყოფ კათოლიკებს. მეფის მთავრობამ მის ავტორში მოკავშირე ნახა. 1906 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამზდორფმა მეფეს ურჩია, ვილჰელმსა და პიუსს შევთავაზოთ კავშირიო. მეფემ მინისტრის მიმართვას ასეთი რეზოლუცია დაადო: „დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მოლაპარაკებას. სავსებით ვიზიარებ აქ გამოთქმულ აზრებს“. გასაგებია, რა აზრები დაებადებოდა თავში ლამზდორფს. ასეთი აზრები საუკუნეების განმავლობაში მოფრინავდნენ მბრძანებელთა თავებიდან და მათ ყორნებისაგან ვერ გაარჩევდით.

მოდერნიზმთან ბრძოლაში პიუს მეათემ პიუს მეცხრის კურსი განაგრძო. პიუს მეცხრის „სილაბუსის“ მსგავსად მანაც გამოსცა „ლამენტაბილე“, რითაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მოდერნისტებს, ბიბლიის თავისუფლად შემსწავლელებს და კრიტიკოსებს, სერიოზულად განაცხადა, რომ ბიბლიის მთავარი ავტორი თვით ღმერთია, და ეს მოხდა 1907 წელს!

სამი წლის მოგვიანებით, 1910 წლის 26 მაისს გამოქვეყნდა ე. წ. ბარომეის ენციკლიკა. პაპმა ისარგებლა ბარომეის კანონიზაციის 300 წლისთავით და თავს დაატყდა რეფორმატორებს, რომელთაც კარდინალი კარლ ბარომეი ებრძოდა, უწოდა მათ ქრისტეს მტრები, დამნაშავეები, რომელთა ღმერთი სტომაქია... მილიონობით პროტესტანტი აღაშფოთა ამ სამარცხვინო დოკუმენტის გამოქვეყნებამ, განსაკუთრებით რეფორმატორების კლასიკურ ქვეყანაში — გერმანიაში, სადაც ენციკლიკა პარლამენტმა განიხილა. პაპს პროტესტის წერილი გაუგზავნეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ ვატიკანის გერმანული საელჩო გაუქმდა. პაპი ახლაც კედელთან მიმწყვდეული მგელივით მოიქცა: ბოდიში მოიხადა, არავისი შეურაცხყოფა არ გვინდოდაო, ენციკლიკაში არც ერთი ხალხი არ დაგვისახელებიაო.

ასე ზედიზედ შეურაცხყოფდა ლევ X მილიონებს, შემდეგ კი თავს იკატუნებდა: როგორ გეკადრებათ, მე სათნოებას ვქადაგებ, ფარას მგელი იმისათვის მივუჩინე, რომ ქოფაკებისაგან დაიცვასო!

დიპლომატიური მარცხი

● პაპი-ქამელეონი ერიდებოდა სახელმწიფოების გადაკიდებას, მაგრამ ისეთი მოურჯულებელი და პატივმოყვარე ვინმე იყო, რომ თვით ყველაზე უფრო რეაქციულ მბრძანებლებთანაც უპირდა ბოლომდე თანხმობა.

პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახებამ პიუს X საფრანგეთთან და რუსეთთან წააჩხუბა. საფრანგეთს, „კათოლიკური ეკლესიის უფროს ასულს", ის თვლიდა მასონთა, უღმერთოთა, დემოკრატიის სავანედ. პაპი ლამის გააცოფა საფრანგეთის პრეზიდენტის ლუბეს საპასუხო ვიზიტმა იტალიის მეფესთან, რაც 1904 წლის აპრილში მოხდა. მღვდელმთავარმა ეს პირად შეურაცხყოფად მიიღო: როგორ თუ საქრისტიანოს დედაქალაქში ჩამოვიდა, მეფე ინახულა, მე კი არ მეახლაო! მართალიც იყო. პაპის ქოშს მტვერი მოედო, ფრიდრიხ IV შემდეგ ხომ მისთვის რიგიანად არავის უკოცნია! პაპი კი ისევ ისე ეპვიანობდა, როგორც ბებერი მეძავი, რომელსაც ყველამ ზურგი აქცია!

პიუს X ბუზღუნით არ დაკმაყოფილდა, საპროტესტო ნოტა გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობას: კათოლიკური ქვეყნის პრეზიდენტის ჩამოსვლა რომში არა პაპთან, არამედ იმ მეფესთან, რომელმაც პაპს ძალაუფლება წაართვა, ეკლესიის მამამთავრის შეურაცხყოფად მიმაჩნიაო, ბრძანებდა უნიკო დიპლომატი, რომელიც ძალთა თანაფარდობას ანგარიშს ვერ უწევდა.

პაპის ნოტა ჟან ჟორესმა თავის გაზეთ „იუმანიტეში" გამოაქვეყნა. პიუსის თავხედობამ მთელი საფრანგეთი აღაშფოთა. მთავრობა იძულებული გახდა ვატიკანთან დიპლომატიური კავშირი გაეწყვიტა. ეს იყო პაპის დიპლომატიის მორიგი მარცხი.

მალე ამას ახალი გართულება დაერთო. 1905 წელს საფრანგეთში გამოვიდა კანონი, რომლითაც ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო. ამით გააფთრებულმა პიუსმა ხერხს მიმართა: დააჩქარა საფრანგეთის ეროვნული გმირის ჟანა დ,არკის კანონიზაცია, რაც აგერ ოცდაათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. 1909' წელს წმინდა პეტრეს ტაძარში 30 000 ფრანგი მიმლოცველის დასწრებით წაიკითხეს პაპის სიგელი — ბრევე, რაც გმირ ქალწულს წმინდანად აცხადებდა. პაპს იმედი ჰქონდა, რომ ამ აქტით ფრანგ ხალხს გადაიბირებდა, მაგრამ ხრიკმა ვერ უშველა. ხალხს ვატიკანმა მეტად ბევრი სისხლის ცრემლი აღვრევინა, რომ ასეთ იაფფასიან ოინს გაეჭრა.

სახელოვანმა ორლეანელმა ქალწულმა ეროვნული განსაცდელის ჟამს განაცხადა, ღმერთი გამომეცხადაო, და ეს გამოცხადება გამოიყენა არა ქუჩის ჟომედიების გასამართავად, როგორც იმ დროის შარლატანებს სჩვეოდათ, არა ფულის მოსახვეტად და სექტის შესაქმნელად, არამედ თავისი ხალხის დასახსნელად გადამთიელთა — ინგლისელთა უღლისაგან. საოცარი რწმენის, ნიჭისა და სიმამაცის წყალობით უბრალო გლეხის გოგონამ, რომელსაც ის იყო 17 წელი შეუსრულდა, განუზომელი ავტორიტეტი მოიხვეჭა და დამპყრობელები მშობლიური მიწაწყლიდან განდევნა. მერე დუხჭირმა მეფემ კარლოს VII, რომელსაც ქალწულმა დაკარგული ტახტი დაუბრუნა, მასვე უმუხთლა, მტრის ხელში ჩააგდო, ეკლესიამ კი ეროვნული გმირი ჯადოქრად გამოაცხადა და რუანში დაწვა 1431 წელს. გავიდა დაახლოებით 500 წელი და პაპმა მოახდინა მისი კანონიზაცია. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ქალწული, რომელიც ეკლესიამვე დაწვა. ეს იყო ერთგვარი ქედის მოხრა პროგრე-

სის ძალების წინაშე, და იმავე დროს ხალხის გადმობირების ცდა იმავე პროგრესის ძალებთან საბრძოლველად.

საფრანგეთთან შეტაკება კიდევ გასაგებია, მაგრამ პიუს X ვერც მეფეებს ურიგდებოდა აგრე იოლად.

მეფეები კი პაპში მაინც მუდამ მოკავშირეს ხედავდნენ. 1905 წლის დეკემბერში პიუსმა გამოაქვეყნა ენციკლიკა, რომლითაც მარადიული სასუფევლისათვის ზრუნვას ყველა მიწიერ საზრუნავზე მაღლა აყენებდა. ენციკლიკა თავდებოდა ნიკოლოზ მეორის ქება-დიდებით. საგარეო საქმეთა მინისტრმა, როგორც ზემოთ ითქვა, ამ მიმართვის გავრცელება მოითხოვა.

რომის პაპი შრიგდება იტალიის მეფეს

● ცნობილია იგავი: ძაღლები ერთიმეორეს უღრენენ, მაგრამ მგელი რომ გამოჩნდება, ერთსულოვნად ეცემიანო. რომშიც ასე ხდებოდა. პაპი დარწმუნდა, რომ იტალიის მთავრობასთან დავა, რაც სამი ათეული წელი გრძელდებოდა, ვატიკანს სიკეთეს ვერ მოუტანდა. ამიტომ მისი გამოხდომების კილო საგრძნობლად შერბილდა.

იტალიის მთავრობასთან ოპოზიცია უწინარეს ყოვლისა სახიფათო გახდა იმის გამო, რომ გაძლიერდა მუშათა მოძრაობა და თვით პაპს შეექმნა საფრთხე „მარჯვნიდან". 1904 წელს იტალიის ხალხმა მკაცრად აიმაღლა ხმა სიცილიის და სარდინიის პოლიციის მხეცობის წინააღმდეგ. პაპი დაფრთხა და მთავრობასთან შერიგების გზას დაადგა. მაგრამ პიუს IX დეკრეტით იტალიელ სასულიერო პირებს იტალიის პარლამენტში მონაწილეობა ეკრძალებოდათ. ახლა ეპისკოპოსებმა ამ დეკრეტის გაუქმება მოითხოვეს. მეათე პიუსმა არ უღალატა მეცხრე პიუსს, დეკრეტი არ გააუქმა, მაგრამ სამღვდელოებას ნება დართო აერჩიათ და არჩეულიყვნენ პარლამენტის წევრებად, იმ პირობით, რომ მუშათა წარმომადგენლობას დათრგუნავდნენ. ამ საქმეში მოჩხუბარი ქოფაკები — პიუს X და მეფე ვიქტორ-ემანუელ III ძმები იყვნენ.

პაპისა და იტალიის მთავრობის თანამშრომლობა ნათლად გამოჩნდა 1911 წელს იტალია-თურქეთის ომში, რაც იტალიელმა მდიდრებმა წამოიწყეს ტრიპოლის დაპყრობის მიზნით. პაპის ნებართვით იტალიის ეპისკოპოსებმა ეს ომი დალოცეს. იტალიამ მაშინ

ხელთ იგდო ტრიპოლიტანია, კირენაიკა და კუნძულები. პიუს X ვიქტორ-ემანუელ მესამისა და ჯოლიტის მთავრობის მოკავშირე იყო. განთქმული რომის ბანკის სათავეში იდგა ერნესტ პაჩელი, დიდი საეკლესიო იერარქის, მომავალ პიუს XII ბიძა.

ასე იპოვა პიუს მეათემ „რომის საკითხის" გადაჭრის ლოიალური გზა. ან რად უნდოდა საერო ძალაუფლება, თუ საერო დოვლათი ისედაც ვატიკანში მოიყრიდა თავს?

მსოფლიო ომის პირველი მსხვერპლი

● არ გეგონოთ, რომ ლაპარაკია ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდზე, რომელიც 1914 წლის 28 ივნისს სერბიელმა ნაციონალისტებმა სარაევოში გასროლილი ტყვიით მოკლეს თავის ცოლთან ერთად, და გახდა პირველი მსოფლიო ომის ატეხვის საბაბი. არა, პირველი მსოფლიო ომის პირველი მსხვერპლი გახლდათ... პიუს X. თურმე მშვიდობის მოციქული თავგამოდებით ცდილობდა ომის თავიდან აცილებას და რაკი ეს ვერ მოახერხა, დარდისაგან მოკვდა. ეს მოხდა 1914 წლის 20 აგვისტოს. ვატიკანელმა ჩანეტიმ პიუსს „ჯოჯოხეთური ბრძოლის პირველი მსხვერპლი" უწოდა. ომის დაწყებიდან რაღაც ერთი თვის შემდეგ ქრისტეს მოადგილეს, 79 წლის მღვდელმთავარს მწუხარებისაგან გული გაუსკდა! განა გულის ამაჩუყებელი ამბავი არ არის, რომ პაპს გული აღმოაჩნდა? ის ხომ „ომზე მაღლა იდგა" და სულ მშვიდობას ქადაგებდა! მართალია, საქმით ქვეყნებს ერთიმეორეს უსისიანებდა, იტალიის დამპყრობელ არმიას გზას ულოცავდა, მეამბოხეთა დათრგუნვას მოითხოვდა, მაგრამ ესეც სულ მშვიდობის გულისათვის. პირველი მსხვერპლი ომის დაწყებიდან მთელი თვის თავზე! რა მშვიდობიანი ომი ყოფილა, არა?

ხუმრობა ხუმრობაა. სინამდვილეში კი პაპის მთელი ომამდელი საქმიანობა ომის სასარგებლოდ იყო მიმართული. მისი უწმინდესობა სასოებით შესცქეროდა ომის გამჩაღებელ ავსტრია-უნგრეთს და გერმანიას, რომელთაც მსოფლიო ბატონობით პაპის ტახტი უნდა განემტკიცებინათ. პაპს სლავების შემოსევისა ეშინოდა. ამიტომ მოიწონა ავსტრიის მკვეთრი პროტესტი, რაც სერბიას გა-

ეგზავნა, და სინანული გამოთქვა, რომ იმპერატორმა „აქამდე არ დასაჯა თავისი დუნაელი მეზობელი“.

ჩანს, მიწიერი ვნებებით შეპირვებული პიუს X არ მდგარა „ომზე მაღლა“. ამავე სულისკვეთებით ზრდიდა თავის თანამებრძოლსა და მომავალ შემცვლელს ეჯენიო (ევგენი) პაჩელის—დიდ პიუს მეთორმეტეს, რომელმაც 1954 წელს თავისი მასწავლებელი წმინდანად შერაცხა, გარდაცვალებიდან რაღაც ორმოცი წლის თავზე, რაც იშვიათი შემთხვევაა.

ასეთი პატივი პიუსმა უსათუოდ დაიმსახურა. სიმართლე რომ ითქვას, ის იყო პირველი მსოფლიო ომის პირველი მსხვერპლიც და... პირველი ამტეხიც. ასეთებს კი ქრისტე თავის სასუფეველში იღებს, რომ იქ მოხვედრის მსურველთა რიცხვი შეამციროს.

ბენედიქტე XV — გულმაგარი პაპი

● გენუელი ჯაკომო დელა კიეზა, იგივე ბენედიქტე XV, სამოცი წლისა იყო, პაპის ტახტზე რომ ავიდა, და შვიდ წელზე ცოტა მეტ ხანს განაგებდა საქრისტიანოს მრავალმილიონიან სამწყსოს. ბედმა იმ დროს არგუნა მოციქულის გვირგვინი, როცა მარსმა პირველი მსოფლიო ომის ცეცხლი გადმოისროლა დედამიწად წოდებულ ცოდვის კალოზე. ქრისტეს მოადგილემ ვითომ რამდენიმე სამშვიდობო წინადადება წამოაყენა, მაგრამ ისევ წმინდა ტახტის სასარგებლოდ.

კიეზა-ბენედიქტე წარჩინებული ოჯახიდან იყო. 1878 წელს მღვდლად ეკურთხა. პაპის ნუნციუსის დიპლომატიურ თანაშემწედ მუშაობდა მადრიდში, რამპოლასთან. როცა მისი „შეფი“ რომში გაიწვიეს, ისიც თან ჩაიყვანა და ვატიკანის სახელმწიფო მდივნად დანიშნა. 1907 წლიდან ბოლონიის არქიეპისკოპოსი იყო, 1914 წლიდან — კარდინალი.

იმავე წლის 3 სექტემბერს დიდის ამბით აიყვანეს პაპის ტახტზე. კიეზას ბედმა გაუღიმა. მსოფლიო ომი უკვე გაჩაღებული იყო და ყოველი მეომარი სახელმწიფო ცდილობდა ტახტზე თავისი კაცი დაე-

ს.ვა. რაკი ეს კაცი რამპოლას მოწაფე იყო, რამპოლა კი ფრანგებს უპერდა მხარს, ეგონათ, რომ ბენედიქტე მის გზას გაჰყვებოდა, მაგრამ პირიქით მოსდა: მონარქიულ გერმანიასა და ავსტრიას აჰყვა, „რუსული საფრთხის“ წინააღმდეგ აღდგა.

ბენედიქტე XV პონტიფიკატის დროს მოხდა ორი უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა: პირველი მსოფლიო ომი და ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია. „ნეიტრალური“ პაპი არც ერთი ამ მოვლენის მიმართ არ იყო გულგრილი.

თავის პირველ ენციკლიკაში 1914 წლის 1 ნოემბერს ბენედიქტე ჩივის იმაზე, რომ ადამიანებმა დაივიწყეს „ღვთაებრივი ფილოსოფია“, ერთიმეორეს ხოცავენ, მორალი დაეცა, ღარიბი მდიდარს ეშალა და ა. შ. მოკლედ, ადამიანები წახდნენ, და ეს პაპმა აღმოაჩინა. ბრალს კი სდებს კომუნისტებს. მაშ ვინ წაახდინა ხალხი? რომენ როლანი წერდა: ძლივს აიმაღლა ხმა ახალმა პაპმა (6 სექტემბერს აირჩიეს და 1 ნოემბრამდე დუმდა) და აიმაღლა სოციალიზმის წინააღმდეგო.

1915 წელს ბენედიქტემ ფრანგ ჟურნალისტთან საუბარში აშკარად დაუჭირა მხარი გერმანია-ავსტრიას, რაც რუსეთის შიშით იყო ნაკარნახევი. კითხვაზე, რატომ დუმს პაპი გერმანელთა მხეცობაზე ბელგიაშიო, მღვდელმთავარმა მხრები აიჩეჩა: რა ვიცი, ორივე მხარე ერთნაირად ჩივის, მე კი ბრძოლის ველზე არ ვარო. სხვა ქვეყნები ასეთმა კურსმა აღაშფოთა და სტატს-სეკრეტარს თავის მართლება მოუხდა.

ბენედიქტე გერმანიას იმიტომაც უპერდა მხარს, რომ მხოლოდ იქ ხედავდა მშრომელთა მოძრაობის დამთრგუნველ ძალას. მისი ვარაუდით, თუ ომი გაჭიანურდებოდა, მოხდებოდა ისეთი სოციალური რევოლუცია, რომლის მსგავსი ქვეყნად არავის უხილავს. ჩანს, ამ პაპის თავი არ ყოფილა მოკლებული იერემია წინასწარმეტყველის ნიჭს.

1914 წელს გერმანელთა წარმატებამ ნეიტრალიტეტისაკენ გადახარა იტალია — „ტურა, რომელიც ლომის ნადავლს მისდევდა“ (ასე თქვა ბისმარკმა). გერმანიას თავისი ჯიუტი მოკავშირის — ავსტრიის დაჩოქება უნდოდა. მაშინ გაიგზავნა რომში თავადი ბიუ-

ლოვი, რომელიც პაპს შეხვდა. „ბენედიქტე XV, — წერს ბიულოვი, — მხურვალედ უჭერდა მხარს ჩემს გულმოდგინებას, რომ მშვიდობა ჩამოეგდო. მას სურდა შეენარჩუნებინა ჰაბსბურგების იმპერია, ეს „უკანასკნელი დიდი კათოლიკური სახელმწიფო". ამ მიზნით (აი, რატომ სურდა პაპს ზავი) ბენედიქტემ ვენის არქიეპისკოპოსს კარდინალ პიფლის დაავალა, იმპერატორ ფრანციოსებს ესტუმრეო. 84 წლის იმპერატორმა არც კი მოუსმინა პაპის ლეგატს, სახეშეფაკლულმა ხელი მოჰკიდა და პირდაპირ გააგდო. ფრანც-იოსებს არაფრის დათმობა არ სურდა.

კაიზერმა ვილჰელმ II თავის მხრივ პაპის ნუნციუსი გააფრთხილა: თუ პაპი ზავისათვის არ იზრუნებს, ზავის საქმეს სოციალისტები ჩაიგდებენო ხელში. ერთი თვეც არ გასულა, რომ პაპმა მეომარ ქვეყნებს მშვიდობისაკენ მოუწოდა. მაგრამ ეს იყო ფარისევლური ნოტა. ოკუპირებული ქვეყნებიდან ჯარის გაყვანას ითხოვდა, გერმანიის მიერ ოკუპირებულ რუსეთის ტერიტორიებზე კი დუმდა.

ზავი მაინც შეიკრა, ოღონდ არა პაპის გუნებისა: კაიზერი ვილჰელმ II დაემხო. ახლა კი ჰქონდა პაპს საქმე გულის გასახეთქად, მაგრამ ბენედიქტე გადარჩა. ეტყობა, პიუს მეათეზე მაგარი გული ჰქონია.

მომდევნო ვითარება 63 წლის მღვდელმთავარს უარეს სადარდელს უჩენდა. წინ იყო ორი რევოლუცია. თებერვლისა კიდევ არაფერი — მილიუკოვთან და კერენსკისთან ვატიკანმა მალე გამონახა საერთო ენა. მართალია, პაპი ჯერ დაიბნა, მერე კი გაუხარდა: მეფის დამხობით იწყებაო „კათოლიციზმის თავისუფლების ახალი ერა". აკი მისი უცოდველი წინამორბედი ნიკოლოზ მეორეს ადიდებდა? ვინ ჩასწვდება წმინდა ტახტის საიდუმლოს!

ალიას დარდი ფლავიაო. ვატიკანს აღელვებდა არა რუსეთის ბედი, არამედ კათოლიკური სარწმუნოების საკითხი რუსეთში, შერეული ქორწინება, რომის სარწმუნოების გავრცელება, შეპტიცკის „უნიატური სარწმუნოების" პრობლემა და ა. შ.

მალე ყოველივე ამას დაერთო კარდინალური საზრუნავი: სოციალისტური რევოლუციის მოახლოება. თუ ამ საფრთხის გამო

პაპს გული არ გაუსკდა, სულ იმ იმედით, რომ „აღმოსავლურ ხანძარს“ ინტერვენტები ჩააქრობდნენ.

1917 წელს ვატიკანში შეიქმნა საგანგებო უწყება — „აღმოსავლეთის ეკლესიის საქმეთა კონგრეგაცია“. ეს იქცა ცენტრად, სადაც თავიდანვე ანტისაბჭოთა ინტრიგების და შეთქმულებათა ქსელი იხლართებოდა.

საერთოდ, ვატიკანი თებერვლის რევოლუციას თანაგრძნობით შეხვდა, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ შეზღუდვებს ბოლო მოეღებოდა და რუსეთში კათოლიკობა გზას გაიკაფავდა. მერე იყო, რაც იყო. პაპს მოსვენებას არ აძლევდა შიში, ვაი თუ რუსეთის რევოლუცია გაღრმავდეს და საფრანგეთის რევოლუციას დაემსგავსოსო. როცა ეს ვარაუდი გამართლდა, ვატიკანმა თავი მოუყარა ყველა რეაქციულ ძალას, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკა დაეთრგუნა.

1919 წელს პაპის გაზეთი „ოსსერვატორე რომანო“ წერდა: „ანარქია აკაკუნებს ყველა ქვეყნის ალაყაფის კარებზე. სასწრაფოდ მოუყარეთ თავი თქვენს ძალებს, რომ გზა ჩაუკეტოთ. ყოველ დაკარგულ დღეს შეუძლია თქვენი საქმე წაახდინოს... ძალიან საშიშია“.

ბენედიქტე XV ხშირად ესაუბრებოდა დენიკინისა და კოლჩაკის წარმომადგენელს ლისაკოვსკის, რომელიც ვატიკანში იმყოფებოდა. ერთ-ერთ საუბარში განუცხადა: წმინდა ტახტი თანაგრძნობით შეხვდა თქვენს ბრძოლას ბოლშევიზმთან, რისიც ყველაზე მეტად გვეშინიაო. პაპი დაუზარებლად ეხმარებოდა რუს თეთრგვარდიელებს და მზად იყო ეცნო კოლჩაკი, როგორც „რუსეთის მმართველი“.

1919 წლის მარტში პაპმა დეპეშით მიმართა ლენინს. დაჟინებით მოითხოვდა შეეწყვიტათ რუსეთში რელიგიის დევნა და გამოეცათ ბრძანება, რაც უზრუნველჰყოფდა ყველა რელიგიის მიმდევართა პატივისცემას.

საპასუხო წერილში საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ ჩვენს ქვეყანაში რწმენისა და სინდისის თავისუფლებაა, არავის დევნიან და პაპის პროტესტი უადგილოა. ბენედიქტეს ისიც მოაგონეს, რომ მას მხოლოდ რელიგია აწუხებს და არასოდეს განუცხადებია პროტესტი კოლჩაკის, დენიკინის, პეტლურას და სხვა ბანდიტების მხეცობის წინააღმდეგ.

პაპი დიდი ოპტიმისტი იყო. 1919 წლის ოქტომბერში ლისაკოვსკის განუცხადა: „იმედი მაქვს ბოლშევიკების საქმე მოკლე

ხანში მორჩებაო“. ნეტარ არიან მორწმუნენი! ეს საქმე მორჩა, მაგრამ არა პაპის სასარგებლოდ.

ბენედიქტემ ამის დარდსაც გაუძლო. არა, ამ პაპს მაგარი გული ჰქონდა, რომ გაეძლო და ისტორიის წაღმა მბრუნავი ეტლი უკუღმა შეეტრიალებინა.

ამ მიზნით იტალიის მთავრობასთან შერიგების პოლიტიკა განაგრძო და ცალკე კათოლიკური პარტიის შექმნაზეც კი დათანხმდა, რათა ამ სახალხო პარტიას მშრომელთა ყურადღება რევოლუციური ბრძოლისათვის ჩამოეშორებინა. ქრისტიანული პროფკავშირები ადრევე შეიქმნა, ხოლო კლასობრივ ზავზე ლაპარაკს ბენედიქტემ მოუხშირა და საფუძველი ჩაუყარა „მუშამღვდლების“ ინსტიტუტს, რამაც მეორე მსოფლიო ომის დროს გარკვეული როლი შეასრულა. ასეთ საფრთხეზე მარქსმა ჯერ კიდევ 1869 წლის 25 სექტემბერს მიუთითა ენგელსისადმი მიმართულ წერილში, სადაც ლაპარაკია იმ საქმიანობაზე, რაც რაინზე და ბელგიაში მოგზაურობის დროს შეუნიშნავს კათოლიკე მღვდელთა შორის. „ამ საქმეში ინტერნაციონალის საშუალებით ვიმოქმედებ. ეს ძაღლები (მაგალითად, ეპისკოპოსი კეტლერი მაინცში, მღვდლები დიუსელდორფის საკრებულოზე და ა. შ.) მუშათა საკითხს ეთამაშებიან...“ ამ თამაშში ბენედიქტემ საკმაოდ შორს შესტოპა. თანდათან ცდილობდნენ მუშათა გადაბირებას ეკლესიის მხარეზე. „დურგალ იოსების“ დღესასწაულის გამართვას და ა. შ.

იტალიის მთავრობასთან შერიგებით ბენედიქტე „რომის საკითხსაც“ მშვიდობიანად წყვეტდა და „მუშათა საკითხსაც“ აგვარებდა. ამდენ საქმეთა შორის მაშვრალმა პაპმა მოიცალა და კანონიკური სამართლის ახალი ვარიანტი გამოსცა.

1918 წელს ვატიკანმა საგანგებო ზომები მიიღო ტახტიდან გადაყირავებული ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის გადასარჩენად. პაპის ნუნციუსი პაჩელი ვარაუდობდა მის დასახლებას ვატიკანში. სისხლიანი იმპერატორი ნამდვილად იმსახურებდა ჯოჯოხეთში მოხვედრას, ოღონდ უფრო ქვედა, სფეროში, თავის უწმინდეს სეხნიებთან.

ამრიგად, ბენედიქტემ ჩაუყარა საფუძველი იმ მტრობას, რასაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მისი მემკვიდრეები ეწეოდნენ. საბჭოთა ხელისუფლება კი ძლიერდებოდა.

ბოლოს, 68 წლის გულმაგარი ბენედიქტე წინაპართა სასუფეველს ესტუმრა. პორტრეტიდან შემოგვცქერის სადად ჩაცმული, მშვიდი, ლამაზი ახალგაზრდა კაცი... სადღაა ინოკენტი მეათის ბოროტი გამოხედვა! სათნო მზერით გვხიბლავს კიდეც. სამაგიეროდ სათვალე აქვს ვიზიონერისა. ამ სათვალეში გუშინდელ დღესავით ჩანს შუა საუკუნეების წყვდიადის სამეფო.

პიუს XI და რომის საკითხი

● პაპებს ერთი განუსხვისებელი მემკვიდრეობა აქვთ: ჯადოსნური სათვალე, რომელშიაც გარდასულ საუკუნეთა სქოლასტიკური სამყარო ნათლად ჩანს, ყველაფერი სხვა კი მრუმედ და მრუდედ. ეს სათვალე ეკეთა სერგის, ალექსანდრეებს, სიქსტებსა და ბონიფაციუსებს, ურბანებსა და პიუსებს. იგივე სათვალე არ მოუცილებია პიუს მეთერთმეტედ წოდებულ ღვარძლიან მღვდელმთავარს, უბრალო პორტრეტიდან რომ ასპიტის თვალებით შემოგვცქერის და გვნუსხავს.

პიუს XI, მილანელი აქილე რატი, 65 წლისა ავიდა პაპის ტახტზე 1922 წლის 12 თებერვალს.

შეძლებული ბურჟუის შვილი მღვდლად კურთხევის შემდეგ ღვთისმეტყველებას ასწავლიდა მილანში, მერე ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტი იყო. 1918 წელს სატანის მოციქული რატი ქრისტეს მოციქულმა ბენედიქტემ რუსეთში გაგზავნა, როგორც ვიზიტორი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში არ შემოუშვეს. ამაყმა თეოლოგმა ბრაზი გულში ჩაიმარხა, პოლონეთში დარჩა ნუნციუსად და აქტიური მონაწილეობა მიიღო ანტისაბჭოთა შეთქმულების მომზადებაში, აქეზებდა თეთრ პოლონელებს, გზას ულოცავდა მარშალ პილსუდსკის, იმავე დროს ახლო კავშირი ჰქონდა საბჭოთა ქვეყნის უბოროტეს მტერთან, ამერიკის ელჩ გუვერთან. მაშინ „შეიცნო“ თურმე კომუნიზმი და დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რაც მის სასურველ ძველ სამეფოს ანგრევდა, რაც სძაგდა, რისიც ეშინოდა.

1921 წლიდან აქილე რატი კარდინალია და მილანის არქიეპისკოპოსი. აქედან ტახტამდე ერთი საფეხურიღა რჩებოდა, და ისიც გადალახა.

აქილემ თავი აქილევსად წარმოიდგინა და უპირველეს მიზნად „ჩრდილოეთის ტროადის“ — საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა, რითაც თავისი სულიერი მამის ლევ XIII პოლიტიკა განაგრძო. კათოლიკური ეკლესიის გაძლიერების მიზნით კონკორდატი შეკრა მრავალ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან და ყველგან რეაქციულ ძალებს უჭერდა მხარს.

პიუს XI პონტიფიკატის 17 წელი — 1922 წლის 12 თებერვლიდან 1939 წლის 10 თებერვლამდე — თითქმის ზუსტად ემთხვევა იმ შუალედს, რაც ორსავე მსოფლიო ომს შორის ძევს. ამრიგად, ესაა პერიოდი პირველი ომის ჭრილობების მოშუშებისა და მეორისათვის სამზადისისა. მოშუშებისა რა მოგახსენოთ და მზადებაში კი ქრისტეს მოციქულმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა. ეგზომ დიდი ღვაწლი აღნიშვნის ღირსია.

1923 წელს გამოქვეყნებულ საპროგრამო ენციკლიკაში პიუს XI ნაღვლიან კილოზე წუწუნებს: ომი დასრულდა, მშვიდობა კი არ არის, ქვეყნებს შიში და შიმშილი დაუფლებია, ყველგან ნგრევა და სიღატაკეა, კლასთა ბრძოლა წყლულივით ჭამს ხალხებს...

რისთვის დასჭირდა მილიარდერ პაპს ასეთი პესიმისტური გალობა? წამალს სთავაზობს სნეულ კაცობრიობას: მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას შეუძლია იხსნას ხალხები „სოციალიზმის და კომუნიზმის საფრთხისაგანო“ და იქვე დასძენს: იტალიის მთავრობამ „გაძარცვა პაპი, წაართვა საერო ძალაუფლება!“ მოკლედ ალიას დარდი ფლავია, პიუს XI ისევ უბრუნდება „რომის საკითხს“, რაც იტალიელმა ხალხმა კარგა დიდი ხნის წინ დადებითად გადაწყვიტა. პაპები მარად ხელახლა მისტირიან დაკარგულს.

რელიგია — „ცივილიზაციის საფუძველი“

● 1922 წლის 10 აპრილს გენუაში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოების კონფერენცია. ეს იყო ერთა პირველი დიდი საკრებულო, სადაც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირმა.

პიუს XI ჩვენი ქვეყნის დაშვებას კუშტად შეხვდა. საკრებულოს მემორანდუმით მიმართა: „ისტორიულ საათს, როცა მსჯელობის საგნად იქცევა საკითხი იმის შესახებ, ხელახლა დავუშვათ თუ

არა რუსეთი ცივილიზებულ ხალხთა ოჯახში, წმინდა ტახტი გამოთქვამს სურვილს დაიცვან რუსეთში ინტერესები რელიგიისა, რაც ყოველი ჭეშმარიტი ცივილიზაციის საფუძველია".

წმინდა მამა, რომელიც ცივილიზაციის საძირკვლად წყვდიადს თვლის, რუსი მორწმუნეებისათვის სინდისისა და კულტის თავისუფლებას მოითხოვს, რომ ამით „საფუძველი ჩაუყაროს რუსეთის ცივილიზაციას". პაპის მეორე მოთხოვნაა ეკლესიისათვის მოძრავ-უძრავი ქონების დაბრუნება. აქედან პირველი ორი მოთხოვნა უაზროა, მესამეც — აბსურდული, რადგან სინდისისა და კულტის თავისუფლება ჩვენში იმთავითვე გამოცხადდა, ეკლესიას კი ქონებას ვერ დაუბრუნებდნენ, რადგან ჩვენში ეკლესია იმთავითვე გამოეყო სახელმწიფოს, ქონება კი მის შემქმნელ ხალხს გადაეცა.

მომდევნო მოთხოვნა პირველ სამს აბათილებს და სულელურ გამოხდომას უფრო ჰგავს: პაპი კონფერენციის მონაწილეებს მოუწოდებს, არ ცნონ საბჭოთა ხელისუფლება, მოახდინონ მისი იზოლაცია, დათრგუნონ ეს ქვეყანა. საამისო საბუთად გამოიყენეს თვით შიმშილობა, რაც 1921—1922 წლებში ვოლგისპირეთში მძვინვარებდა, და რაც საბჭოებს გადააბრალეს.

რაკი მსოფლიო ყრუ აღმოჩნდა, ღმერთი კი — გულგრილი, ისევ პაპმა იზრუნა, ახალი ქსელის გაბმას შეუდგა. საბჭოთა კავშირში პაპის მისია ჩამოვიდა. მას სათავეში ედგა ამერიკელი იეზუიტი, საბჭოების დაუძინებელი მტერი ედმუნდ ვოლში. აქაო და დამშეულ ხალხს ვეხმარებითო, სინამდვილეში კი ეს იყო ჯაშუშთა მისია, რაც 1924 წელს ჩვენი ქვეყნიდან განდევნეს.

ამრიგად, ქვეყნიერების მომწამვლელმა იეზუიტებმა საბჭოთა კავშირშიც შემოაღწიეს. ორიოდე წლის შემდეგ მეორე იეზუიტიც შემოგვიგზავნეს — ეპისკოპოსი დერბინი. მართალია, მან თავის წიგნში განაცხადა, რუსეთში სინდისის თავისუფლება ყოფილაო. რამ ათქმევინა ეს ეპისკოპოსს?

პაპის მისიის საქმიანობას მოჰყვა ჯაშუშთა —ბარონ როპის და სხვათა გასამართლება მოსკოვში, სადაც ფარდა აეხადა კათოლიკური ეკლესიის ძირგამომთხრელ საქმიანობას. შიმშილობას ჭირი დაერთო, როგორც მუდამ.

● იეზუიტმა დერბინიმ სამჯერ იმოგზაურა რუსეთში და განაცხადა: საბჭოთა ხელისუფლება პეტრეს ტაძარივით მაგრად დგას, მისი დამხობის იმედი არ უნდა გვქონდესო, ასე იოლად მასთან ვერაფერს გავაწყობთო. იეზუიტი საჭიროდ თვლიდა საბჭოებთან ხანგრძლივი ბრძოლის მიზნით სპეციალური მისიონერების მომზადებას. ამ მოხსენების შემდეგ პიუს XI დარწმუნდა, რომ აშკარა ბრძოლით ვერაფერს გახდებოდა და დაუყოვნებლივ შეუდგა ჯაშუშთა მომზადებას. ამ ჯაშუშებს „რუსიკუმს“ ეძახდნენ. მათი ვალი იყო პოლიტიკურ-რელიგიური პროპაგანდის წარმოება.

1930 წელს პიუსი კარდინალ პომპილის სწერდა: „შეძრწუნებული ვარ საზარელი მკრეხელური მოქმედებით ღვთისა და სულის წინააღმდეგ“, რაც რუსეთში ხდებაო.

პიუს XI — ეს იყო ხორცშესხმული ანტიკომუნიზმი.

პაპი ასე მსჯელობს: ვინც მისი მოკავშირე არაა, ის მისი მტერია. რუსეთი არაა პაპის მოკავშირე. ახლა კი არა, ალექსანდრე ნეველისა და ივანე მრისხანის დროს არა ყოფილა. მაშ რუსეთი პაპის მტერია. ანათემა რუსეთს! დაყვავებამ არ გასჭრა. დროა გაილაშქრონ!

იმავე 1930 წელს მან ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა, ოღონდ არა ქრისტეს საფლავის საბრძოლველად, არამედ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. მთელი თვის განმავლობაში პრესა, რადიო, ბეჭდვითი სიტყვა, სკოლა, მასონთა ორგანიზაციები თუ ზეპირი სიტყვა გადასული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ გამოხდომაზე.

ბუზების და პეპელების ბადით რომ არწივი ვერ დაიჭირა, პაპმა 1933 წელს კავშირი შეკრა ჰიტლერთან და მასთან ერთად შეუდგა ომის მზადებას, თუმცა არც ფაშისტების ბანდიტიზმი ხიბლავდა.

აქილე რატის კარგად ახსოვდა, საბჭოთა რუსეთში რომ ფეხი არ შემოადგმევინეს, როგორც ჯაშუშსა და ნუნციუსს, ამიტომ ახლა პიუს მეთერთმეტემ ძალით შემოჭრა განიზრახა, როგორც ჯვაროსანმა.

ამ მიზნით ორი სპეციალური ლოცვაც შეთხზა „რუსეთის სახსნელად“ უღმერთო კომუნისტებისაგან, რომლებიც თურმე „ახალგაზრდობას რყვნიან“, „ყოველგვარი მანკიერებით ბილწავენ სულს“ და „აქეზებენ ბავშვებს, რომ დაასმინონ ღვიძლი მშობლები“.

ეს პროპაგანდა მორიგი დიდი ღონისძიების დასაწყისი იყო.

პიუს XI, მუსოლინი, ჰიტლერი და ფრანკო — ძმადნაფიცი ბანდიტები

● სულ სხვაგვარად წარიმართა პიუსის ურთიერთობა თავის მეგობარ ფაშისტებთან. ჯერ კიდევ 1924 წელს, როცა ნაცისტმა ტერორისტებმა დეპუტატი მატეოტი მოკლეს, მძიმე დღეში ჩავარდნილ მუსოლინის პაპი მიეშველა, თავის გაზეთ „ოსსერვატორე რომანოთი“ დაესხა თავს „დუჩეს“ მტრებს.

1929 წელს, ფაშისტების გამარჯვების ამბავი რომ გაიგო, პიუსმა თავისუფლად ამოისუნთქა და კარისკაცებს უთხრა: „მრავალი თვის განმავლობაში დღეს პირველად მეძინა მშვიდადო!“ — და მუსოლინი განგების მოვლენილად გამოაცხადა.

„დუჩე“, ბენიტო მუსოლინი, ეს პათოლოგიური პიროვნება, რომელიც ალექსანდრე მეექვსის დროის ტიპიური პაპი იქნებოდა, ვალში არა რჩებოდა, პაპს თავის მოკავშირედ თვლიდა ყოველ საქმეში. პიუსის მთავარი ღონისძიებაც ხომ ფაშისტებთან კავშირის შეკვრა იყო! იტალიის ორმა უბოროტესმა •დამიანმა ძმურად შეკრა ე. წ. ლატერანის კონკორდატი (შეთანხმება), რომლის ძალითაც მუსოლინი ვატიკანის მარიონეტულ სახელმწიფოში პაპს უბრუნებდა საერო ძალაუფლებას. აძლევდა ორ მილიარდ დოლარს — ვითომ იმ დამცირებათა საზღაურად, რაც გასულ წლებში პაპებმა განიცადეს, სამაგიეროდ კი იღებდა პაპის ლოცვა-კურთხევას და გზა ეხსნებოდა მის ყველა ავანტურას.

ჰორიზონტზე ჭექა-ქუხილის შავი ღრუბელი იგრაგნებოდა. 1933 წლის 23 მარტს რაიხსტაგში ადოლფ ჰიტლერმა თქვა, ეკლესიასთან კავშირს შევკრავო. ამ დროისათვის ვატიკანის ერთგული მსახური, მღვდელი კაასი უკვე დაპირებული იყო, გერმანიის სახ-

სნელად მოწვეულ ჰიტლერს ხელს გავუწვდითო. მერე, როცა საშინელმა დიქტატორმა დევნა დაუწყო არა მარტო კომუნისტებს, ებრაელებსა და ბურჟუებს, არამედ მის წინააღმდეგ განწყობილ კათოლიკებსაც, ვატიკანში ჩავიდა ცნობილი ფონ პაპენი და პაპთან კონკორდატი შეკრა. სახელთა თანხმობა ინტერესთა თანხმობად იქცა. ეს მოხდა იმავე წლის 2 ივლისს. ორმა ჯვრიანმა ობობამ კავშირის ქაღალდს საზეიმო ვითარებაში მოაწერა ხელი. ამ აქტმა დიდად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომის მზადებას.

ამრიგად, ვატიკანი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო ჰიტლერული გერმანია.

პიუს XI არ მალავდა თავის კავშირს ფაშიზმთან. მართალია, 1937 წელს, მარტში, ზედიზედ გამოუშვა ენციკლიკები რუსეთის კომუნისტების წინააღმდეგ და რელიგიური დევნის წინააღმდეგ, დევნის ბრალდება კი ჰიტლერს ეხებოდა, მაგრამ გერმანიას ტრადიციული იმედით შესცქეროდა და თავის მთავარ მისიად თვლიდა კომუნიზმის დათრგუნვას. იმავე წელს მისი სახელმწიფო მდივანი და ორეული უვგენი პაჩელი (პიუს XII) გერმანიის ელჩს სწერდა: წმინდა ტახტი ჰიტლერს განსაკუთრებით აფასებს „ათეისტური კომუნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისთვისო.

პიუსს პროტესტის სიტყვაც არ დასცდენია, როცა ჰიტლერმა ხელთ იგდო ჩეხოსლოვაკია. პირიქით, მხარს უჭერდა. აქ გადიოდა გზა რუსეთისაკენ.

პაპი ხალისით თანამშრომლობდა ამერიკის რეაქციულ წრეებთან, მუსოლინისთან, ჰიტლერთან, ივიწყებდა თავის უკმაყოფილობას რელიგიურ საკითხებში და ორივე ხელით ეჭიდებოდა „მსოფლიოს მხსნელებს“.

ამ დროისათვის პიუს XI უკვე გენერალ ფრანკოს ძმობილი იყო, უკეთ — მისი სულიერი მამა. ესპანეთის ფაშიზმის ამ დღეგრძელი ბელადისადმი თანაგრძნობა ლოგიკური შედეგი იყო პაპის მთელი პოლიტიკისა. მართალია, ფრანკომ აწამა და დახვრიტა ბევრი კათოლიკე მოღვაწეც; მაგალითად ცნობილი ბასკი მწერალი, მღვდელი არისტიმუნიო, მაგრამ პიუს XI შორს იხედებოდა. ლევ XIII შემდეგ სოციალური საკითხი ასე ფართოდ არც ერთ პაპს არ დაუყენებია. ამიტომ კომუნისტებთან ბრძოლაში მოკავშირეები სჭირდებოდა, ხოლო ფრანკო ასეთ საქმეებში არ უღალატებდა.

ამრიგად, დიდმა პიუსმა ზედიზედ შეიძინა თავისი ჯვრის ღირსი ძმაკაცები: მუსოლინი, ჰიტლერი, ფრანკო—მახვილოსანი სამება! რა გულის ამაჩუყებელი კავშირია! კაცობრიობას კი თითქოს ეძინა..

ვინ რას ავნებდა ამ კავშირს? აკი თვით პიუს XI ამბობდა: „რაც ღმერთმა შეკრა, იმას კაცი ვერ გახსნისო". კეთილი, ეს კავშირი ისევ ღმერთმა გახსნა და დაშალა! თანახმა ვართ დავუშვათ, რომ ეს იყო თვით უზენაესი ძალის ნება. **უზენაესი** კი ჩვენი გაგებით არის **ადამიანი.**

მადონა ტანკზე

● 1935 წელს იტალიაში ერთი საოცარი პლაკატი გამოჩნდა. ეს იყო გარეგნულად კომპოზიციურად საუცხოოდ მოფიქრებული და უზადოდ შესრულებული სურათი, რაც საგონებელში ჩააგდებდა დიდ მიქელანჯელოს და შუბლს შეუკრავდა ფრესკის პრინცს რაფაელს. ტანკის ჯიხურზე ზის თავდახრილი მადონა, ხელში უჭირავს ხელაწეული ყრმა, რომელიც სალაშქროდ მიმავალ ჯარისკაცებს ლოცავს. სად მიდიან ეს ჯარისკაცები? აბისინიის ასაოხრებლად. ხვალ თუ ზეგ ეს კუშტი მეომრები აფრიკის მშვიდობიან მოსახლეობას შეესევიან, გადაბუგავენ ქოხებს, ააცრემლებენ დედებს. ხიშტზე ააგებენ შავგვრემან ყრმებს... და ყრმა იესო მათ ლოცავს! ღვთისმშობელი ნაღვლიანად დასცქერის, როგორც დიდოსტატთა ტრადიციული მადონები, ბავშვის მომავალი აფიქრიანებს, და კიდევაც აქვს სანაღვლებელი: შეიძლება მისმა ბიჭუნამ 33 წელსაც ვერ მიატანოს, 33 დღის თავზე ნახოს აღსასრული იმავე ტანკზე. რას არ აკეთებინებენ საბრალო დედა-შვილს ეკლესიის მამები!

მადონას ქანდაკის სახე აქვს. პლაკატის ავტორი რომ ისევე ჭკვიანი ყოფილიყო, როგორც ნიჭიერი, ამ სამარცხვინო პლაკატის შექმნის პატივს ვინმე სხვას დაუთმობდა. ან იქნებ სწორედ ჭკვიანი იყო და პლაკატი შექმნა, როგორც ვატიკანის ბრალდება? როგორც გნებავთ, ასე კი გამოდის.

ანალოგიური დოკუმენტია ახლო წარსულში გადაღებული სურათი: კარდინალი სპელმანი ლოცავს კორეაში მიმავალ ჯარისკაცებს. 14 სახელმწიფოს შეუკრავს პირი, დემოკრატიულ კორეაში სიკვდილი მიდის. ვატიკანის ბურჯი მას გზას ულოცავს, ხელს ართ-

მევს, წარმატებას უსურვებს, ის მოგვაგონებს სათვალიან კობრას, იმ განსხვავებით, რომ კობრა ბრაზობს, გესლს ანთხევს, ყალყზე დგება, ეს კი იღიმება... და მისი ღიმილი კაცობრიობას უფრო ძვირი უჯდება. გადიდებთ, უფალო!

ალბიგოელები და... კომუნისტები

● პიუს XI ზოგჯერ ისტორიას კითხულობდა. ყოველ შემთხვევაში, ინკვიზიციის ისტორია კარგად იცოდა. არც იუმორის გრძნობას ყოფილა მოკლებული. ასეთი დასკვნა გამოგვაქვს მისივე მიმართვიდან, რაც 1937 წელს გამოაქვეყნა: „უწმინდესმა ქალწულმა თავის დროზე ქრისტიანული ქვეყნებიდან განდევნა ალბიგოელთა საშინელი სექტა. ახლა ვეველრებით, რომ ისევე განდევნოს ახალი ცთომილებანი, უწინარეს ყოვლისა — კომუნიზმი“.

როგორც იტყვიან, ყველაფერი კომენტარების გარეშეც ნათელია. ალბიგოელთა „ერესი“ ხომ XIII საუკუნეში სისხლში ჩააბრჩეს! -ინოკენტი მესამემ, ამ პირსისხლიანმა არამზადამ, პეტრეს ტახტის შემგინებელმა, როგორც დანტე იტყოდა, — სამხრეთ საფრანგეთში სისხლის მორევი დააყენა. აკვამლებულ ქალაქ-სოფლებში მისი ბრძანებით 25 000 უდანაშაულო ადამიანი გაჟლიტეს, და წმინდა დომინიკე — უფლის ქოფაკი — თავს ზემოთ აღმართული ჯვრით ლოცავდა ამ ხოცვა-ჟლეტას, პაპის სარდალი კი ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა: „გაწყვიტეთ — ღმერთი გაარჩევს თავისიანებს“! აყვავებული ლანგედოკი ფერფლად აქციეს. როგორც მარქსი აღნიშნავდა, ქალაქ ალბის და მისი მიდამოების —ალბიგოელთა მოძრაობის ცენტრის — მოსახლეობა განათლების განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩეოდა და ამან განსაზღვრა მათი „ერესი“. ეკლესიის მამა, „თეოლოგების მთავარი“ თომა აქვინელი ხომ ასე ქადაგებდა: „მეცნიერებაზ თეოლოგიის მხევალიაო“, და ვინ მისცემდა ფრანგებს აზროვნების ნებას ბნელი ინოკენტის დროში?

ალბიგოელთა ჟლეტა 1209 წლიდან დაიწყო. გავიდა 700 წელზე მეტი, და აგერ ჩვენს დროში პიუს XI ხელახლა შეეცადა ცოდვის კალოდ ექცია ერთი სხვა ქვეყანა — რუსეთი. ცხადია, პიუს XI ისეთივე იყო, როგორიც ინოკენტი III. მაგრამ მსოფლიო სხვანაირი იყო. ამიტომ შეეშალა ხელი.

პაპმა ერთხელ კიდევ იგრძნო, რომ საბჭოთა რუსეთი, ბიბლიური სამსონის მსგავსად, ყველა ინტრიგასა და გამოხდომას ძალთა ახალი მოზღვავებით ხვდებოდა, წელში სწორდებოდა და მზად იყო ახალი ფილისტიმელებისათვის სიცრუის ტაძარი თავზე დაემხო.

||ᲮᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲡᲢᲘᲙᲐ

● მთელი რეაქციული დასავლეთი მიესალმა ფაშისტური გერმანიის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. ამ ბანაკის სულიერი ბურჯი იყო ისევ ვატიკანი. ძველი ოცნების განხორციელებაში დაიმედებული პაპი ჰიტლერს შეუთანხმდა, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე კათოლიკურ სამღვდელოებას შეუშვებდა და რუსეთს ხელახლა მონათლავდნენ. სიტყვას საქმე მოჰყვა. დროებით ოკუპირებულ მიწა-წყალს მუხლუხებივით დაესია მისიონერთა ლაშქარი. ის გესტაპოსთან შეთანხმებით მუშაობდა და ასრულებდა გერმანელთა ნებას. ეს უკვე პიუს XII დროს მოხდა, მაგრამ რა განსხვავებაა?

პაპი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გერმანიის ფაშიზმი ეხსნა და მთელი მისი კოლოსალური ძალა საბჭოთა ქვეყნის დასამხობად წარემართა. მისი სულიერი მასწავლებელი თომა აქვინელი ამტკიცებდა, სატანის რწმენაც ისევე წმინდაა, როგორც ღმერთისა, ამიტომ პიუსს ჰიტლერის რწმენა ცოდვად არ ჩაეთვლებოდა, და მზად იყო თვით ეშმაკთანაც შეეკრა კავშირი, მაგრამ ამდენი აღარ დასცალდა.

ჩეხი ჟურნალისტები ალოიზ სვობოდა, ანა ტუჩკოვა და ვერა სვობოდოვა თავიანთ წიგნში „ვატიკანის შეთქმულება" პიუს მეთერთმეტის ცოცხალ დახასიათებას გვაძლევენ.

ამ ტიაროსანმა ობობამ განიზრახა 1939 წლის 11 თებერვალს საზეიმო მესით აღენიშნა ლატერანის კონკორდატის დადების ათი წლისთავი. მზადდებოდა დიდი აღლუმი, რასაც ყველასათვის უნდა ეჩვენებინა, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვატიკანი მუსოლინისთან კავშირს.

პაპის ბრძანებით ათობით ოსტატი აკრავდა პეტრეს ტაძრის უზარმაზარ შენობას ოქროსფერი ატლასის საფარველს. ოცი ათასი ელნათურა და უთვალავი სანთელი გაამზადეს, რომ საქრისტიანოს უდიდესი ტაძარი შუქის ზღვაში ჩაძირულიყო. ზეიმში მონაწი-

ლეობა უნდა მიეღო ტახტის მემკვიდრე უმბერტოს, გრაფ ჩიანოს — მუსოლინის სიძეს და საგარეო საქმეთა მინისტრს.

უეცრად უზენაესი თავის მოადგილეს გაეხუმრა: პაპს დამბლა დაეცა. აქილე რატის ისარი პირდაპირ აქილევსის ქუსლში მოხვდა. ამერიკელმა კორესპონდენტმა „ნიუ-იორკ ტაიმსს“ აცნობა: „პიუს XI ძლიერ შეწუხებულია, რომ ვერ შესძლებს ლატერანის შეთანხმების წლისთავზე დასწრებას. თავზე დახვეულ ექიმებსა სთხოვს, ორი დღის სიცოცხლე მაინც მომეცით, რომ სამადლობელი გადავიხადოო“. მაგრამ ბებერი მტარვალის ძარღვებში სისხლი იყინებოდა. ვეღარ უშველა მუსოლინის თანაგრძნობის დეპეშამ. 10 თებერვალს, სწორედ ზეიმის კვირაძალზე, 82 წლის პიუს XI გარდაიცვალა.

ოქროსფერი ატლასი მოხსნეს და ტაძარი ძაძით შემოსეს. კარდინალები ახალ კონკლავზე მიაფრიალებდნენ სისხლისფერ მოსასხამებს. სამწუხაროდ, ღმერთი ყოველთვის ასე სამართლიანი როდი იყო.

სისხლში ახრჩობდნენ აბისინიას, ესპანეთს, განწირულ ადამიანთა გოდება ისმოდა საკონცენტრაციო ბანაკებიდან. წმინდა მამები კი ასეთი ამბების მიმართ ყოველთვის ყრუ იყვნენ. მათ სხვა საზრუნავი ჰქონდათ. ნუ დაგვავიწყდება, რომ პიუსს მუსოლინიმ „მშვიდობისმოყვარე პაპი“ უწოდა.

ამბობენ, სიცოცხლის ბოლო ხანებში პიუს XI ფაშიზმის წინააღმდეგ გამოსვლას აპირებდა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალაო. არ ვიცით, შეურაცხყოფდა თუ არა ეს ხმა განსვენებულის ხსოვნას. შეიძლება მართლა ვერ მოასწრო, ის ხომ ასე უდროოდ გარდაიცვალა! ან იქნებ ფაშიზმმა ვერ მოასწრო მის სიცოცხლეში ისტორიის ასპარეზის დატოვება, თორემ მაშინ კი „მშვიდობისმოყვარე“ პაპი უთუოდ დაგმობდა! ერთი რამ ცხადია: პიუს XI უკიდურესი რეაქციონერი იყო, ფაშიზმს „ქრისტიანული ცივილიზაციის მხსნელად“ თვლიდა და ამიტომ ეძგო მას. მაგრამ ხომ ჰქონდა დრო დარწმუნებულიყო, რომ შეცდა? ამის აღიარებას კი სიკვდილი ამჯობინა.

არ დასცალდა! რა არის 82 წელი პაპისათვის? არაფერი!

«HABEMUS PAPAM!»*

● პიუს XI რომ დაასაფლავეს, 75 კარდინალი ახალი პაპის ასარჩევად ჩაიკეტა და დროებით — 10 დღით — გარესამყაროს მოწყდა. წესი წესია! მაგრამ გარესამყაროს აზრი. და ნება უკვე სხდომათა დარბაზში იყო შესული მათთან ერთად. ამჯერად .მას სვასტიკიანი მტრედის სახე ჰქონდა.

გერმანიის ელჩმა დიეგო ფონ ბერგენმა ამომრჩევლები ორი დღის წინ გააფრთხილა: ისეთი პაპი გვინდა, ჩვენს ახალ წესრიგს რომ დაუჭერს მხარსო. რაკი ჰიტლერს უნდოდა, წინ ვინ დაუდგებოდა! მოკლედ, ვიდრე კონკლავი შეიკრიბებოდა, გადაწყვეტილება უკვე გამოტანილი იყო. დაგეშილი სულიწმინდა კარგი საფოსტო მტრედივით შეფრინდა ტაძრის სარკმელში და ევჯენიო პაჩელის დააჯდა მხარზე.

პეტრეს ტაძრის გარშემო ზღვა ხალხი ირეოდა. არავინ იცოდა, რა ხდებოდა შიგნით, ელოდნენ მხოლოდ შედეგს. მილიდან ამოსული შავი კვამლი იუწყებოდა, რომ ხმათა ორი მესამედი არც ერთ კანდიდატს არ მიუღია და არჩევნები თავიდან დაიწყება. 1939 წლის 2 მარტს საკვამლე მილიდან ორჯერ ავიდა შავი ბოლი და მესამედ თეთრი კვამლი გამოჩნდა. პეტრეს მოედანზე თეთრ-ყვითელ-წითელი ნოხი დაუშვეს, აივანზე კარდინალები გამოჩნდნენ. ერთი მათგანის საზეიმო ხმა ოც რეპროდუქტორში ისმოდა: „გაცნობებთ უდიდეს სასიხარულო ამბავს: ჩვენ გვყავს პაპი!"

აივანზე დიდის ამბით გამოჩნდა ევჯენიო პაჩელი — ამიერიდან პიუს XII. მტაცებელი ფრთოსნის დიდი წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, ფხიზელი ცივი თვალები, ოდნავ მოხრილი ახმახი ტანი, იეზუიტის გამოხედვა... აღარ ჩანდა მის მხარზე თეთრი მტრედი, კონკლავის მუდმივი სტუმარი. სულიწმინდას სული დაელია. მღვდელმთავარმა ორი სიტყვით დალოცა „ქალაქი და მშვიდობა" (ცხადია, პაპის მშვიდობა), მერე ერთი წუთით გაჩერდა, კუშტი და უტყვი, ცივი და ამპარტავანი, და ხალხს ზურგი აქცია, წმინდა ბუნაგის შიდა აპარტამენტებს მიაშურა. „რა მკაცრია!" — გაისმა აივნის ქვეშ.

---

* ბოლო სიტყვები ტრადიციული ფრაზისა Nuntio vobis gaudium: habemus papam (გაუწყებთ უდიდეს სიხარულს: ჩვენ გვყავს პაპი).

ხალხი ბრძენია. პიუსი არ იყო ხალხის კაცი. იტალია მიეჩვია ტირანებს.

პიუს მეთორმეტემ ტახტზე ასვლამდე მიაქცია ზურგი ხალხს. 1930 წლიდან მთელი ცხრა წელიწადი იყო ვატიკანის სახელმწიფო მდივნად. ამ დროს გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდა საქმეებზე. სახელად რომ პიუს XII აირჩია, ამით უკვე თქვა თავისი სიტყვა: პიუს XI კურსით ვივლიო.

ამ კურსის პირველ პარაგრაფში კერძო საკუთრება ეწერა. 1 ნოემბერს ამერიკის სამღვდელოებას მისწერა: „ღმერთმა, რომელიც ჩვენს სვესა და ბედს მაღლით განაგებს, დაადგინა, რომ ქვეყნად უნდა იყონ მდიდრები და ღარიბები, რათა უკეთ ხდებოდეს ჩვენი ადამიანური ღირსებების გამოცდა“.

პიუს XII გერმანიისა და იტალიის ფაშისტების დახმარებით ავიდა ტახტზე. ეს დამსახურებული ჰქონდა. ცნობილია ევგენი პაჩელის განსაკუთრებული სიმპათია გერმანიისადმი, რომელშიაც ის „ეკლესიის მახვილს“ ხედავდა. ძველი არისტოკრატიული ოჯახიდან გამოსული, მინისტრებისა და საეკლესიო დიდებულთა შთამომავალი, 1917 წლიდან 1929 წლამდე, პაპის ნუნციუსად იყო გერმანიაში, სადაც 12 წელი დაჰყო და მშობლიურივით შეისწავლა გერმანული ენა. ამ წლებში დიდი ზეგავლენა მოიპოვა იუნკერთა აგრესიულ წრეებზე. ღრენით შეხვდა ევრორას ქვემეხთა ქუხილს, ჯაშუშებს გზავნიდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში და გზას უკაფავდა ფაშიზმს, ადრე კი ვილჰელმ მეორის გადარჩენას ლამობდა. ერთხელ პაპის კაცი ესტუმრა, ეპისკოპოსად აკურთხე და რუსეთში გაგზავნეო. პაჩელიმ ეს საქმე ჩინებულად მოაწყო.

ბოროტ მღვდელს მუდამ ბოროტება ამოძრავებდა. მან მონათლა გერმანიის ფაშიზმი, აქტიურად მონაწილეობდა ჰიტლერთან შეთანხმებაში. ბოლოს პიუს მეთერთმეტემ რომში . გაიწვია და სტატს-სეკრეტარად დანიშნა.

გერმანიიდან პაჩელიმ თან წაიყვანა თავისი მზარეული ქალი პასკუალინა, რომელიც დღე და ღამე მას ემსახურებოდა. გერმანიაშივე შეიძინა მეორე ერთგული მსახური, რეჯუიტი ლაიბერი, პირადი მდივანი და განუყრელი ჩრდილი, გამოჩენილი ორგანიზატორი, რომელიც მთელს გერმანიაში გაბმული ჯაშუშური ქსელის შეფი იყო. ლაიბერს რომში „პაპის ყურსაც“ ეძახდნენ. ყოველ ადა-

მიანს ორი ყური აქვს. პაპის მეორე ყურს წარმოადგენდა იეზუიტი ჰენტრიხი. ორივე ყური ყრუ იყო ხალხისათვის და ყველაფერს ის-მენდა, რაც რეაქციულ სამყაროში ხდებოდა.

1939 წელს, როცა პაპის ტიარა მიიღო, პაჩელი 63 წლისა იყო. სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი —19 წელი — კომუნისტური იდეების წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა. მეორე მსოფლიო ომში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ფაშისტთა ბლოკს დაემხო საბჭოები, მაგრამ ყველაფერი ვერ გააკეთა!

ფანატიკოსი — ანტიკომუნისტი პიუს XII თავგამოდებით ქადაგებდა თავისი ნათლულების — ფაშისტების, კერძოდ კლერიკალური ფაშიზმის მესვეურთა მეუფებას მთელს ევროპაში. ისღა დარჩა, ძველ ჰანგზე გაება გალობა: „ოჰ, რა კარგი იქნებოდა, მზე რომ არ ამოდიოდეს“.

„ახალი წესრიგის“ ძველი გურჯი

● 1939 წლის აპრილში, როცა ფრანკომ ესპანეთი სისხლში ჩააბრჩო, პიუს მეთორმეტემ სვასტიკიან გენერალს გულის ამაჩუყებელი ეპისტოლე გაუგზავნა. იოანე მოციქული ასე იტყოდა: „და აჰა, ძრვა იქმნა დიდი, და მზე შავ-იქმნა, ვითარცა ძაძა ბალნისა, და მთოვარე, ვითარცა სისხლი. ვარსკვლავნი ცისანი გარდამოცვივდეს ქვეყანად, ვითარცა ლეღვმან რა დაყარის პირველი ნაყოფი თვისი...“ პიუს XII კი პოეტი არ იყო და უფრო პრაქტიკული შინაარსის ეპისტოლე შეთხზა: „დიდი სიხარულით მოგმართავთ, კათოლიკური ესპანეთის უძვირფასესო შვილო, რათა მამაშვილურად მოგილოცოთ კურთხეული მშვიდობა და გამარჯვება, რომლებითაც უზენაესმა დაგასაჩუქრათ.. .ყოვლად უბიწო ქალწულისა და იაკობ მოციქულის, ესპანეთის მფარველთა, დიდ ესპანელ წმინდანთა უსაზღვრო წყალობის საწინდრად გიძღვნით თქვენ, ჩვენი კათოლიკური ესპანეთის უძვირფასეს შვილებს — სახელმწიფოს მეთაურსა და მის სახელოვან მთავრობას, მუყაით საეპისკოპოსოს და თავდადებულ სამღვდელოებას, აგრეთვე ყველა მორწმუნეს, ჩვენს სამოციქულო კურთხევას“. კითხულობთ და თქვენს მეხსიერებაში ასოციაციით გარდასულ საუკუნეთა მრუმე ლანდები ამოტივტივდე-

ბიან: გგონიათ, რომ გრიგოლ XIII სწერს კურთხევის წერილს ესპანეთისა და ნიდერლანდების ჯალათებს — ფილიპე II და ჰერცოგ ალბას. განსხვავება მხოლოდ დროშია: მოვლენებს შორის ძევს 366 წელი.

პაპის კურთხევა მბრძანებლებს ძვირად უჯდებათ. ფრანკომ კათოლიკურ ეკლესიას ქვეყნის სიმდიდრის მესამედზე მეტი მისცა, იეზუიტებს ანდო ყველა სკოლა, ეპისკოპოსებს წელიწადში 65 000 000 პესეტი დაუნიშნა.

პიუს XII ხოტბას ასხამდა ფრანკოს ფაშისტურ დიქტატურას— „კათოლიკური სარწმუნოების ბურჯს". გეგონებათ, ფილიპე მეორისა და სიქსტ მეხუთის მეგობრობა აღდგენილიაო. მოგვიანებით, 1953 წელს პაპმა ფრანსისკო ფრანკოსთან კონკორდატიც შეკრა. პაჩელი— პიუსი გერმანიას „ეკლესიის მახვილს" ეძახდა.

1949 წელს პაპის დეკრეტი მშობლებს უკრძალავდა ბავშვების დაშვებას რაიმე კომუნისტურ ორგანიზაციაში.

ზოგი მგლისკენაც უნდა ვთქვათ. სხვა საეკლესიო იერარქების მსგავსად, ყველაფერში არც პიუს XII ეთანხმებოდა ფაშიზმს. ასეთი აშკარა ბანდიტიზმი, რასიზმი, მკვლელობის ქადაგება ჩვენი დროისათვის ისეთი ანაქრონიზმია, რომ თვით პაპებს საგონებელში აგდებდა. მაგრამ კომუნიზმისა მაინც უფრო ეშინოდათ, ვიდრე თავიანთი ძმადნაფიცებისა, რომელთა ემბლემა, სვასტიკა, რაც უნდა იყოს, უფრო ჰგავს პაპის ჯვარს.

„მხოლოდ ჰიტლერი იცავს ახალ ევროპას"

● ამბობენ, პიუს XII მშვიდობას ქადაგებდაო. ეს მართალია. მაგრამ რომელ მშვიდობას, საკითხავი აი, ეს არის, რომ სურდა მშვიდობა კაპიტალის სამყაროში, რათა „შეეწყვიტათ ძმათამკლელი ომი და მთელი ძალები ათეიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად წარემართათ". პაპის ენაზე ათეიზმი — ესაა კომუნიზმი. ასე იქადაგა, მაგალითად 1939 წლის 25 დეკემბრის მოწოდებაში. მშვიდობას ქადაგებდაო, საერთოდ ყველა პაპზე ამბობენ, რითაც უცოდველ მღვდელმთავარს ცილსა სწამებენ.

როცა ჰიტლერმა მთელი თავისი გამანადგურებელი მექანიზმი

ჩვენს წინააღმდეგ დაძრა, პაპი სიამოვნებით შესცქეროდა „ქრისტიანობის მხსნელი“ არმიების წინსვლას. მართალია, მერე მან ნახა ჰიტლერის ნამდვილი სახე და იტალიის ელჩთან საუბარში წამოსცდა: „ო, მე რომ გერმანია მშვიდობით მომასვენებდეს, სავსებით დავუჭერდი მხარსო!“

პაჩელი — პიუს XII ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო ჰიტლერის თავდასხმისთვის საბჭოთა კავშირზე და ხელი შეეშალა ამ უკანასკნელის კავშირისათვის ინგლის-საფრანგეთთან, რაც „რუსეთის საფრთხეს აძლიერებდა“. საერთოდ, ბოლშევიზმზე მან თქვა სათქმელი და აზრი არ შეუცვლია, მხოლოდ იმეორებდა კატონის სიტყვებს: „გარდა ამისა, მოვითხოვ დაანგრიოთ კართაგენი!“ ასე აშინებდა მსოფლიოს „კომუნიზმის საფრთხით“, ანტისაბჭოთა კოალიციის ფრონტს აკოწიწებდა და შეერთებული შტატების დახმარებით აცხადებდა ცივ ომს, რასაც დასასრული არ ჰქონდა. მისი ცენტრები იყო ბონი და ვაშინგტონი.

დროს კი პაპისათვის სიკეთე არ მოჰქონდა. 1943 წელს, როცა ჩვენი არმია წარმატებით მიიწევდა წინ და პაპის კურთხეულ არმიებს მუსრავდა, პიუს XII შეშფოთებული იყო და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეხსნა ჰიტლერის „ათასწლოვანი იმპერია“, ხოლო როცა ეს ვერ მოახერხა, ლონდონს შეევედრა, „ქრისტიანული სათნოების გულისათვის შეენდო ჰიტლერი — უგნური ყაჩაღი“. გავიდა ხანი, „უგნური ყაჩაღიც“ ისტორიას ჩაბარდა, პაპი კი ისევ გალობდა: „გადიდებთ, უფალო!“

ფიურერის აღსასრულს ვერ მოესწრო მისი ძმადნაფიცი დუჩე („ბელადი“) მუსოლინი. 1945 წლის 28 აპრილს, შვეიცარიაში გაქცევის ცდის დროს პარტიზანებმა შეიპყრეს და წინამძღოლის ბრძანებით დახვრიტეს. ასე დაიღუპა პიუსის ძმადნაფიცი, იტალიის დიქტატორი და შეფი, სიტყვა „ფაშიზმის“ ავტორი და ამ საზარელი პარტიის მამამთავარი. კიდევ ერთი ბურჯი გამოეცალა კათოლიკური რეაქციის ტაძარს.

იმედგაცრუებული პაპი ახლა ოკეანის მიღმა ეძებდა მოკავშირეს. ის იყო ახალი ანტისაბჭოთა ბანაკის სულიერი მამა.

1949 წელს პაპმა ეკლესიიდან განკვეთა ყველა კომუნისტი და მათი თანამდგომი. ვიღას აშინებდა ახლა ანათემა? პიუს XII მთელი საუკუნით და მეტითაც ჩამორჩა მოვლენების მსვლელობას. არ

ცნობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახალი რესპუბლიკების დაბადებას, პროგრესის ძალების ძლიერებას. ყოველივე ამას ახალ-ახალი ანათემებით ხვდებოდა. რაც უფრო ბერდებოდა, მით უფრო ავდებოდა, უკავშირდებოდა მეომარ ქვეყნებს, მისტიკური წყვდიადიდან წყეულიდა ყოველივე ნათელს, რაც ქვეყნად ხდებოდა.

ასეთ ვითარებაში ხშირად გაისმოდა ოპტიმისტური განცხადება: ინკვიზიციის დრო წავიდა, რელიგიასა და მეცნიერებას შორის წინააღმდეგობა აღარ არისო, მაგრამ პაპი გულისხმობდა მეცნიერებას, რომელიც ღმერთის არსებობას დაამტკიცებდა, ასეთი მეცნიერება კი არ არსებობს.

სასტიკმა ავტოკრატმა პიუს XII მთელს ძალაუფლებას თავის ხელში მოუყარა თავი, რომის კურია თავის მორჩილ ფინიად აქცია, ისე რომ მთელი 14 წლის განმავლობაში პაპს სახელმწიფო მდივანიც კი არა ჰყოლია.

ამის მიუხედავად პიუს XII დიდი ისტორიული პიროვნება იყო. ასე გასინჯეთ, კაზმული ლიტერატურის გმირთა გალერეაშიც კი მოხვდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ამასთან დაკავშირებით მოხდა ერთი დრამატული ინციდენტი, რაც გახსენების ღირსია.

1963 წელს დასავლეთ გერმანელმა მწერალმა როლფ ჰოხჰუტმა დაწერა ფრიად საჭირბოროტო დრამა „მოადგილე". ლაპარაკია ქრისტეს მოადგილე პიუს მეთორმეტეზე. დრამის გმირი, იეზუიტი ფონტანა ესესელი ოფიცრისაგან გებულობს, როგორ გაჟლიტეს ჰიტლერელებმა მილიონობით ებრაელი. შეძრწუნებული მღვდელი შამამისის, პაპის სამსახურში მყოფი გრაფის შემწეობით იღებს აუდიენციას პაპთან და სთხოვს „დაემუქროს ჰიტლერს ნახევარი მილიარდი მორწმუნის პროტესტით". პაპმა უარი უთხრა და თავისი საქციელი ასე დაასაბუთა: „ახლა მხოლოდ ჰიტლერი იცავს ევროპას. ის მკვლელია, მაგრამ არ უნდა აღვუდგეთ წინ, ვიდრე ის აღმოსავლეთში გვესაჭიროება". აი, რატომ დუმდა პაპი ფაშისტების მხეცობაზე.

ამ დრამამ, რომელიც ერთი კრიტიკოსის თქმით „არასოდეს არ მოძველდება", ევროპასა და ამერიკაში მთელი სენსაცია გამოიწვია. ქვეყნიდან ქვეყანაში ტალღასავით გადადიოდა, წარმოდგენებზე დარბაზში ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა. ჰოხჰუტი ბრალს

სდებდა პიუსს, რომელიც კომუნისტების შიშით წინ არ აღუდგა ბოროტებას, ხმა არ აიმაღლა უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი ჟლეტის წინააღმდეგ. მასების ზეგავლენით ეს პიესა დასავლეთ გერმანიაშიც იდგმებოდა.

სადავო აქ რა იყო? პიუსმა არ დაიცვა მილიონები და დაიცვა ჰიტლერი... მაგრამ ჰიტლერის დაცვა ვერც პაპმა შესძლო.

რატომ დუმდა პაპი?

● „სახელმწიფოებრივი კეთილგონიერება ნებას არ გვაძლევს სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ბატონი ჰიტლერი, როგორც ბანდიტი. ის იცავს ევროპას და იბრძოლებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, რადგან შებრალებას არ ელის“, ასე ამბობდა პიუს XI, და ეს აღარ იყო დუმილი. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ახსნა იმისა, რატომ დუმდა პაპი. თვით ფაქტზე კი ის დუმილს განაგრძობდა. მგელი იცავდა ბატკანს, მწყემსი კი დუმდა. ეს ბევრის მეტყველი დუმილია. პაპი დუმდა, როცა რეაქციულმა ძალებმა ძალაუფლების სათავეში ჰიტლერი მოიწვიეს. დუმდა მაშინ, როცა ფაშისტებმა რაიხსტაგი დაწვეს, საფრანგეთი აიღეს, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის უფლებები გათელეს. პაპი დუმდა, როცა ჰიტლერის ჯოჯოხეთური სამხედრო მექანიზმი მთელი თავისი ბერზერკერული ძალით დაატყდა თავს საბჭოთა კავშირს. დუმდა, როცა ქალებსა და ბავშვებს ცხვრის ფარასავით მიერეკებოდნენ მიწის პირღია ნაპრალებისაკენ, როცა ქუჩებში ქრისტიან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ყიდდნენ და ყიდულობდნენ, როგორც საქონელს. პაპი დუმდა, როცა გოგონებს ნამუსს ხდიდნენ, საკონცენტრაციო ბანაკებში მთელი ხალხები გმინავდნენ, გამწარებული ადამიანი ადამიანის ხორცს ჭამდა... ადრეც ასე დუმდა, როცა ფარულად თუ აშკარად კრავდნენ ვერაგულ კავშირებს, კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ პატრუქს, რომლის დანაღმული ბოლო მფეთქავ გულს უერთდებოდა... პაპი დუმდა უფრო შორეულ წარსულშიც, როცა ალბიგოელთა ჟლეტა ან ბართლომეს ღამის ტრაგედია მზადდებოდა. პაპს უფლება ჰქონდა ეთქვა და მის ხმას მილიონები ანგარიშს გაუწევდნენ, მაგრამ დუმილს არჩევდა. როცა კლერმონის ველზე თავმოყრილ ჯვაროსანთა ლაშქარს ურბან II

გზას ულოცავდა და ველი ისრაელთა ბანაკივით ზიმზიმებდა, ღმერთი დუმდა. მაგრამ როცა ეს მოლაშქრეები ზღვის ტალღებივით ელეწებოდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის კედლებს, პაპი დუმდა. პაპს შეეძლო ეთქვა, და ის დუმდა.

რატომ დუმდა რომის პაპი 1871 წლის 18 იანვარს, როცა ვერსალში ბისმარკის კარნახით გერმანიის მეორე იმპერია გამოცხადდა? პირველი იყო საღვთო რომის იმპერია, მეორე —ბისმარკის, მესამე — ჰიტლერის იმპერია, რომელმაც სულ 12 წელი გაძლო, თუმცა ათასწლოვანი ეგონათ.

სამივე იმპერიის მიზანი იგივე იყო, რაც ჯუნგლების ლომისა: თავდასხმა, დაპყრობა, ექსპანსია. როცა ლომი ნადირობს, მახრჩობელა დუმს. პაპიც დუმილით შეხვდა სამსავე მტაცებელს...

რატომ დუმდა პაპი? ჩვენ არ ვიცით, რა ედო გულში და რაზე დუმდა, მაგრამ ვიცით ერთი რამ: პაპის დუმილი თანხმობის ნიშანია.

პიუს XII პასპორტს აძლევს 6 000 000 კაცის მკვლელს

● ექვსი მილიონი? ადვილი სათქმელია! ამდენი კაცი ბიბლიურ იაღვეს არ მოუკლავს. განა პაპი განგებაზე ძლიერია?

მეორე მსოფლიო ომმა პიუსს იმედი არ გაუმართლა, მაგრამ გული ვერ გაუტეხა. მზად იყო დაელოცა ფაშისტი დამნაშავეები და ახალი შეთქმულება შეეკრა. მართალია, ხალხთა ზეგავლენით ორიოდე სიტყვით დაგმო წყალბადის და ატომური იარაღი, მაგრამ არ გაასამართლა ის ეპისკოპოსები, რომლებიც ატომურ ომს რელიგიური არგუმენტებით ამართლებენ. ყორნებს, სვავებსა და პაპებს მუდამ სისხლი ახარებთ.

მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში პაპები აშკარად ეხმარებოდნენ საბჭოების მტრებს და იეზუიტური ნიაღვრით ცდილობდნენ იმის წალეკვას, რაც რევოლუციას შეუქმნია.

1950 წელს პიუსმა ღვთისმშობლის ცადამაღლების დოგმა გამოაქვეყნა, ოთხი წლის შემდეგ კი ციურ დედოფლად გამოაცხადა და მისი ხატი სადედოფლო ჯიღით შეამკო. აი, ასეთ მისტიკურ ნისლებში დარწეული პიუს XII სიცოცხლეშივე წმინდანად გამოაცხა-

დეს. მართალია, ამ ნაგავს ალექსანდრეს სხივი აკლდა, მაგრამ რად უნდა ნაგავს სხივი?

ეს კიდეე არაფერი, მშვიდობიანი ფოკუსებია.

1960 წელს, როცა ცნობილი ფაშისტი დამნაშავე ადოლფ აიხმანი შეიპყრეს, ჯიბეში ვატიკანის გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა. მკვლელის პასპორტს ხელს აწერდა პიუს XII. ან როგორ დაინანებდა პაპი პასპორტს ბანდიტისათვის, რომელმაც თვით ტორკვემადა დაჩრდილა, თორმეტი ათასი კაცის მკვლელი, ხოლო 4600 კაცის მკვლელი ხიმენესი ხომ სულ შეარცხვინა!

აიხმანის კისერზეა ექვსი მილიონი ადამიანის სიცოცხლე.

აიხმანი კი იქედნურად იღიმება. სატანის მსახურთ სატანური ფილოსოფია აქვთ: ხალხი ბალახსა ჰგავს, მოთიბავ — ისევ ამოვა!

ინდექს ლიბრორუმ პროიბიტორუმ"

„ინდექს ლიბრორუმ...“ ეს რაღაა, ლათინური ანდაზა? არა, ეს გახლავთ „აკრძალულ წიგნთა სია“. ამ წიგნებში — ჭეშმარიტებაა. საუკუნეების განმავლობაში ბობოქრობდა ეს ზღვა ჭეშმარიტებისა, ბობოქრობდა ქოხებში და სასახლეებში, ტაძრებსა და უნივერსიტეტებში.

ბერთა და მღვდელთა მილიონიანი არმია კი, პაპთა და ეპისკოპოს-კარდინალთა წინამძღოლობით, ჯებირებს აშენებდა, გაბზარულ კედლებზე ამ „ინდექსს“ აკრავდა, რომ ზღვას არ გადმოეხეთქა. ამ ცდას გარკვეული წარმატება ჰქონდა. საუკუნეების მანძილზე გიზგიზებდა კოცონები, იფლითებოდა და იწვოდა ადამიანის გენიის რჩეული ქმნილებები. იწვოდა ჯორდანო ბრუნო და მისი წიგნები, ჰუსი და მისი შრომები, იკრძალებოდა მათი შრომა, რომელთაც ვერ წვავდნენ: ვოლტერის, დიდროს, სპინოზას, ჰოლბახის, ჰიუგოს, სტენდალის, დიუმას, ჰაინეს, ფლობერის, ფრანსის ქმნილებები... ვინც მათ წაიკითხავდა, განკვეთა ელოდა.

პირველი ინდექსი პავლე IV ბრძანებით გამოქვეყნდა 1559 წელს. შემდეგ ის არაერთხელ შევსებულა და გამოცემულა.

აგერ, ჩვენს დროში, 1948 წელს ვატიკანმა გამოსცა მორიგი „ინდექსი“. ყდაზე დიდი ამბით აწერია მისი ავტორის პიუს XII სახელი. ვინც კარგ წიგნებს ვერ წერს, სხვათა წიგნებს ლანძღავს,

და თუ შეუძლია, კრძალავს. ისტორიამ ვერაფერი ასწავლა რომის პაპებს. 1949 წელს პიუსმა შეჩვენების მუქარით აუკრძალა მორწმუნეებს კომუნისტური წიგნების კითხვა. შეჩვენება 1949 წელს! ეს შეიძლება შევადაროთ კაჟიანი თოფის გასროლას რაკეტული იარაღის გვერდით.

იმავე წელს დიდი უკრაინელი მწერალი იაროსლავ გალანი „ქურუმთქურუმის“ დაქირავებულმა ბანდიტებმა მოკლეს. სიკვდილის წინ მან დაწერა შესანიშნავი პამფლეტი „მე და პაპი“, რომელშიაც დიდი სატირიკოსი ამბობს:

„1949 წლის 13 ივლისს ჩემს ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა: პაპმა პიუს XII ეკლესიიდან განმკვეთა. განმკვეთა, როგორც ხბოს განკვეთენ ძროხისაგან: გაუფრთხილებლად. სიმართლე რომ ითქვას, ჩვენი კონფლიქტი საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო, ასე ორმოცი წლის წინ, როცა ახლანდელი პიუს XII ჯერ კიდევ პატარა ახალგაზრდა ხუცესი იყო, პაჩელი, წმინდა ტახტზე კი იჯდა პიუს X. ყოველ კვირას მივყავდით მასწავლებელს ვასილიანელ ბერთა ორდენის მონასტერში და იქ მოგვიწოდებდა: გიყვარდეთ იმპერატორი ფრანც — იოსებ I, გძულდეთ „მოსკალები“, რომლებიც ძირფესვიანად გასაწყვეტი არიანო“.

ერთხელ წმინდა მამამ იაროსლავს ჰკითხა: რატომ ვეძახით წმინდა პაპს პიუსსო? „იმიტომ, რომ სმა უყვარს“, — მიუგო ყმაწვილმა. ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ ხუცესის მუხლებზე აღმოჩნდა, და შოლტმა მის ზურგზე ათი მცნება ჩაწერა. შინ რომ მივიდა, დედას უთხრა: „ვაფურთხებ პაპს!“ ამასვე ამბობდა მილიონობით ადამიანი ათობით ენაზე.

პიუს მეთორმეტეს კონფლიქტი ჰქონდა ყველა სხვა დიდ მწერალთანაც, მკვდართან თუ ცოცხალთან, და ეს ბუნებრივია: დიდი მწერალი ტირანთა მსახური ვერ იქნება, ტირანებს კი არ უყვართ არავინ, ვინც მათ არ ემსახურება.

ჯებირები მაინც გაირღვა და დღეს ბნელეთის მოციქულთა ინდექსები ვეღარ აკავებენ ჭეშმარიტების ზღვის ტალღებს, მაგრამ ისინი კიდევ არსებობენ, ეს ინდექსები. დღესაც უარყოფენ მეცნიერულ აღმოჩენებს ბიოლოგიაში, მცენარეთა და ცხოველთა წარმოშობის მეცნიერულ ახსნას, დღესაც ბრძანებენ დავიჯეროთ ადამიანის გაჩენის ბიბლიური ვერსია.. არა, ინდექსი არაა ურიგო

წიგნი...ის გვეხმარება იმის გარჩევაში, რა არის ბნელი და რა არის ნათელი.

მაიმუნი წმინდა სამსჯავროზე

● 1950 წელს გამოდის წმინდა პაპის პიუს მეთორმეტის ბრძნული ენციკლიკი დარვინიზმის წინააღმდეგ :„ჰუმანი გენერის...“ საქმე ადამიანის წარმოშობას ეხება. დარვინი ამტკიცებს, ადამიანი მაიმუნის -ან მისი მსგავსი არსებისაგან წარმოიშვაო. პიუს XII უსწორებს: როგორ გეკადრებათ, ღმერთმა შექმნაო! ეს უფრო მარტივი ვარიანტია, რა საჭიროა გართულება! ანათემა და განკვეთა მას, ვინც ბიბლიას უარყოფს! ეს ყოველთვის შეიძლება და ყველას მიმართ შეიძლება. მაგალითად, ლევ ტოლსტოი სინოდმა 1901 წელს შეაჩვენა და განკვეთა. რაკი უკვდავი ლომი განკვეთეს და ისრისმტყორცნელი ლერმონტოვიც ჯოჯოხეთში მოათავსეს, — ამაზე სურათი არსებობს, ბატონებო, ფერწერის შედევრი, სადაც წითელი ფერი სჭარბობს! — მაშინ რა ძნელია უბრალო მოკვდავთა ჯვარცმა! არ დაუჯეროთ დარვინს! როგორ იქნება ადამიანის წინაპარი მაიმუნი იყოს? ყოველ ბებერ მაიმუნს ბანჯგვლიანი თავი აქვს, რომის პაპებს კი თავზე თმა არ შერჩენიათ. არც ალექსანდრე ბორჯიას ჰქონდა, არც გრიგოლ მეშვიდეს, არც ინოკენტი მეათეს, არც ურბან მერვეს... მართალია, მათი ადამიანობის დამტკიცება ჭირს, მაგრამ პაპობა დამტკიცებულია. მაშ ძირს მაიმუნები!

1925 წელს ამერიკაში ერთი მაიმუნი გაასამართლეს — რატომ გააჩინე ადამიანიო! ყოველ შემთხვევაში, სხვა ბრალი არ მიუძღოდა. საცოდავი ბრალდებული ისე იმანჭებოდა, თითქოს უნდა ეთქვა: მე არ გამიჩენია, დარვინმა გააჩინაო, მაგრამ მაიმუნს ვინ დაუჯერებდა! ამ „მაიმუნის პროცესმა“ მთელი მსოფლიო... გააცინა.

იმავე წელს ტენესის შტატში პატიმრობა მიუსაჯეს მასწავლებელ სკოპსს, რომელიც დარვინიზმს ასწავლიდა. ეს აღარ იყო სასაცილო და ხალხებმა დაგმეს ბნელეთის მოციქულები.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, ბიბლიაა ამად კარგი! — მოკლედ მოჭრა იცის. აბა უსმინეთ დარვინს: ჯერ ხერხემლიანთა წინაპრები დაბორიალობდნენ დედამიწაზე სამას-ოთხასი მილიონი წლის წინ (ვინ იცის, სად და რანაირები!), მერე თევზისმაგვარი

ხერხემლიანები გაჩენილან, მათ მოჰყვა უძველესი თევზები, პრიმიტიული თევზები, ორნაირად მსუნთქავნი, პირველი მიწაწყლიერნი, პირველი ძუძუმწოვარნი, პირველი ქვეწარმავალნი, პირველი ფრინველები და ძუძუმწოვარა ქვეწარმავალნი (იხვნისკარტა), მიწათხარია მხეცუნები, პრიმატები, ადამიანის მსგავსი მაიმუნები, უმაღლესი მაიმუნები, და ბოლოს ოლიმპოზე თუ ადამის მთაზე შედგა ადამიანი... საიდან? როგორ? ალბათ მთელი ამ მოდგმისაგან, რომელშიაც იხვნისკარტაც კი შედის! მაშ ზევსის თავიდან ხომ არ გამოხტებოდა? ახლა კითხვებს არ იტყვით? ზოგ კითხვაზე მეცნიერების დოქტორებსაც გაუჭირდებათ პასუხის გაცემა: მაგალითად, რატომ ახლა აღარ ჩნდება მაიმუნისაგან ადამიანი? არა, განა არა სჯობს მოკლედ მოვჭრათ? ღმერთმა ერთ დღეში შექმნა ადამიანი, ისიც ისე სრულყოფილი, წუნს ვერ დასდებთ, ვერც მოაკლებთ და ვერც ვერაფერს მოუმატებთ, თუ საოპერაციო არაა. ცხადია, მაიმუნი გასამართლების ღირსია, გალერებზეა გასაგზავნი, რომ ადამიანის გაჩენა კი არა, თავისი გაჩენის დღე დაიწყევლოს.

მაიმუნის გასამართლებას პიუსის სიტყვა მოჰყვა. 1951 წლის 22 ნოემბერს პაპი სიტყვით გამოვიდა ვატიკანის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე: „უფლის მცნებანი თანამედროვე ბუნებისმეტყველების შუქზე“... უსათუოდ შუქზე! ეს სიტყვა ცალკე წიგნად გამოვიდა ბერლინში. ვატიკანი ბიოლოგიაში ერევა — ბიოლოგიას ძილი ერევა!

ფილეტოს ტრაგედია და მიუნხენის კომედია

● პიუს მეთორმეტის პონტიფიკატის დროს მრავალ სხვა მღალადებელ უმსგავსობათა შორის ერთი ასეთი ტრაგედიაც მოხდა.

1944 წლის 7 ივნისს იტალიის პატარა სოფელ ფილეტოში უცნობმა პირმა, უთუოდ რომელიმე პატრიოტმა, გერმანელი ჯარისკაცი მოკლა. სოფელში მაშინვე დამსჯელი ბატალიონი გამოცხადდა. ბატალიონს მეთაურობდა გერმანიის არმიის კაპიტანი მატიას დეფრეგერი. კაპიტანმა ბრძანა დაუყოვნებლივ მოერეკათ სოფლის მკვიდრი ყველა მამაკაცი. სულ 30 კაცი აღმოჩნდა, აქედან ცამეტმა მიმალვა მოასწრო, ჩვიდმეტი კი დეფრეგერის ბრძანებით დახ-

ვრიტეს. გვამებს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს, მერე კი სოფელი პირწმინდად გაძარცვეს, ყველა სახლი ცეცხლს მისცეს...

ჯერაც ბოლავდა პატარა ფილეტო, როცა დეფრეგერმა მაიორის წოდება მიიღო. ჰიტლერის კატასტროფის შემდეგ მაიორი მატიასი ამერიკის ზონაში მოხვდა. დაპატიმრებისათვის რომ თავი დაღწია, თავი ეკლესიას შეაფარა, მღვდლად ეკურთხა, ილოცა. მერე ნერვების დასაწყნარებლად მიუნხენიდან ტიროლის კურორტებზე წავიდა. დაბრუნების შემდეგ მატიასს, აწ უკვე ეპისკოპოსს, ისევ აუშალეს ნერვები: დამნაშავეა, სამართალში მიეცითო! ეპისკოპოსი კონტრშეტევაზე გადავიდა: თქვენ ურტყამთ გერმანელ ჯარისკაცს და ამით ყველა გერმანელს! თქვენ ნიშანში ამოიღეთ ეპისკოპოსი და ამით სახელს უტეხთ ეკლესიას! რა უფლება გაქვთ, რომ სახელი გაუტეხოთ არმიას და ეკლესიას?

ამაზე პასუხის გაცემა ძნელი არ იყო: ეკლესიის წიაღში არ. უნდა შევიდეს არა მარტო ყრუ-მუნჯი და გონჯი, არამედ დამნაშავეც, მაშინ არც სახელი გაუტყდებაო.

მაგრამ აქ ნაცისტი დამნაშავის ქომაგად გამოვიდა მისი მფარველი კარდინალი დეპფნერი. დეფრეგერი სწორედ მისი რჩევით დაამტკიცეს ეპისკოპოსად. ამით მთელი ევროპის პროგრესული ძალები აიმხედრა. მაშინ საქმეში ვატიკანი ჩაერია, კარდინალს მიეშველა: განაცხადე, ვითომ მატიასის ძველ დანაშაულზე არაფერი იცოდიო. „არა, ვიცოდი, მაგრამ არ ვთვლიდი ცოდვილადო!“ — განაცხადა ისევე თავხედურად, როგორც განაცხადებდა შვიდი საუკუნის წინ გრიგოლ VII.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მიუნხენის სასამართლომ დეფრეგერს დროებით აუკრძალა ღვთისმსახურება, მაგრამ დაუტოვა იურიდიული ფუნქციები.

საქმე გართულდა. 1970 წლის იანვარში იტალიის პროკურატურამ დეფრეგერის დაპატიმრება და გადაცემა ითხოვა, ამაზე მიუნხენის პროკურორმა ასეთი პასუხი გასცა: „არავითარი სასამართლო დევნის საფუძველს არა ვხედავო“, რაც სავსებით სწორი იყო: მოძალადე მუდამ ბრმაა, რომ დანაშაული დაინახოს. ესეც რომ არ იყოს, საუკუნეების მანძილზე დაუსჯელი რჩებოდა ეკლესიის უთვალავი მსახური, რომელმაც ამაზე მძიმე და საზარელი დანაშაულობანი ჩაიდინა, და რაღა ამ დეფრეგერს ჩააცივდნენ?

ამრიგად, დასავლეთი გერმანია და ვატიკანი საიმედო კალთას აფარებენ ყოფილ მკვლელს, კაპიტანს, მგელს, რომელმაც სახეზე ცხვრის ნიღაბი ჩამოიფარა. ეკლესია ასეთ საქმეებში გამოცდილია.

ანალოგიური კომედიების აღნუსხვას რომ გავყვეთ, რა ქაღალდი გვეყოფა! ან რა საჭიროა? რატომღაც პაპიზმის ძველი ისტორია გვაგონდება. გადაიკითხეთ, იქ ყველაფერი წერია.

პიუს მეთორმეტის პორტრეტი

● პიუს XII პორტრეტი რომ უფრო სრული გამოგვივიდეს, დავიმოწმებთ ჩეხი ჟურნალისტების დახასიათებას: „რომაელი დიდებული, რომელსაც სძულს ყველა, ვინც ხალხიდან მოდის და ხალხთან კავშირშია; ვატიკანის დიპლომატი, რომლის გულთანაც პოლიტიკური საქმეები უფრო ახლოა, ვიდრე სარწმუნოებისა; იტალიელი ფაშისტებისა და გერმანელი რევანშისტების მფარველი; ვრცელი საეკლესიო მამულების მეპატრონე; უზარმაზარი ღირებულების აქციების მფლობელი; სოციალიზმის დაუძინებელი მტერი; გადახარშული კონსერვატორი, ბოროტად რომ ცდილობს ყოველგვარი პროგრესული აზრის ჩახშობას,— ასეთია პაპი პიუს XII“.

1958 წლის 9 ოქტომბერს პიუს XII, როგორც იტყვიან, მარილზე წავიდა და დღესაც არ დაბრუნებულა.

დასრულდა პიუსების მეუფება.

თორმეტი პიუსის სახით ქრისტეს 12 მოციქული — ეპიგონი ჰყავდა. მაგრამ ვაი ასეთ მოციქულებს! თორმეტივე იუდა აღმოჩნდა.

საერთოდ, ახალ დროს თითქმის ზედიზედ ჰყავდა შვიდი პიუსი, რომლებიც 137 წელს განაგებდნენ წმინდა ტახტს. ეს ნიშნავდა, რომ ყველანი ერთ კარდინალურ კურსს მიჰყვებოდნენ. ეს იყო დროსთან შეგუებისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კურსი.

იოანე XXIII — ვატიკანის ახალი კურსი

● პიუს XII გარდაცვალებიდან 16 დღის შემდეგ ახალი პაპის ასარჩევად კონკლავი შეიკრიბა. გაიმართა ძველი დავა ახალ

სარჩულში. კარდინალთა საბჭო სამ ჯგუფად გაიყო და ბრძოლაც დაიწყო. წინააღმდეგობა აღრეც ჰქონდათ ამ დაჯგუფებებს, მაგრამ პიუს XII თავისი სათნო სახელისათვის შეუფერებელი სისასტიკით ახშობდა „მოქიშპე ძმების“ წინააღმდეგობას. ახლა, როცა მკაცრი მამა „მარილზე წავიდა“, ვატიკანის სამზარეულოში ხრაკის სუნი დატრიალდა. ერთნი, კონსერვატორები, მოითხოვდნენ პოლიტიკოსი პაპის არჩევას, რომელიც ძველებურად შეებრძოლებოდა კომუნიზმს. მეორენი, ზომიერნი, რეფორმების მომხრენი, უმჯობესად თვლიდნენ ისეთი მწყემსის არჩევას, რომელიც რელიგიას უფრო მიხედავდა, ვიდრე პოლიტიკას, ანგარიშს გაუწევდა ახალი დროის ვითარებას. მესამე ჯგუფი, „ცენტრი“, ასევე უკმაყოფილო იყო პიუს XII კურსით და მოითხოვდა ისეთი პაპის არჩევას, რომელიც ორ წინა მიმართულებას შეათანხმებდა.

კონკლავმა შფოთიან ვითარებაში ჩაიარა. 11 ტურის შემდეგ პაპად აირჩიეს 77 წლის ბერიკაცი, ვენეციის პატრიარქი, კარდინალი ანჯელო ჯუზეპე რონკალი.

პრესა ირწმუნებოდა, რომ გაიმარჯვა მესამე ჯგუფმა — ზომიერმა ცენტრმა. რონკალის ეწოდა „პაპი-კომპრომისი“.

აქ ერთი მომენტია საყურადღებო. როცა სახელის არჩევის საკითხი დადგა, რონკალის ჰკითხეს, რა სახელს მიიღებო, და გაოცებით დააღეს პირი, როცა გაიგონეს პასუხი: „იოანე XXIII“. ოთხმოცი წლის ბერიკაცი ახლად მოინათლა და იწოდა არა პიუს XIII, არამედ იოანე XXIII, რაც ნიშნავდა, რომ წინამორბედის გზას გადაუხვია. მაგრამ პაპებს არ უყვართ გადახვევა. მაშ რად გადაუხვია რონკალიმ? რატომ იოანე XXIII და არა თუნდაც იოანე XXIV? ხომ ჰყავდა უკვე ეკლესიას ერთი იოანე XXIII, პონტიფიკი № 240, ბალთაზარე დელა-კოსა, რომელმაც იმდენი დანაშაული ჩაიდინა, რომ მეტისმეტად დიდი ეჩვენათ ერთი ადამიანისთვის, უარჰყვეს მისი არსებობა და მთელი 550 წლის განმავლობაში არც ერთი პაპი არ გაკარებია ამ სახელს? ის ხომ ტრიუმფით შევიდა კონსტანცის კრებაზე და მეჯინიბის სამოსით მოუხდა გაქცევა! ეს ამბები ჩვენ ვიცით, და ნუთუ რონკალიმ პაპთა ინდექსი არ იცოდა? არა, იცოდა. სწორედ ამიტომ იწოდა ეს სახელი. ამით უარჰყო ზნედაცემული კოსა, მისი პონტიფიკატი და ტიარა. უცნაური უარყოფაა! უცნაური, ოღონდ არა პაპებისათვის.

რაც მართალია, მართალია, იოანე XXIII არაფრით არ ჰგავდა პიუსებს.

ღარიბი გლეხის შვილმა რონკალიმ საეკლესიო იერარქიის ყველა საფეხური საკუთარი ფეხით აიარა.

ადრე დიპლომატიურ სარბიელზე ემსახურებოდა პაპებს, ვატიკანის წარმომადგენლად იყო თურქეთში, ბალკანეთში, საფრანგეთში. მერე ის იყო ვენეციის პატრიარქად აირჩიეს. ასეთი ტიტული მხოლოდ ლისაბონისა და ვენეციის მღვდელმთავრებს ეძლევათ.

რონკალი — იოანე XXIII არ ჰგავდა არც თავის სულიერ სეხნიას — კოსას, არც სხვა შორეულ და მახლობელ წინამორბედებს. მისთვის უცხო იყო სიმონია, ნეპოტიზმი, უზნეობა. სიცოცხლის აღსასრულამდე არ შეუწყვეტია კავშირი სოფლად დარჩენილ თავისიანებთან, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მიანიჭა ჰერცოგისა თუ გრაფის წოდება, არც სასახლეები აჩუქა და არც პაპის ხაზინის გასაღები ჩაუბარებია. ეს იყო გაუგონარი რამ.

ახალი პაპი არ ადგენდა მოქმედების მკაცრ გეგმას, თავი უბრალოდ ეჭირა, როგორც ძველ პატრიარქებს, „არც ზევსი იყო და არც სერაფიმი, არც ეგვიპტის ფარაონი“ (ბრეზა), ჩვეულებრივ მოქალაქესავით დადიოდა ვატიკანში, როგორც მღვდელი, ხელოსნებთან შეივლიდა, ჭიქა ღვინოს დალევდა, მადლობას ეტყოდა, წელიწადში ერთხელ ინახულებდა თავის სოფელს, ამაყობდა თავისი გლეხური ჩამომავლობით და „ოსსერვატორე რომანოს“ რედაქტორს აფრთხილებდა: „არავითარი ზედმეტი ტიტულები! არავითარი „ღრმად პატივცემული ბაგეები“, „შთამაგონებელი სიტყვები“, „უზენაესის ნება“ და მისთანები! უბრალოდ დაწერეთ: პაპი წავიდა, პაპმა თქვა“...

მოკლედ, იდეალური პაპი იყო. და მაინც პაპი! ადრიან მეექვსის დროს მას, ცხადია, მოწამლავდნენ.

ღრმად მოხუცს რომ ირჩევდნენ, კარდინალებს ჩვეულებრივ იმედი ჰქონდათ, რომ საწამლავის გარეშეც მალე მიიცვლებოდა და მანამდეც თვითონ განაგებდნენ საქმეებს. მართლაც, ოთხნახევარი წლის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ მართვის სადავეები კი სიკვდილამდე არავის მიანდო. ეკლესია მტკიცედ ეჭირა ხელში.

იოანე XXIII მთავარი ღონისძიება იყო მშვიდობისათვის ბრძოლა, და ისიც არა პიუსებივით ზერელედ, ფორმალურად; არა,

ნამდვილად, საქმიანად, გულწრფელად ითხოვდა „კეთილი მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ სადავო საკითხები“.

თავისი პირველი ენციკლიკით 1961 წელს სახელმწიფოებს მოუწოდა „შეეგნოთ უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რასაც მათ ისტორია აკისრებთ“, რადგან „ახალი ომი ქვეყნიერებას ნანგრევებად აქცევს“.

ყოველივე ამის მიუხედავად, ვარაუდი ახალი პაპის ზომიერებაზე მთლად მაინც არ გამართლდა. იმთავითვე მოახდინა რომის კურიის რეორგანიზაცია. წმინდა კოლეგიაში 75 კარდინალი შეიყვანა, მერე 80-მდე გაზარდა. პირველსავე საშობაო მიმართვაში გამოუცხადა ბრძოლა კომუნიზმსა და ათეიზმს. მართალია, პირდაპირ დასახელებას ერიდებოდა, მაგრამ საკმაოდ გამჭვირვალე გამოთქმებით ამტკიცებდა, რომ „ზოგიერთ ქვეყანაში ახალი ბაბილონის გოდოლი შენდება“, „ღმერთის მტრები ხაფანგებს დგამენ და საჭიროა სიფხიზლე“. სხვა მხრივ კი ლამობდა კათოლიციზმის შეგუებას ახალ ვითარებასთან და ამავე მიზნით ისტორიაში პირველმა მიანიჭა კარდინალის წოდება ზანგს, ეპისკოპოს რუგამბვას.

როგორც ვხედავთ, იოანე XXIII მაინც უფრო ზომიერია: საკაც მისი წინამორბედი კოსა „კოცონს“ ითხოვდა, უშუალო წინამორბედი პიუს XII კი „მახვილს“, აქ ახალი მღვდელმთავარი მხოლოდ „სიფხიზლეს“ ითხოვს. ცხადია, ტერმინთა ეს სირბილე არ ნიშნავდა ანტიკომუნისტური კურსის შეწყვეტას.

ახალმა პაპმა ეკლესიების გაერთიანება და ამ მიზნით მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა გადაწყვიტა (ამ XXI ყრილობამ მუშაობა დაიწყო კიდეც 1962 წლის ოქტომბერში და 1965 წლამდე გაგრძელდა. მას ვატიკანის II ყრილობასაც ეძახიან. პირველი პიუს IX მოიწვია 1869 წელს). ცხადია, ეს თავისებური გაერთიანება იქნებოდა. საუკუნეების განმავლობაში ვერ შეთანხმდნენ ქრისტიანული ეკლესიები, ასი ათასობით ადამიანი აწამეს, დაწვეს და დაასახიჩრეს ამ „ერთიანობის“ ამაო ცდაში, და ეს 82 წლის ბერიკაცი ისეთს რას იღონებდა, რომ შეურიგებელი შეერიგებინა? პაპს ჰქონდა ამაზე პასუხი: რაც ვერ მოხერხდა რელიგიური გზით, მოხერხდება პოლიტიკური გზითო. რაც ვერ შესძლო ქრისტემ, იმას შესძლებს კომუნიზმიო. მოკლედ, პაპს უნდოდა ეკლესიის გაერთიანება ანტიკომუნისტური ლოზუნგით.

ამ ტენდენციამ თანდათანობით ნათლად იჩინა თავი. 1959

წელს ვატიკანის ინკვიზიციამ გამოსცა დეკრეტი, რაც კრძალავდა იმ თეორიებსა და პარტიებს, რომელთაც კომუნიზმთან რაიმე საერთო ჰქონდათ. ამით იოანემ ფაქტიურად დაადასტურა თავისი წინამორბედის პიუს XII ანტიკომუნისტური დეკრეტი, რაც 1949 წელს გამოქვეყნდა, ათი წლის წინ. იოანემ ეკლესიიდან განკვეთა და შეაჩვენა ყველა, ვინც კომუნიზმს უჭერდა მხარს, ხოლო 1962 წელს თავის სიტყვაში თქვა: ეკლესიის მომხრეები მშვიდობასა და კეთილდღეობაში არიან, მოწინააღმდეგეებს კი მხოლოდ აღრევა მოაქვთო.

იოანე XXIII ცდილობდა შეექმნა რაღაც „სასულიერო ნატო“ მსგავსი ორგანიზაცია, რაც ფართო მასშტაბით შეებრძოლებოდა „კომუნისტურ ერესს“. ვატიკანს მხოლოდ შეშა აკლდა, რომ იან ჰუსის ტრაგედია განმეორებულიყო.

როგორც ვხედავთ, იოანეს არ შეუქმნია „ახალი ერა“ ვატიკანის ისტორიაში, მან მხოლოდ კეთილგონიერება გამოიჩინა „ცოფიან პაპებთან“ შედარებით, ანგარიში გაუწია მასების განწყობილებას, შეარბილა ბანდიტური საიერიშო კილო და სამშვიდობო მოწოდებით შენიღბა ვატიკანის ნამდვილი კურსი. ეს იყო ფრთხილი სვლა ძველი დახავსებული ფრეგატისა, რომლის კედლებშიც წყალი ჟონავდა.

შკან, პიუსების გუნაგში

● იოანე — რონკალი მაინც უფრო ფრთხილად მიაბიჯებდა. პიუს მეთორმეტის დეკრეტი რომ აღადგინა, ამით მხოლოდ კათოლიკებს უკრძალავდა კომუნისტების მხარდაჭერას, მოგვიანებით კი პაპობის ძველი პროგრამის აღდგენა სცადა. მერე დარწმუნდა, რომ პროგრესის ძალებთან ბრძოლით მილიონებს აიმხედრებდა და მშვიდობის გზას დაადგა. 1963 წლის აპრილში გამოქვეყნებულმა საყოველთა მშვიდობის ენციკლიკამ „პაცემ ინ ტერრის“ („მშვიდობა დედამიწაზე“) ამ პაპს საქვეყნოდ მოუხვეჭა სახელი. ამაზე ადრე იოანემ გამოსცა ენციკლიკა „მატერ ეტ მაგისტრა“ — დედა და დამრიგებელი, ე. ი. ეკლესია. ბევრ რამეს იმეორებს აქ წინამორბედი პაპების — ლევებისა და პიუსების თქმულიდან, ახლად აკანონებს კერძო საკუთრებას, გმობს სოციალიზმს, მაგრამ იგრძ-

ნობა აშკარა სიმპათია მშრომელი მასებისადმი: „ჩვენს სულს ავსებს ღრმა კაეშანი, უსასრულოდ სამწუხარო სანახაობა მრავალრიცხოვან მაშვრალთა მრავალ ქვეყანასა და კონტინენტზე, ძლივს რომ გაჰქვთ თავი საცოდავი ხელფასით“. ცხადია, ამ სოციალური ბოროტების წამალი პაპმა არ იცოდა და ოხვრით კმაყოფილდებოდა.

რა თქმა უნდა, რომის პაპს ვერ მოვთხოვთ, რომ სოციალისტი გახდეს და რევოლუცია იქადაგოს — მაშინ რა პაპი და რა სარწმუნოება იქნება! მისგან ისიც თვალსაჩინო მიღწევად და საგრძნობ მსხვერპლად ითვლება, რომ მშვიდობას ქადაგებს და გმობს ატომურ ომს, რასაც მისი სიტყვით „ვერავითარი საეკლესიო მიზანი ვერ გაამართლებს“. ეს სიტყვები ამოღებულია ზემოთ ხსენებული ენციკლიკიდან „პაცემ იმ ტერრის“. ამ დოკუმენტის პოპულარობა იმითაც არის გამოწვეული, რომ პაპი ახალ პოზიციაზე დგება კომუნისტებთან კათოლიკეთა დამოკიდებულების საკითხში. მართალია, კომუნისტების პირდაპირ ხსენებას გონივრულად გაურბის, მაგრამ იმ აზრს გამოთქვამს, რომ ზოგი „ძე-შეცდომილი“ (იგულისხმება „კომუნისტი“) აღიარებს ადამიანთა ზოგად კანონებსა და ნორმებს. ამიტომ კათოლიკებმა მათთან კეთილი ურთიერთობა უნდა დაამყარონ. ასე არც ერთი პაპი არ ლაპარაკობდა. ეს იყო ახალ ვითარებასთან კათოლიკური ეკლესიის შეგუების ცდა, სოციალისტური ბანაკის უზარმაზარი წარმატებით ნაკარნახევი.

უწინ არნახული, ზომიერი პოლიტიკისათვის, კომუნიზმისა და კათოლიციზმის შეგუების ცდისა და მშვიდობის ქადაგებისათვის იოანე ოცდამესამეს „წითელი პაპი“ უწოდეს. კომუნისტური პრესა მის მოღვაწეობას თანაგრძნობით შეხვდა, ბურჟუაზიულმა კლერიკალურმა წრეებმა კი, განსაკუთრებით მადრიდსა და ვაშინგტონში, აშკარად აიმაღლეს ხმა და არ აპატიეს ჰეშმატიტ მღვდელმთავარს ის, რითაც ყველა პაპს სჯობდა.

ტყუილად ცხარობდა სასულიერო და საერო არისტოკრატია. „წითელი პაპი“ ბოლომდე კომუნიზმის მტერი იყო. თავის ენციკლიკებში შემდეგაც არაერთხელ უხსენებია „უღმერთოები“, „რელიგიის მჩაგვრელები“, „ღმერთის მტრები“. ამრიგად, ეს ბუნებით უბრალო და კეთილი პაპი მაღლა, შუქისაკენ მიიწევდა, მაგრამ პაპობის ათასწლოვანი ტვირთი ძირს, წყვდიადში ეზიდებოდა. მისი

დროის რელიგიური პრესიდან გაქრა შეურაცხმყოფელი კილო, სიტყვა ერესი, — რაც უკვე ნათელი მოვლენა იყო.

იოანეს უკანასკნელ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია ეკლესიის განახლების ცდა, ე. ი. ეკლესიისა და თანამედროვე ვიდარების შეგუება. ამ მძიმე ამოცანის განხორციელება მას არც შეეძლო და არც დასცალდა. მსოფლიო საეკლესიო ყრილობის პირველსავე სესიაზე ავად გახდა და 1963 წლის 3 ივნისს გარდაიცვალა.

პირველი ლოზუნგი, რაც რეაქციულმა წრეებმა ნამდვილი „ქრისტიანული პაპის" გარდაცვალების დღეებში გადაიროლეს, ასეთი იყო: „უკან, პიუს მეთორმეტისაკენ!" ეს ბუნებრივია: კაცობრიობა წინ მიდის, პაპობა — უკან.

პავლე VI, ატომის საუკუნის პაპი

● პავლე VI, ჯიოვანი ბატისტთა მონტინი, კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური სათვალავით 262-ე პაპია, მაგრამ თუ ანტიპაპებსაც ჩავთვლით, დაახლოებით მესამასე კაცია, რომელსაც ამჟამად წმინდა ტახტი უჭირავს.

პავლე VI მდიდარი და განათლებული კათოლიკური ოჯახიდან გამოვიდა. მამამისი გაზეთის გამომცემელი და პარლამენტის წევრი იყო. თვითონ მონტინი — პავლე VI მთელი 30 წელი მუშაობდა ვატიკანის სახელმწიფო მდივნის პოსტზე, 1954 წლიდან კი მილანის არქიეპისკოპოსი იყო.

არჩევის მეორე დღეს, 1963 წლის 22 ივნისს პავლე VI რადიოში გამოვიდა და განაცხადა, რომ განაგრძობს იოანე XXIII კურსს. თუ პაპობის ზოგად ისტორიას გავიხსენებთ, ეს კურსი ნამდვილი პროგრესი იყო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

პავლეს ტახტზე ასვლამდე პიუს მეთორმეტის მარჯვენა ხელს ეძახდნენ. არც ტახტზე უღალატნია მისთვის: ერთდროულად მოახდინა პიუს XII და იოანე XXIII კანონიზაცია.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ისე იყო ჩვენი თანამედროვე მღვდელმთავრის საქმე: მშვიდობას ქადაგებდა, იეზუიტებს კი საბრძოლველად მოუწოდებდა: ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა

თქვენი მთავარი ამოცანაო. იმავე დროს ერიდებოდა აშკარა გამოსვლას „უღმერთო კომუნისტების“ წინააღმდეგ. მოკლედ, „მორცხვი პაპია“. ატომის საუკუნეში ამაზე მეტი სითამამე ალბათ სახიფათოა: ადამიანები ცაში დანავარდობენ და ხომ შეუძლიათ გაამხილონ, ღმერთი არ შეგვინიშნავსო!

ვატიკანის მეორე საეკლესიო ყრილობა

● იოანე — რონკალიმ უზარმაზარი ღონისძიება ჩაატარა. ეს იყო ვატიკანის მეორე ყრილობა, რაც სამი წელი მზადდებოდა. ყრილობის პირველი სესია გაიხსნა იოანეს სიცოცხლეში წმინდა პეტრეს ტაძარში 1962 წლის 11 სექტემბერს და 1965 წლის 7 დეკემბრამდე გაგრძელდა. სამი წელი და სამი თვე!

მიქელანჯელოს უკვდავი სურათები დასცქეროდნენ თეთრ მაღალ ბარტყუულებიან მღვდელმთავართა ამ უზარმაზარ საკრებულოს, რომელშიაც თითქმის 2700 მონაწილე იყო თავმოყრილი და უცხო სახელმწიფოთა 86 საგანგებო მისია იჯდა. იშვიათად ახსოვს ისტორიას ასეთი დიდი კრება.

როგორც ითქვა, პირველ სესიაზე იოანე XXIII გარდაიცვალა და მისი საქმე პავლე მეექვსემ განაგრძო.

ყრილობაზე გაიმართა დისკუსიები, მიიღეს კონსტიტუციები, დეკრეტები, განიხილეს მარიამის კულტის საკითხი (იესოს კულტს ჩრდილავსო) და სხვ., მაგრამ მთავარი საკითხი მაინც იყო საეკლესიო რეფორმა, მისი შეგუება თანამედროვე ვითარებასთან, რასაც თვით ეკლესიის ინტერესები ითხოვდნენ, და რაც ხმელეთზე სამოგზაუროდ გემის გამოყენების ცდას ჰგავდა.

ყრილობამ სერიოზული დავის საგნად აქცია „ღვთაებრივი ზეშთაგონების“ საკითხი. ეს განხეთქილების ერთ-ერთი ვაშლია, რაც უშმაკმა ჩამოაგდო კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. დავა იმაზეა, რა საშუალებით გაანდო ღმერთმა თავისი მცნება ადამიანებს. პროტესტანტები ამტკიცებენ, მხოლოდ წმინდა წერილითო, ე. ი. ბიბლიით, რომლის შედგენაშიც უფლის ნებით სულიწმინდაა ჩარეული. კათოლიკეთა მტკიცებით კი ღმერთმა საამისოდ ორი წყარო გამონახა: ბიბლია და საეკლესიო ტრადიცია — ზეპი-

რი გადმოცემა. ამით კათოლიკები რომის ეკლესიის როლს ზრდიდნენ.

ყრილობამ ორივე წყარო ცნო, მთავარ წყაროდ კი მაინც ბიბლია ჩათვალა. ეს იყო მარჩიელობა. რა იცოდა ადამიანმა 1962 წელს, თუ როგორ გაანდო ღმერთმა სინაის მთაზე თუ ქანაანში მის წინაპრებს თავისი მცნებები?

ყრილობამ მიიღო „სქემა № 13" ანუ „ეკლესია და თანამედროვე სამყარო", რაც გულისხმობდა ისევ ეკლესიის „შერიგებას", უკეთ — შეგუებას კულტურასა და პოლიტიკაში შექმნილ ახალ ვითარებასთან. ამ პრობლემაზე შექმნილ კონსტიტუციაში ნათქვამია: „ადამიანის არსებობის უმაღლესი აზრი — ესაა ღმერთთან ურთიერთობა, მაგრამ მრავალი უარყოფს ღმერთს და ამიტომ თანამედროვეობის მთავარი თვისებაა ღმერთის უარყოფა, ათეიზმი". ეს სწორი დასკვნაა. სწორია მომდევნო დებულებაც: არ შეიძლება ეკლესიამ ანგარიში არ გაუწიოს ათეისტების უზარმაზარ არმიას, მარქსისტებს, კომუნისტებს. მომდევნო დებულებები ძველ ჰანგზე გვაუწყებენ, რომ უთანასწორობა ბუნების კანონია, — იყო პირველი ცოდვიდან დაწყებული, არის და იქნება ქვეყნის აღსასრულამდე. ყველაფერი ამაოა, სიცოცხლე მოისპობა დედამიწაზე. მაგრამ, წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ყრილობა მორწმუნეებს ამჯერად გულმოდგინე შრომისაკენ მოუწოდებდა, რათა ადამიანს შეუმსუბუქდეს „წყვდიადის ძალთა უღელი".

მაგრამ ვინ შეუმსუბუქებს ტვირთს მაშვრალებს, როცა ყველაზე მძიმე ტვირთია ის, ვისაც შემსუბუქება ევალება? ამაზე ყრილობა დუმს.

პაპი—იტალიისა და მსოფლიოს ერთი უდიდესი კაპიტალისტია. იტალიის ბანკსა და სახელმწიფოს ერთი და იგივე პირები განაგებენ.

მას შემდეგ, რაც ვატიკანი იმპერიალიზმს შეუთანხმდა, უფრო სწორად — დაემორჩილა, მისი კაპიტალი ისეთი მასშტაბით გაიზარდა, რომ ლევ მეათის და შუა საუკუნეთა სხვა ძლიერი პაპების შემოსავალი უმნიშვნელოდ მოგვეჩვენებოდა. 1949 წლისათვის იტალიის ეროვნული შემოსავლის 600 მილიარდიდან 40 მილიარდი პაპის ბანკების ხელში იყო. მარტო შეერთებულ შტატებში 40 მილიარდამდე კაპიტალია შენახული.

1963 წლის 1 ნოემბერს ვატიკანის საეკლესიო ყრილობაზე სამასმა ეპისკოპოსმა მოითხოვა ანტიკომუნისტური დეკლარაციის გამოშვება, მაგრამ უარი მიიღეს. ეს იყო უზარმაზარი კომპრომისი „უღმერთო კომუნიზმის“ წინაშე, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ძალად იქცა.

ამრიგად, ჩვენ მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე ვართ. ის დიდხანს გაგრძელდება. ჩვენ საკმაო დრო გვაქვს, რომ ასოციაციის ძაფს გავყვეთ და თვალი გადავაგლოთ ვატიკანის ცხოვრების ზოგიერთ არსებით მხარეს, რაც აქამდე მხოლოდ გაკვრით თუ გვიხსენებია.

ქრისტეს რომ ენახა

● დიდი ყრილობის მთავარი თავსატეხი მაინც შეუთავსებელ ცნებათა შეთავსება იყო. ყოფნა — არ ყოფნა, საკითხავი აი, ეს არის!

მეოცე საუკუნემ ვატიკანს მთელი სიმწვავით დაუსვა კურსის შეცვლის საკითხი. ან უნდა შეეგუოს ახალ ვითარებას, რეალურად შეაფასოს ძალთა გადაჯგუფება, ან ყოვლის შემძლე მსაჯული თვით აღმოჩნდება გარიყული. ამ მძიმე დილემის გადასაწყვეტად ბევრი რამ გააკეთა იოანე XXIII-მაც. თანამედროვეები მას გულთბილად იგონებენ, აღნიშნავენ, როგორ ჯდებოდა რადიოსადგურის კიბეზე, ებაასებოდა სახლის მშენებლებს; ახლაც გვიჩვენებენ ბილიკს, რომელზედაც განსვენებულს უყვარდა სიარული.

მაგრამ პიროვნების თავაზიანობა, სისასტიკე და თუნდაც გენიალობა სუსტი სვეტებია, რომ ძირშივე შემცდარი იდეის, პრინციპის, სარწმუნოების ტაძარი დაქცევისაგან იხსნას.

ახალმა დრომ, პაპის საქმე კი არა, პაპის ტახტიც შეარყია — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც კი: ამ ცოტა ხნის წინ დამტკიცდა, რომ წმინდა პეტრეს ტახტი, რაზედაც ქრისტეს მოადგილეები საუკუნეების განმავლობაში სხედან, 875 წელს ყოფილა დამზადებული, ე. ი. პეტრეს „პაპობიდან“ მთელი ცხრა საუკუნის შემდეგ. რას იზამ, პაპებს ამაზე მწარე აბებიც გადაუყლაპავთ.

რომის პაპის მანქანაზე ასეთი ნომერია: SCV — 1. ეს ნიშნავს: სტატო დელა ციტა დელ ვატიკანო — სახელმწიფო ქალაქი

ვატიკანი. შვიდასზე მეტი ფრანგი კათოლიკე პავლე მეექვსეს წერილობით შესჩიოდა, ამ შემოკლებას. მორწმუნეები სხვანაირად კითხულობენ: სე ქრისტო ვედესსე: „ქრისტეს რომ ენახა..“ ცხადია, ახალი დროის პასკვინადის ავტორი გულისხმობს: კათოლიკე მღვდელმთავართა ფუფუნებას რომ ქრისტე ხედავდეს, რას იზამდაო! რას იზამდა? იესო ქრისტე ხომ ჯვარს აცვეს! ჰეროდემ კი არა, მისმავე მოადგილეებმა. ჯვარს აცვეს თავიანთი უფალი, მხსნელი, მაცხოვარი... რა შეუძლია ჯვარცმულს, თუნდაც ღმერთკაცს?

ფარისეველთა მეუფება გრძელდება. ქრისტეს რომ მართლა ენახა, თავის თანაშემწესა და მის მსახურთ იმასვე ეტყოდა, რაც ფარისეველთ უთხრა: „ვაი თქვენდა, ფარისეველნო, გენიის ნაშობნო, ორგულნო, რამეთუ შეჰსჭამთ სახლებსა ქვრივთასა... ამისთვის მიიღოთ უმეტესი სასჯელი“ (მათე, 23).

მაგრამ, როგორცა ვთქვით, ქრისტე ჯვარს აცვეს, მისი ლანდიც კი რომიდან გაიქცა, და პეტრეც თან გაჰყვა. ეს ჯერ კიდევ დიდმა არეტინომ იცოდა.

პაპის დუქანი

● პაპის დუქანი — „ლა ბოტეგა დელ პაპა“ — უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს, მაგრამ ჩვენს დროში ამ ტერმინმა უფრო ფართო, საერთაშორისო ხასიათის ელფერი მიიღო. ამ დუქანშია, უპირველეს ყოვლისა, აღორძინების ტიტანთა — რაფაელის, ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ტიციანის, ჯოტოს, ჯორჯონეს და სხვა გენიოსთა ქმნილებანი: სურათები, ქანდაკებანი, ხელოვნების განუმეორებელი ძეგლები, რომელთაც ფასი არ ედებათ, რომლებიც არ იყიდებიან... თუმცა რატომ? ამას წიწათ ამერიკელმა ჟურნალისტმა პალაცოებსა და ვატიკანის მუზეუმებში შენახული ეს საგანძური ერთ მილიარდ დოლარად შეაფასა; როგორც თვითონვე ამბობს თავის წიგნში „ვატიკანის იმპერია“, ეს მკვდარი კაპიტალია, რომლის შენახვა ბევრს არაფერს იძლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტურისტების მოზღვავებას. სამაგიეროდ მას ფასი დაედება იმ წუთიდან, რა წუთსაც პაპი ბრძანებს: „ვყიდი!“ პაპი ამას ალბათ ვერ იტყვის—ვერ იკისრებს, თუმცა ქმნილებათა ფასი საარაკოდ იზრდება. დააცალეთ, რა ეჩქარებათ, ვატიკანს ჯერ არ უჭირს ფული.

პაპის დუქანი უბრალო საწყობი როდია. ესაა უზარმაზარი საერთაშორისო მასშტაბის სამრეწველო-ფინანსიური იმპერია. აქ შეღის ხსენებული საგანძურიც, ფაბრიკა-ქარხნებიც, ბანკები და ნაოსნობაც. პეტრეს ტახტზე ზის მაგნატი, რომელიც ფორდებს და როკფელერებს ჯიბეში ჩაისვამს. ესაა მაგნიტი, რომელიც ოქროს იზიდავს.

პაპის ამ ახალ ფინანსიურ ძლიერებას საფუძველი ჩაუყარა „განგების მოვლენილმა“ მუსოლინიმ (პიუს XI-ის თქმაა), როცა 1929 წლის ცნობილი ლატერანის კონკორდატის ძალით 90 000 000 დოლარი მისცა — ვითომ და იმ მძიმე ზარალის ასანაზღაურებლად, რაც ვატიკანმა 1870 წელს განიცადა. ეს მართლაც წყალობა იყო, ცით მოვლენილი, და ის საიმედო ფინანსისტის, კათოლიკე ნოგარეს ხელში მოხვდა.

ვატიკანი, ნამდვილი ფინანსიური სპრუტი, მსოფლიოს უმდიდრესი კერძო მესაკუთრეა.

ამ ცოტა ხნის წინ ვატიკანის აქციების საერთო ღირებულება, ლონდონის ერთ-ერთი ჟურნალისტის აზრით, შეადგენდა 2 000 000 000 გირვანქა სტერლინგს, ანუ ხუთნახევარ მილიარდ დოლარზე მეტს. კაცი იფიქრებს, რომ ათას ერთი ღამის ზღაპარს ვიმეორებთ. მაგრამ ეს სინამდვილეა.

იტალიის უზარმაზარი სამრეწველო წარმოებანი პაპის ფრთას ამოფარებიან, და ისიც არა მარტო სასულიერო, არამედ ფინანსიური თვალსაზრისითაც.

ძალა მის ხელშია, ვის ხელშიც ფულია. ეს მარტივი, თუმცა ტლანქი ჭეშმარიტება ვატიკანმა მოხერხებულად გამოიყენა თუნდაც 1964 წელს, როცა მთავრობამ მოითხოვა იმ კანონის გადახედვა, რაც პაპის სამფლობელოებს გადასახადისაგან ათავისუფლებს. ვატიკანმა მთავრობა ჩააჩუმა საფუძვლიანი დიპლომატიური მუქარით: ბაზარში სამასიოდე მილიონის ღირებულების აქციებს გადავისვრიო. ეს ქვეყნის ეკონომიკას თითქმის დაღუპავდა. ფინანსთა მინისტრმა დუმილი ამჯობინა. ასეა, ფული ყოველთვის გამოგადგება. მთავარია ის გქონდეს.

პაპის დუქანი — შაგრენის ტყავია, იმ განსხვავებით, რომ მისი მფლობელის ყოველი ახალი სურვილის შესრულება მას კი არ ამცირებს, პირიქით, ზრდის. მარტო ის რად ღირს, რომ ამ დუ-

ქანში საუკუნეების მანძილზე სხედან ტიტანები და ფეხს არ იცვლიან! არის მხოლოდ ერთი საჩოთირო უხერხულობა: ეს ძვირფასი დუქანი წუმპეში დგას.

წუმპე... წმინდა ტახტის ჩრდილში

● მრავალი დაუჯერებელი მოთხრობა წაგვიკითხავს ყალბ საქველმოქმედო დაწესებულებებზე, სკოლებსა. და თავშესაფრებზე, სადაც ბავშვები იტანჯებიან, ანგარებას ქველმოქმედების ნიღაბი ჩამოუფარებია.

მაგრამ ეს ძველი ამბებია, ახლა ასეთი რამეები არ ხდებაო, იტყვით. აი, თუ არ ხდება!

1969 წლის ივნისში, ადრე დილით, რომის ერთ-ერთ საქველმოქმედო სახლში, რომლის მუქ კედელსაც ამშვენებდა აბრა: „გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა ინსტიტუტი წმ. რიტას სახელობისა“, ვინმე ანჯელონე მივიდა და თავის ბავშვთან შეშვება ითხოვა. ინსტიტუტის გამგებელმა, 61 წლის მარია პალიუკამ უარი მიახალა, ხვალ მოდიო, მიღების საათებში. მიღების საათებს ხშირად ისინი ახსენებენ, რომელთაც გასაცემი არაფერი გააჩნიათო, გაიფიქრა შშობელმა და სთხოვა: გერმანიიდან ჩამოვედი მარადიულ ქალაქში, ხვალ ისევ მივდივარ და მინდა შვილს თეთრეული გადავცეო.

მარია შეყოყმანდა და კარი გაუღო. ინსტიტუტში მაშინვე მიმალულ კარაბინერთა რაზმი შეიჭრა და საშინელ სურათს წაადგა: აღსაზრდელები წყვილ-წყვილად მიებათ ერთიმეორისათვის, ფეხები შეეკრათ, წყლულებიდან სისხლი და ჩირქი სდიოდათ. თურმე წყალს მხოლოდ დილით აძლევდნენ, რომ ლოგინები არ დაესველებინათ, დამპალ კარტოფილს აჭმევდნენ და ისე ამახინჯებდნენ, რომ მამა შვილს ვეღარ ცნობდა. ეს პოლიციის მესამე თავდასხმა იყო. მრავალი საჩივრის შემდეგ ინსტიტუტს პოლიცია მიაკითხავდა ხოლმე, მაგრამ მარიას მღვდელმთავართა შორის ჰყავდა მფარველები. მისი მფარველი იყო თვითონ პაპი, რომელმაც ფულადი დახმარება მისცა. ამიტომ დროზე იღებდა ზომებს და წუმპიდან მშრალი ამოდიოდა. ასე გრძელდებოდა მთელი თორმეტი წელიწადი. ამ ამბავმა მთელი მსოფლიო ალაპარაკა.

როგორც გამოირკვა, უამრავი შეწირულობიდან, რაც ყოველთვიურად ორნახევარ მილიონ ლირას შეადგენდა, ეს უზნეო და უსინდისო დედაკაცი ინსტიტუტს ახმარდა სულ 50 000 ლირას, დანარჩენს კი თვითონ ითვისებდა.

როგორც ამ მაგალითიდან ვხედავთ, მარადიული ქალაქის შუაგულში დღესაც მრავალი წუმპეა, მაგრამ ქვეყნიერება მას ვერ ხედავს, რადგან მისი უწმინდესობის კალთა ფარავს.

მოკვდა ერესი?

● ასეთ კითხვას სვამს ამერიკული ჟურნალი „ტაიმი". დღეს კათოლიკურ სამყაროში თვითონ ცნობილი ღვთისმეტყველნი თავისუფლად მსჯელობენ ისეთ საგნებზე, რომელთა შეხებისთვისაც შუა საუკუნეებში შეაჩვენებდნენ, აწამებდნენ კიდეც: ეჭვის ქვეშაა დაყენებული დოგმები პირველ ცოდვაზე, ქრისტეს ღვთაებრივობასა და აღდგომაზე, ზიარების საიდუმლოებისა და იესოს უკვდავების შესახებ.

თუ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ფრანგი აბატი ალფრედ ლუაზი ბიბლიის კრიტიკისათვის განკვეთეს, თვით პაპი თავს იკავებს და აცხადებს, საეკლესიო დოგმების კრიტიკა გარკვეულ კალაპოტში მოვაქციოთო. აშკარად კი ვეღარ გამოდიან. არა, უმჯობესია ზედმეტი ბარგი გადმოყარონ, რომ ცაში მიმავალი დახავსებული აეროსტატი არ დაიღუპოს.

კათოლიკურ ცაზე სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს კითხვის ნიშანი.

1969 წლის 10 სექტემბერს პავლე VI თავის რეზიდენციაში გამოვიდა სიტყვით, რასაც უცხოეთის პრესამ უწოდა „ყველაზე უფრო დრამატული გამოსვლა მისი ტახტზე ყოფნის ექვსი წლის განმავლობაში". სიტყვა ეხებოდა იმ სიძნელეებს, რომელთა წინაშეც კათოლიკური სამყარო აღმოჩნდა, და რასაც თვითონ პაპმა „ნდობის კრიზისი" უწოდა. ,ეჭვსა და უნდობლობას კი, როგორც დესპოტური დიქტატურების ისტორია გვასწავლის, მუდამ აშკარა წინააღმდეგობა, გამოსვლები და სისხლისღვრა მოსდევს, მანამდე კი — წელში გატეხილობა და დრტვინვა.

უნდობლობის ატმოსფეროს თურმე მაღალი რანგის ხალხი

ქმნის, თუმცა არც ახალგაზრდა „მეამბოხე“ მღვდლები რჩებიან შეუმჩნეველი.

პაპი თავის თავსა და ვატიკანს კონსერვატორებსა და ფიცხ რეფორმატორებს შორის აყენებს. არ უარყოფს, რომ კათოლიციზმი მძიმე დღეშია და ბევრი მიზეზიც აქვს პესიმიზმისათვის.

სიძნელეები კათოლიკურ სამყაროს ხშირად ჰქონია, მაგრამ ახლანდელი ყველაზე ღრმა და მძიმეა. კედელი რომ გაიბზარება, შელესავ, მაგრამ თუ საძირკველი ეცლება? ესაა ერთგვარი ეროზია, რაც იმავე წლის ზაფხულში კარდინალთა დიდი თათბირის საგნად იქცა. შვეიცარიის ქალაქ კურში 18 ქვეყნის 115 კარდინალი შეიყარა. სიმპოზიუმი გაიხსნა. იქვე, „ჩრდილში“, ახალგაზრდა მღვდელთა და კათოლიკურ უმაღლეს სასწავლებელთა წითელჰალსტუხიანი სტუდენტების კონტრსიმპოზიუმიც გაიმართა. „მეამბოხე“ ახალგაზრდები გმობდნენ ტირანთა ცარიელ მსჯელობა-დაპირებებს, დახავსებულ და განუხორციელებელ სამოთხეზე ქადაგებას და მოითხოვდნენ ეკლესიის ჩაბმას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, რაც მსოფლიო მასშტაბით წარმოებს. „დუელი“ ოთხი დღე გაგრძელდა. ბოლოს ახალგაზრდები თათბირზე დაუშვეს. ეს დამახასიათებელი დარტყმაა, რაც ვატიკანის ბიუროკრატიულმა სისტემამ განიცადა.

აქვე მოითხოვდნენ ცელიბატის — უქორწინობის კანონის გაუქმებას. თვით პაპმა განაცხადა: „არსებობს საყოველთაო უნივერსალური კანონი, რომლის ძალითაც ეკლესიის მსახურთ ქორწინებას ვერ ავუკრძალავთო“. ესეც სერიოზული კომპრომისია. ეკლესიის მესვეურნიც კი გრძნობენ, რომ აზრის ძალით დათრგუნვის დრო წავიდა, რეპრესიებით ხალხის გაჩუმების ცდა დღევანდელ მსოფლიოში არის ანაქრონიზმი, რასაც მხოლოდ გონებაჩლუნგი ტირანები თუ მიმართავენ, მათივე ბატონობის დასაღუპავად.

ახალი მოთხოვნების უარყოფა გამოიწვევდა „იატაკქვეშა ეკლესიის“ ოპოზიციას, და თვით საეკლესიო-სისტემა ცდილობს დაუთმოს ადამიანებს, რომლებიც ისე ვეღარ იცხოვრებენ, როგორც ბორჯიების შავბნელ დროში ცხოვრობდნენ. თვით ვატიკანმა შეიგნო ეს.

აი, რა ამბებით აიხსნება პაპთა ლმობიერება. კიდევ ერთი მაგალითი: ამ ორი წლის წინ ჰოლანდიელმა ღვთისმეტყველმა, დო-

მინიკანელმა პროფესორმს შილენბეკმა გამოაქვეყნა „ჰოლანდიის კატეხიზისი“, რაც ვატიკანში ერეტიკულ აქტად გამოაცხადეს. ღვთისმეტყველს დისციპლინური სასჯელი დაადეს, ასი კითხვა წაუყენეს. შილენბეკმა პასუხის გაცემაზე უარი თქვა. მაშინ დიდი დაკითხვა ჩაუტარეს. ღვთისმეტყველი გამარჯვებული გამოვიდა. მაშინ ვატიკანის სამდივნო დათმობაზე წავიდა, წარმომადგენლად მიიწვია, პავლემ კი მისი ერთ-ერთი დებულება დაიმოწმა კიდეც. წავიდა ის დრო, როცა რომი მეამბოხე სწავლულებს პატივით იწვევდა და ბატივით პუტავდა.

ეს იყო კომპრომისი ერესის წინაშე. ასეთი კომპრომისები გახშირდა. ახლა ერესის დამდგენი კომისიებიც კი შეიქმნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იეზუიტმა ჯოზეფ რიხტერმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, საქვეყნოდ განაცხადა: საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ესა თუ ის პირი ერეტიკოსი, უფალი ღმერთის ხელს უნდა მივანდოთო! იეზუიტი რიხტერი თვითონ იყო ერეტიკოსი.

ჩანს, ერესი არ მომკვდარა.

მოგზაური პაპი

● პავლე მეექვსეს „მოგზაურ პაპს“ ეძახიან და არც თუ უსაფუძვლოდ.

ვატიკანის ძველი ტრადიციის თანახმად, პაპი არასოდეს არ უნდა გავიდეს იტალიიდან, და ეს ბუნებრივია: ღმერთი ვატიკანშია და მასპინძელი სტუმარს როგორ უნდა გაეცალოს?

პავლე VI კი ბარე ცხრაჯერ გაემგზავრა ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში. იყო პალესტინაში, ნიუ-იორკში, სტამბოლში, პორტუგალიაში, ბოგოტაში, ჟენევაში, ბომბეიში და უგანდაშიც კი! დადის კონგრესებზე, სამლოცველოებში, სტუმრად...

1963 წლის დეკემბერში მთელი მსოფლიო ინტერესით შეხვდა პირველ სენსაციურ ცნობას: პავლე VI წმინდა ადგილებში მიდისო მოსალოცავად. ხუმრობა ხომ არაა, პაპი არღვევდა ტრადიციას. პირველად ტოვებდა ევროპის მიწას. გასაკვირი კი არაფერი იყო. პაპმა განიზრახა აქტიური მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეხვედროდა პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ერთი წლის შემდეგ, 1964 წლის დეკემბერში რეაქტიულმა თვითმფრინავმა ბომბეიში ჩაიყვანა პაპი, რომლის წინამორბედნიც კოცონზე გზავნიდნენ მეცნიერებს, რომელნიც ფრენაზე ოცნებობდნენ. პაპი შეხვდა პრემიერ-მინისტრ შასტრის...

ერთი წელიც და 1965 წლის ოქტომბერში პავლე VI სიტყვით გამოდის ნიუ-იორკში, გენერალური ასამბლეის სხდომაზე. უაღრესად საჭირბოროტო საკითხს ეხება, მშვიდობას ქადაგებს. პრეზიდენტი ჯონსონი ნიუ-იორკში მიეშურება, რომ პირადად ინახულოს რომის პაპი.

1967 წლის მაისში პავლე VI სალაზარის პორტუგალიაში ჩადის, რაც უკვე რეაქციულ ნაბიჯად მიიჩნიეს.

1968 წლის აგვისტოში პავლე VI კოლუმბიაშია. პირველად შედგა ფეხი რომის პაპმა ლათინურ ამერიკაში. მუხლი მოიყარა და ეამბორა მიწას, რომელსაც ამერიგომდე მიწიერ სამოთხედ თვლიდნენ (პაპი ხომ ისედაც მიწიერ სამოთხეშია!), მერე ხელის ჩამორთმევით გააბედნიერა სწორუპოვარი ტორეადორი მანოლო მარტინესი... ბოგოტას სასტუმროს 31 000 კაცი მოაწყდა, კერძო ბინებს — 10 000.

პაპის ვიზიტს მოჰყვა პატარა პოლიტიკური ფორმალობა. სიტყვა რეაქციული ეჩვენათ. სისხლი დაიღვარა. პავლემ ამის გამო სინანული გამოთქვა. სიტყვანი სინანულისანი! ასეთი სიტყვის თქმა სასულიერო პირებსაც ეხერხებათ და საეროებსაც, პირველი შემთხვევა ხომ არ იყო!

1969 წელს პავლე VI უგანდაშია (ამაზე ცოტა ქვემოთ). იმავე წელს ჩავიდა პაპი შვეიცარიაში. ვიზიტის მიზანი იყო კონსტიტუციის იმ მუხლის გაუქმება, რაც ამ ქვეყანაში მონასტრებსა და ორდენებს ხურავდა. უმრავლესობამ პაპის სურვილი უარყო.

მოგზაური პაპი სინანულით ლაპარაკობს „უსერიოზულეს კრიზისზე", რასაც კათოლიკური სამყარო განიცდის. 1969 წლის 15 იანვარს სერიოზულად უსაყვედურა „ახლანდელ თაობას, რომელიც თითქოს დამთვრალა იმ ცვლილებებით, რომელთაც ის პროგრესს ეძახის", და რის შედეგადაც ასობით მღვდელი უარს ამბობს სასულიერო ხარისხზე... რა თავაზიანი არიან ახლანდელი პაპები! საწამლავს აღარ ამზადებენ, წამებას აღარ ესწრებიან. ალბათ არც გადადგომაზე იტყვიან უარს. ასეთი ნაბიჯი ხომ პაპებს ჯერ არ გადაუდგამთ (და თუ გადადგეს, ძვირად დაუჯდათ).

შავი აფრიკა — გემრიელი ლუკმა

● ვატიკანი დიდი ხანია მტკიცედ ეჭიდება „ახალგაზრდა კონტინენტს“ — აფრიკას. მართალია, კათოლიკეთა რიცხვი იქ შედარებით მაინც მცირეა — 250 მილიონი მცხოვრებიდან სულ 30 მილიონია კათოლიკე — მაგრამ შავანაფორიანი ღამურა სულ უფრო ფართოდ შლის შავ ხმელეთზე შავ ფრთებს. 1967 წელს პაპმა ორი ენციკლიკი გამოსცა. მათი აზრი იყო ქრისტიანობის განვითარება აფრიკაში ადგილობრივი რელიგიების ბაზაზე. ვატიკანის II ყრილობამ ამ მხრივ მრავალი ღონისძიება გაატარა. უფრო ეფექტური ღონისძიება იყო პავლე მეექვსის ჩასვლა უგანდაში 1969 წელს, ვითომ 22 ადგილობრივი წმინდანის კანონიზაციის საბაბით. სინამდვილეში კი პაპის ჩასვლას უფრო ღრმა პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, აფრიკა ხომ იბრძვის! ებრძვიან თეთრ ბატონებს და მათ შორის მისიონერებსაც. მათ დაცვა უნდათ, პაპი მათ გონივრულად იცავს. ამასთან პრივილეგიებს აძლევს აფრიკელ მღვდლებსაც. ასე გასინჯეთ, ღვთისმსახურების დროს ადგილობრივი ტამ-ტამების გამოყენების ნებაც კი მისცა. განთავისუფლებულ ქვეყნებში ვატიკანმა ზარალი განიცადა, ესეც აფრიკის ხარჯზე უნდა აინაზღაურონ. დე, აქუხონ ეს წარმართული ტამ-ტამები, თაყვანი სცენ ნახშირივით შავი ბელადების სულებს, ოღონდ იხადონ ყვითელი ოქრო! ოქრო!

ახალგაზრდა ქვეყნების „ნახევრად ველური“ მასების გადმობირების მიზნით მაშინ უგანდაში ეპისკოპოსთა პირველი სრულიად აფრიკის კონფერენცია მოიწვიეს. მის გახმაურებას პაპის დასწრებამ შეუწყო ხელი. 7 კარდინალი, 33 არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი მსჯელობდა „აფრიკანიზაციის“ საკითხზე, მისიონერთა შორის მუშაობის გაშლაზე, მუშათა გულის მონადირებაზე. მთავარი მიზანი მაინც კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. თავის სიტყვაში პაპმა ძალიან ფრთხილად ილაპარაკა კოლონიალიზმის წინააღმდეგ და ყველა მონაწილეს საყოველთაო მშვიდობა უქადაგა, როგორც იტყვიან, ეს იყო სიტყვა მქუხარე — საქნე მწუხარე.

სინამდვილეში მბრძანებელთა ვიზიტი ხშირად სახიფათოა. შავი აფრიკა კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლო კათოლიციზმის შავ ჭა-

ობში, სადაც ბებერი სპრუტი შის სასიცოცხლო ძარღვებს წაეტანა.

აფრიკა გემრიელი ლუკმაა, მაგრამ აფრიკელებს ის თავისთვის უნდათ.

ვატიკანის დიპლომატია

● ვატიკანის დიპლომატიას ათასწლოვანი ისტორია აქვს. მისი ნაცადი ხერხებია სიცრუე, ვერაგობა, ცბიერება, ლავირება ძლიერსა და სუსტს შორის, შემოვლითი გზების ძიება...

ვატიკანელი დიპლომატები ხშირად განიცდიან მარცხს. ესაა სახელმწიფო, რომელსაც აღარა აქვს პოლიტიკური, საერო ძალაუფლება, და მის ანკესზე ისე იოლად აღარ ეგებიან ორაგულები, მით უფრო — ზვიგენები და ქარიყლაპიები. მარცხისათვის ვატიკანს ხშირად უკიჟინებენ თვით კათოლიციზმის ბურჯები, ურჩევენ, პოლიტიკურ პრობლემებს მოეშვი, საეკლესიო საქმეებს მიხედეო. მაგრამ ეს პრინციპის შეურაცხყოფაა. როგორ, ვატიკანი და ჩაურევლობა? არ კმარა, რომ ღმერთი აღარ ერევა ადამიანთა საქმეებში? მისი მოადგილე მაინც ხომ უნდა ჩაერიოს! და ის ხელსა ჰყოფს ყველა ქვეყნის საქმეში, ბრილიანტებით მოჭედილ ხელს, რომ თვალები აუჭრელოს, დაიყოლიოს, ორსავე ნახევარსფეროში „ღვთაებრივი წესრიგი“ დაამყაროს. პაპი ესწრება ლიგის სხდომებს, გზავნის წარმომადგენლებს ისეთ ქვეყნებშიაც კი, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, გზავნის სამოციქულო ლეგატებსა და ნუნციუსებს, აწყობს შეხვედრებს და ა. შ

„ღვთაებრივი მისიით“ აღჭურვილ ნუნციუსებს მოქმედების სრული თავისუფლება უნდა ეძლეოდეთ თვით ირანში, ინდოეთში და სხვა არაქრისტიანულ ქვეყნებში. ასეთია პრეტენზიები. ასე ბრძანებდა პიუს XII.

პაპს წარმომადგენლობა ჰყავს 60 ქვეყანაში, მათ შორისაა თვითონ იტალიის მთავრობა, და თვითონაც 50 ქვეყნის ელჩებს იღებს. მათი საქმიანობა რთული და მრავალფეროვანია. მთავარია ანტიკომუნიზმი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ვატიკანის დიპლომატები ჰიტლერისა და ინგლის-ამერიკის შერიგებას ცდილობდნენ, რომ საერთო

ძალიან დაეხრჩოთ საბჭოთა კავშირი. როგორც ცნობილია, ამ „გონივრულმა ღონისძიებამ“ მარცხი განიცადა.

პაპისა და მუსოლინის კონკორდატს ტოლიატიმ უპასუხა ცნობილი სტატიით „რომის საკითხის აღსასრული“. პაპის საერო ძალაუფლება უმწეო და სასაცილო რამ იქნებაო, განაცხადა, მაგრამ პაპი ნირს არ იტეხდა. იტალიის ფაშიზმთან შეთანხმებას მოჰყვა ანალოგიური კონკორდატები ჰიტლერის გერმანიასთან (1933 წლის 20 ივლისს), სალაზარის პორტუგალიასთან (1940) და ფრანკოს ესპანეთთან (1953). ეს შეთანხმებები —აქცენტით ფაშიზმზე — მორიგი გააზრებული ნაბიჯები იყო. ფაშიზმი ხომ კომუნიზმთან ბრძოლის ყველაზე უფრო საიმედო ფორპოსტია, თუმცა ამ საქმეში არც სხვა დიდი სახელმწიფოები იჩენენ პასიურობას: მაგალითად, 1944 წელს პიუს XII შეხვდა ჩერჩილს, რომელიც თავის მემუარებში წერს: „მე და პაპს ბევრი რამ გვქონდა სასაუბრო, მაგრამ მთავარი თემა ამ აუდიენციის დროს, ისევე როგორც 18 წლის წინ (მის წინამორბედთან), იყო კომუნისტური საფრთხე. მე ყოველთვის გამსჭვალული ვიყავი კომუნიზმის უღრმესი ზიზღით, და თუ ოდესმე კიდევ მექნება მის უწმინდესობასთან შეხვედრის პატივი, ამავე თემას უყოყმანოდ დავუბრუნდები“. ამ პოზიციაზე დარჩა ინგლისი ვილსონის დროს, ბრაუნის დროს, და რჩება დღესაც.

პაპის დიპლომატია დღემდე იბრძვის იმისათვის, რომ ოდინდელი რომის საღვთო იმპერიის ტერიტორიაზე შექმნას რაღაც გრანდიოზული კათოლიკური იმპერია. ამ მიზანს თავგამოდებით ინახავდა „პროგრესული პაპი“ პიუს XII. მიწყდა თუ არა მეორე მსოფლიო ომის ქვემეხთა ქუხილი, 1945 წლის 9 მაისს უკვე განაცხადა: ახალი ევროპა უნდა ავაშენოთო. ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა პიუსის ახალი ევროპა. მაგრამ მოვასვენოთ პიუსები. თვით წყნარი და მშვიდობიანი პავლე VI აცხადებს: ევროპის კავშირის შექმნა, სასარგებლო კი არა, აუცილებელიც არისო. იმავე მიზნით ლამობენ პაპები შექმნან ლათინური ამერიკის — „მესამე სამყაროს“ — ბირთვი. იმავე მიზნით იწვდიან ხელს კორეაში, აფრიკაში, ინდოეთში... ვატიკანი ასხელიანი ტიტანია და ღმერთებს ებრძვის. შუბლს იკრავენ ბუდა, შივა, ვიშნუ, მაჰმადი, და ქვის ბაგეებით კუშტად მეტყველებენ: ჩვენ, ფანატიკოსები, შენზე ლმობიერნი ვართ. სათნო იესოვ! აუხსენი ეს ჭეშმარიტება ვატიკანს

ვატიკანი კი თამაშს განაგრძობს. ეს თამაში განსაკუთრებით უჭირს სოციალისტურ რუსეთთან. ეს ადრევე გახდა ცნობილი. მთელი თავისი დახვეწილობის მიუხედავად, ვატიკანის დიპლომატია აქ თავს ვერ აღწევს მკვეთრ გამოთქმებს. ჯერ კიდევ 1846 წელსაც პიუს IX ენციკლიკაში „კვი პლურიბუს" წყევლიდა „ეგრეთ წოდებული კომუნიზმის საზიზღარ დოქტრინას, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება ბუნების კანონწესებს, და თუ ერთხელვე აღიარე, ძირფესვიანად დაანგრევს უფლებებს, საგნებს და თვით ადამიანთა საზოგადოების საკუთრებას". მერე ვინ იცის, რამდენი ენციკლიკა, ანათემა და მიწერილობა ეძღვნა ამ თემას! ბებრის ნუგეში — წყევლაა. ლეო XIII კომუნიზმს ეძახდა „დამშლელ ჭირს, რასაც კაცობრიობა დაღუპვისაკენ მიჰყავს, არღვევს მის საფუძველთა საფუძველს". იმავე ჰანგზე გალობდა პიუს XI: ჭირი, ხრწნა, ხელოვნების აღსასრული, სასახლეების ნგრევა, საერთო საკუთრება, რაც ცოლებზეც ვრცელდება, და ა. შ.

უფრო მარტივად, ფრთხილად და რეალურად მივიდა ამ საგანთან იოანე XXIII. მისი „პაცემ ინ ტერრის..." (მშვიდობა დედამიწაზე) საჭიროდ თვლის მოთმინებას: იქნებ დღევანდელი ურწმუნოება ხვალ რწმენად იქცესო. მელიას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდა. იოანეს ესმოდა, რომ კომუნიზმი და ქრისტიანობა შეუთავსებელი ცნებებია, მაგრამ განა მეკობრეობა და საქრისტიანოს გამგებლობაც შეუთავსებელი არ იყო და მისმა შორეულმა ორეულმა ბალთაზარ კოსამ კლასიკურად არ შეათავსა? ისიც ხომ იოანე XXIII იყო! იქნებ აქაც მოხდესო შეთავსება. ამ რწმენით გამსჭვალული პაპი აცხადებდა; მართალია, კომუნისტი შემცდარია, მაგრამ მაინც ადამიანია და ამდენად პატივსაცემიო. ამისათვის პაპს კათოლიკური ეკლესიის ბურჯები თავს დაესხნენ. ერთ-ერთი ნეოფაშისტი აშკარად აცხადებდა: „ანტიკომუნისტურ თხრილზე პაპმა ასაწევი ხიდი დაუშვაო". ეს გაბოროტება გაცოფებამდე მივიდა, როცა მსოფლიო საეკლესიო ყრილობამ პირველსავე სხდომაზე არ დაგმო კომუნიზმი. ცხადია, ამ დიპლომატიური ხერხიდან ვერავინ გამოიტანდა ისეთ დასკვნას, რომ მგელი ბატკნად იქცა, მაგრამ ვითარება შეიქმნა ისეთი, რომ თვით რომის პაპი „ჰუმანისტად" გამოდიოდა მის რეაქციულ სისტემასთან შედარებით. ესაა დიპლომატიის ახალი კურსი. ვატიკანის უკანასკნელი ასი წლის მბრძანებლებმა იციან, რომ კომუნისტების ლიდერები არავითარ კანოსაში

არ მივლენ, რათა გრიგოლ მეშვიდის მემკვიდრეებს ქოშები დაუკოცნონ, ამიტომ წყნარად არიან და ჭიშკრებს ფართოდ აღებენ.

ამ ჭიშკრებში ახალი დროის სიო თავისუფლად დაჰქრის. რატომ არ დახურავს ალაყაფის კარებს პაპის გვარდიის გონფალონიერი? ხომ შეიძლება მოხუცი მღვდელმთავარი გაცივდეს?

პაპის გვარდიის აღსასრული

● პაპის გვარდია აღარ არსებობს.

1970 წლის შუა სექტემბერში პავლე მეექვსის გადაწყვეტილებით დაიშალა ვატიკანის შეიარაღებული ძალა, რაც „აღარ პასუხობდა დროის მოთხოვნილებას". ხუთასმა გვარდიელმა, 142 ჟანდარმმა და საპატიო ყარაულის 60 დარაჯმა ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი ჩააბარა. დასრულდა პაპის არმიის ისტორია.

შვეიცარიელებს, როგორც შეუპოვარ მეომრებს, ევროპის გამოჩენილი მეფეები და ჰერცოგები ქირაობდნენ. პაპის ჯარებში შვეიცარიელები პირველად გამოჩნდნენ 1485 წელს, სიქსტ მეოთხის დროს, ერთი წლის შემდეგ ტახტზე ასულმა ინოკენტი მერვემ ეს რაზმი გააძლიერა, ხოლო „მეომარმა პაპმა" იულიუს მეორემ მთელი გვარდია შვეიცარიელებისაგან შეადგინა. მეთაურად კი წარჩინებულ რომაელს უნიშნავდნენ. პიუს მეცხრემ 1852 წელს შვეიცარიელთა გაძლიერებული რაზმი შექმნა, რაც 1860 წელს უფრო გააძლიერა.

გავიხსენოთ: ამ გვარდიამ ოდესღაც საფრანგეთის არმიის გენერლის მოკვლაც კი გაბედა. ერთი მუჭა რაზმი არაერთხელ შებმია იმპერიის რაზმებს. 1867 წელს გერმანელ ბარონ გერმან კანცლერის მეთაურობით ვატიკანის არმია მამაც გარიბალდის ებრძოდა, ფლოტიც კი ჰყავდათ ჩივიტა-ვეკიაში. 1870 წელს, როცა რომი იტალიის დედაქალაქად უნდა გამოეცხადებინათ, იტალიის პატრიოტთა ჯარებს პაპის არმია ებრძოდა. მართალია, უწინაც და ახლაც პირველი იყო... გაქცევაში! მაგრამ უცხოელთა ხიშტების შემწეობით ბოლოს მაინც იმარჯვებდა ხოლმე.

უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში პაპის გვარდია ვატიკანის ფარგლებს არ გასცილებია. ახლა ვატიკანიც მიატოვა. პაპი ზედმეტ ხარჯებს მოერიდა. დაიტოვა სულ 54 კაცისაგან შემდგარი

რაზმი, რომლის სამოსი მიქელანჯელოს ნახატების მიხედვითაა შეკერილი.

ამრიგად, პაპს ახლა მხოლოდ ღმერთი იცავს. ღმერთი კი ყველგანაა, უმთავრესად ცრუმორწმუნეთა და უმეცართა თავებში, ასეთების ნაკლებობა კი, სამწუხაროდ, არასოდეს არ იგრძნობოდა.

ღმერთი მოკვდა,
გაუმარჯოს ღმერთს!

● ეს ახალი დევიზია? არა, ძველია.

შუა საუკუნეებში ასე ხდებოდა: მიიცვლებოდა ერთი მეფე — ტახტზე ავიდოდა მეორე. ქვეყნის ცხოვრებაში ეს ბევრს არაფერს ცვლიდა, ისტორიაში კი ერთი სახელი იცვლებოდა მეორით. მონარქი იცვლებოდა, მონარქია რჩებოდა. ქუჩებში შუბოსანი ჰეროლდი დააქროლებდა ოფიციალურ მერანს და გაიძახოდა:

— მეფე გარდაიცვალა — გაუმარჯოს მეფეს!

არ ვიცით, იყო თუ არა შიკრიკი იმდენად გონებამახვილი, რომ ერთხელ მაინც წამოსცდენოდა: „ერთი მუქთახორა მოკვდა— გაუმარჯოს მეორეს!“

დღეს რელიგიურ სამყაროში ხდება რაღაც ამდაგვარი. ადამიანთა ყურების გამოჭედვა ძველი ბიბლიური ლეგენდით კიდევ გრძელდება, მაგრამ თავების გამოჭედვა უკვე ძნელდება! მთელი ეს სამოთხის ბაღი, მოსეს კვერთხი, იეღოვას სჯულის კიდობანი, ბზის ტოტი, ბეთლემის ქვაბი და მისთანა ატრიბუტები სარდაფშია ჩასატანი და ახალია შესაძენი. ბიბლიური თქმულებანი ისეთივე სასიამოვნო პოეტური ამბებია, როგორიც ინდური ზღაპრები, ათას ერთი ღამე, ანდერსენის ზღაპრების წიგნი, მაგრამ მათზე მეტ სიმართლეს არ შეიცავენ. ადამიანებს ზღაპრებით ვეღარ არჩენ. ჯერ კუჭია, მერე სარწმუნოება; იდეა და ფილოსოფია. ხალხები აზროვნებენ, შრომობენ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ და ჩირადაც არ მიაჩნიათ ღმერთი, კერპი, პაპი, საერო თუ სასულიერო პირი, რომელიც თვითონ ნაზუქებს შეექცევა, მშიერ-მწყურვალ ხალხს კი უქადაგებს: შედით უფლის სახლებში, დაიჩოქეთ და ილოცეთო. ადამიანი ძველებურად ვეღარ იცხოვრებს.

ძველი ადამიანი უფრო გათქვეფილი იყო, უფრო ჰარმონიულად

იყო „ჩაწერილი“ ბუნების წიგნში, გამოქვაბულშიც კარგად იძინებდა, ტიტველიც იყო, ფესვებსაც კარგად მიირთმევდა; ღმერთიც მაშინდელი ქმნილებაა. დღეს ადამიანი უფრო გამოეთიშა დედაბუნებას, გამოქვაბულიდან სასახლეში გადავიდა, თვითონვე „ქმნის“ ბუნებას. ხომ არ დადგა დრო ღმერთსაც გამოეყოს და აღიაროს საკუთარი ძლიერება? დადგა და განა დღეს? ჯერ კიდევ ბრუნომ, კოპერნიკმა, ლომონოსოვმა, ჯემს უატმა, ტომას ედისონმა, მარკონიმ, პოპოვმა განდევნეს ის სამყაროს სიერციდან.

ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ ასტრონომმა ლალანდმა თქვა: მთელი ცა გამოვიკვლიე და ღმერთის კვალიც ვერსად ვიპოვეო. ეს აღმოჩენა სულ უფრო პოპულარული ხდება. ახალი ღმერთი ამსხვრევს ძველ კერპებს.

კათოლიკურ წრეებში სულ უფრო ძლიერდება ძველი ღმერთის სიკვდილისა და ახალი, გონების რელიგიის შექმნის იდეა. საჭიროა იმისი გადარჩენა მაინც, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებაო, ამბობენ მცოდნენი. უნდა გაიწმინდოსო ქრისტიანობა ბიბლიური ნაჭუჭისაგან, ამას ქადაგებენ „ათეისტი ქრისტიანები“, „უღმერთო თეოლოგები“, პრესვიტერიანელები, პატერები, პასტორები, ხუცები, ან როგორც ანდერსენი იტყოდა, პერი, პეირი და პეტერი.

საწყენია, მაგრამ ფაქტია! უნდა გამოიგონონ ახალი ღმერთი, რომელიც უფრო ახლო იქნება ხალხთან, თუნდაც იმ აზრით, რომ თუ ხალხი აღდგა, მეამბოხეები დროზე დახვრიტონ და გააჩუმონ. მაგრამ საჭიროა კი საერთოდ ღმერთი?

დღეს სოციალისტი მართავს საუბარს კათოლიკე მუშასთან, რომ მისი გონება გამოჰგლიჯოს ღმერთს, რომ შეუნარჩუნოს რწმენა. ყველა კი ხედავს: იეღოვა დაბერდა, საუკუნის საჭიროებანი აღარ ესმის, ბავშვსაც ვეღარ აოცებს თავისი სასწაულებით, რომელთა დაჯერება ფარაონსაც კი უჭირდა, თუმცა მოსემ რამდენი სასწაული აჩვენა! საჭირო ხდება საქმიანი, უბრალო მიწიერი ღმერთის გამოგონება, რომ უზრუნველჰყოს მშვიდობა, თავისუფლება, ხელოვნებისა და მწერლობის ახალი აყვავება, ხიუხვე, გაიაფება... ასე ითხოვს ახალი ვითარება.

ამრიგად ღმერთი მოკვდა — გაუმარჯოს ღმერთს! კათოლიკე ღვთისმეტყველთა ამ დევიზს ჩვენ ასე შევცვლიდით: ღმერთი მოკვდა — გაუმარჯოს ადამიანს!

● აი, დასრულდა ვატიკანის მორიგი საეკლესიო ყრილობა. რომის გაზეთებში კარდინალების პორტრეტები ქვეყნდება. რამდენი ნასუქი მუქთახორაა! რა უნდილი გვარებია! რა უნიჭობა და უსაგნობა! ვიდრე ეს თავმოთნე პარაზიტები სათითაოდ განლაგდებიან მამა აბრაამის წიაღში, ხალხს სული ამოსძვრება. ვატიკანში მუდამ ზეიმია, მაგრამ არასოდეს — არსებითი სიახლე. თვით კონსტანცის ყრილობამ მოახდინა რაღაც სამართლიანი აქტი, დამნაშავე ბალთაზარ კოსა გადააყენა და შეიპყრო, შემდეგ კი ასეთი რამეები თითქმის აღარ ხდება. ბნელეთის ბურჯები ხელშეუხებელნი არიან, ვითარცა ბუდას ქანდაკებანი. ქვის სახეებით შემოსცქერიან ხალხებს და ᲡᲛისაგან ჩაღამებული თვალებით მორწმუნეთა სულში იხედებიან.

ვატიკანი პაპისაა! თუ პაპს ჰკითხავთ, მთელი მსოფლიოც ისევ მისი გახდება. ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲡᲑᲘᲠᲝᲔᲑᲘ დაძრწიან. ეკლესიაში პაპია, კათედრაზე პაპი, ეკრანზე პაპი, გაზეთში მისი უწმინდესობა... ყველგან პაპია, ადამიანებისათვის ადგილი აღარა რჩება. დღეს ზეიმია, ხვალ ზეიმი, სულ ზეიმი... ძველ რომში ყოველი მეორე დღე ზეიმი იყო, იმ განსხვავებით, რომ მუქთი პურიც რიგდებოდა. ახალი ნერონები უფრო დაჭკვიანებულან. ძველი დევიზი „პური და სანახაობა“ ახლით შეუცვლიათ: „უპურო სანახაობა“. ეს დევიზი უფრო რაციონალურია. ფული არ იხარჯება, ზეიმი კი ზეიმია. ყველაფერი უკეთესისაკენ მიდის.

— ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲖᲔ ᲡᲣᲚ ᲖᲔᲜᲘᲗᲖᲔᲐ! — გაიძახიან ღვთისმსახურნი.

— როგორც სამხრეთ პოლუსზე, — ხუმრობს სატირიკოსი, — ორასი დღე ისე გავა, მზე სულ ზენიტზეა, ღრუბლის ქულას ვერ ნახავთ, და სულ ყინავს, როგორც არსად დედამიწაზე!

ახალი სატირიკოსები უფრო განათლებულნი არიან. რომში სატირიკოსებს რა გამოლევს! ბიბლიურ იეღოვას რომ თაყვანსა ვცემდით, ან იესო ქრისტეს, ღმერთები მაინც იყვნენ, მისი უწმინდესობა კი ღორიაო; ასეთი პასკვინადი ამშვენებს რომულის ძეგლს:

იეღოვა ღმერთი იყო,
გალობს წმინდა გუნდი, —

ღმერთის კულტი რომელს უკვირს —
გვიკვირს პაპის კულტი!

ცხადია, ეს პასკვინადი მოძველებულია, ახალი პაპები უფრო ფაქიზი და დახვეწილები არიან, მაგრამ მათი რწმენა ძველია, როგორც იეღოვა.

საზეიმო ნადიმი, მონური მორჩილება, ვატიკანის ნადიმი — სულ მლიქვნელობაა.

მლიქვნელობა არის თვით რელიგიის არსი. ბიბლიაში ბაბილონის მეფემ დანიელი ლომების ორმოში ჩააგდო და როცა დილით მიაკითხა, წინასწარმეტყველმა მლიქვნელურად ამოსძახა: „მეფევ, საუკუნეთა ცოცხლებდ!“.

„მადლობა უფალს, მე პაპი ვარ!“ — ცინიკურად გაიძახოდნენ გაბატონებული მოძალადეები და მლოცველთა ბრბო მხოლოდ იმისათვის ესაჭიროებოდათ „აერჩიათ, ეკმიათ და ეკმიათ“.

დღეს ინკვიზიტორები აღარ არიან, სისხლის მდინარეები აღარ ჩქეფენ, კულისების რომანები მიუწვდომელია, მაგრამ ნადიმი გრძელდება.

უნდა ნახოთ, რა ისტორიული თვითკმაყოფილებით მიუსხდებიან სუფრას ვატიკანის ყრილობის მესვეურნი! ოღონდაც! დიდი საქმე მოამთავრეს — თუ საქვეყნო არა, საკუთარი მაინც — და ახლა თამამად შეუძლიათ ინეტარონ სავსე სუფრაზე, მორიგ თავყრილობამდე ბევრი ტარიგი დაიკვლება, ბევრი მსუქანი ბატი აშიშხინდება ნაღვერდალზე, და გონებამახვილი მღვდელმთავრები ენას გაიწაფავენ უკბილო ხუმრობით იმაზე, თუ როგორ მოხრაკეს წმინდა დოქტორი, „ჩეხი ბატი“ — იან ჰუსი. ამ ჩინებულ სუფრას ჩიტის რძეც კი არ აკლია. მღვდელმთავრები ძღებიან ტახებივით და იძინებენ ჯირკებივით. რა ესაქმება ხალხს ყოველივე ამასთან?

ბალთაზარის ბიბლიური ნადიმი გვაგონდება: „სვმიდეს ღვინოსა და აქებდეს ღმერთსა ოქროსათა და ვეცხლისათა, და რვალისათა და რკინისათა და ძელისათა და ქვისათა. მას ჟამსა შინა გამოვიდეს თითნი ხელისა კაცისანი და წერდეს პირის პირ ლამპრისა საგოზელსა ზედა კედლისასა...“ ამ ცეცხლოვანი ხელის მოლოდინში თრთიან და ნადიმობენ.

ეს არის ძველი წმინდა ბუნაგი. აქ ბატონი ძალადობა ნადიმობს და ქალბატონი ენამზეობა დიასახლისობს. მრავალი ბნელი

საქმე მომხდარა ამ სავანეში. ხალხი ისევ მოელის მღვდელმთავრის განსვენებას, მაგრამ ხალხი მუდამ გულუბრყვილოა: ერთი განისვენებს, მეორე მოვა, მისი მსგავსი ათობით ბებერი მღვდელმთავარი დგას რეზერვში, წმინდა ტიარას შესაცქერის და ბუზებს იგერიებს წითელი ქუდით, რაზედაც ოცნებობდა, რაც ძვირად იყიდა. ხალხი დუმს. წყალობას ელის იმის ნაცვლად, რომ ქარიშხალს ელოდეს. რა ცვლილებაა ფიგურების გადაადგილება? ისინი უნდა გადახვეტო! მაშინ დასრულდება ჭადრაკის თამაში.

ცნობილია (და სასაცილოც): ყოველი ბონიფაციუსი, ყოველი ფორმოზა, ყოველი პიუსი თავს პირველ მოღვაწედ აცხადებდა. რომის პაპი მოწყალეა, სიმართლე კი მკაცრი. რომის პაპებს რომ უსმინო, გაგიჟდები კაცი! არასოდეს არ ყოფილა საქრისტიანო ასე ძლიერი, როგორც ჩემს დროშიო! მთავარი ესაა: ჩემს დროშიო! ტირანი რომ ასე თავის ქებას მოჰყვება, ეს ხომ მისი სიდუხჭირის სანდო საბუთია. მისი ნადიმი დასრულდება და ერთხელ კიდევ დამტკიცდება, რომ რასაც დასაბამი ჰქონია, მას დასასრულიც ექნება.

თუ ღმერთი ტირანებს ქმნის...

● არსებობს ერთი პოლინეზიური თქმულება. შვიდი კუნძულელი ოინბაზი ჰანგა-ჰიკიდან გავიდა, ჰანგა-ჰონუზე გადავიდა. იქ ნიღბები გაამზადეს, ჰანგა-ჰიკიში დაბრუნდნენ, ხმა შეიცვალეს და განაცხადეს: „ჩვენ ღმერთები ვართ!“. ხალხმა დაიჯერა. მიართვეს რაც კი რამ კარგი ებადათ. ასე დადიოდნენ სახლიდან სახლში, სოფლიდან სოფელში, კუნძულიდან კუნძულზე, და ყველგან დიდ პატივში იყვნენ. ხალხს მათი ეშინოდა და აძლევდა ყველაფერს, რაც გააჩნდა. ბოლოს ერთი მოხერხებული კაცი ქოხის უკან დაიმალა. გაშლილ სუფრასთან ღმერთებმა ნიღბები ჩამოიხსნეს და საკუთარი ხმით დაიწყეს თანამემამულეთა დაცინვა. ხალხი გამოცვივდა, მატყუარები ამხილეს და კოცონზე დაწვეს...

ეს კუნძულელები უფრო რადიკალური ხალხი გამოდგა, ვიდრე მთელი საქრისტიანო. ითმენს და ითმენს პაპობას, უსასრულო ტირანიას, ათასჯერ ნიღაბახდილი მატყუარები მაინც ღმერთები ჰგონია...

პაპობის რაობას ზედმიწევნით შეეფერება პერ გუნტის ირონი-

ული თქმა: „გზა იყოს მრუდე, გზა იყოს მრუდე, მე მაინც წავალ ამ ჩემი გზითა!“ ეკლესია არ ღალატობს თავის მეობას, არის „ის, რაც არის“.

იეღოვა თუ ქრისტე? იუდეველობა თუ ქრისტიანობა? მამა თუ შვილი?

კითხვა სამია, პასუხიც სამი:

— იეღოვა! — ამბობს იუდეველი.

— ქრისტე! — ამტკიცებს ღვთისმეტყველი.

— არც ერთი! — ფიქრობს ათეისტი.

დავა გრძელდება. ტირანები წააგებენ.

თუ ღმერთი ტირანებს ქმნის, მაშ თვითონაც ტირანია, და ასეთი ღმერთი პატივისცემის ღირსიც არაა, თაყვანისცემის კი არა.

თანამედროვე პაპობა ტირანიის შერბილებული, მისუსტებული სახეა. ეს გორგონა იღიმება, და მხოლოდ გულებს აქვავებს.

სადაც გასდის, ისევ ისე იქნევს ეკლესია ძველ მათრახს, ისევ ისე ერეკება ცხვრის ფარას ფარეხებში. მაგრამ სამწყსომ იკლო. ეკლესიაში ხალხმრავლობა აღარაა. მღვდლების შოვნაც უჭირთ. მსოფლიომ ვატიკანს ზურგი აქცია, მაგრამ ვატიკანს არ უქცევია ზურგი მსოფლიოსათვის. მართალია, ის ადამიანთა ფერფლზეა აგებული, ისევ იცქირებიან მისი ფანჯრებიდან ავხორცი პაპის ალექსანდრე ბორჯიას და მისი გახრწნილი ასულის ლუკრეციას ლანდები, ისევ ირევიან ცათა სწორი ტაძრის ეზოში გადარეული ულაყებისა და დევნილი ფაშატების აჩრდილნი, ისევ დაბორიალობენ ნაწამებ ადამიანთა მოჩვენებანი და განკითხვას ითხოვენ, მაგრამ მერე რა? საბოლოო მიზანი ხომ სამოთხეა? ამ მიზნისათვის ბრძოლაში ყველა საშუალება კარგია. სიკვდილი ჭადრაკს თამაშობს და აშამათებს ყველას. სიკვდილი ვის არ აშინებს? პაპს ასაკი არ უწყობს ხელს, მაგრამ გამოცდილი მოჭადრაკეა.

ჰაინე კი დაჟინებით იმეორებს: „ბევრი სასახლე შეირყევა, შეზანზარდება და დაიქცევა უამრავი ძველი ტაძარი!“ რატომ ძველი? პაპი ხომ ახალ ტაძრებსაც აშენებს? მერე რა, ახალიც ხომ ძველდება? — იტყვის პოეტი. „ღმერთმა შექმნა ადამიანი“, და რაკი ადამიანის მტარვალებსაც იგი ქმნის, ერთ მშვენიერ დღეს მისი ტაძარი დაცარიელდება. ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი პროტესტანტებსაც შეუტანიათ.

ვიტენბერგელი მეამბოხე და ბონელი პრეზიდენტი

● ერთხელ კიდევ შევიხედოთ ისტორიის სარკმელში. ჩვენს წინაშეა ვორმსის ეპისკოპოსის სასახლე, უკეთ—სასახლის ფერფლი და ფერგადასული წარწერა: „აქ იდგა მარტინ ლუთერი 1521 წელს იმპერატორისა და იმპერიის წინაშე". ამ განცხადებაში მოგონილი არაფერია. 38 წლის ავგუსტინელი ბერი, ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, ღრმად განსწავლული მარტინ ლუთერი 1521 წლის შუა აპრილში უბრალო ეტლით ჩავიდა საიმპერიო ქალაქში, რათა რაიხსტაგის სხდომას დასწრებოდა. მეგობრები ასეთ სახიფათო გზაზე გასვლას არ ურჩევდნენ. მართალია, სიტყვა მისცეს, უვნებლად გაგიშვებთ. რა დროსაც ინებებო, მაგრამ იმპერატორისა და პაპის სიტყვა რა დასაჯერებელია? 105 წლის წინ, კონსტანცის ყრილობის დროს, იმპერატორმა სიგიზმუნდმაც შეუვალობის სიგელი მისცა დოქტორ იან ჰუსს: მიიწვიეს და დაწვეს.

ეპვი თანგავდა ბიბილიის მთარგმნელს, გერმანელი სალიტერატურო ენის ხუროთმოძღვარსა და ჯიუტ ბერს, რომელმაც რომს ანთებული ჩირაღდანი ესროლა და ომი გამოუცხადა ინდულგენციებით ვაჭრობის საზიზღარ კომედიას. იმპერიის დიდკაცობა აღშფოთებული იყო: როგორ თუ უბრალო ბერი ქრისტეს მოადგილეს გადაუდგაო! დოქტორი მაინც წავიდა. სამეფო კარზე პატივით მიიღეს. 21 წლის კარლოს V-მ თავაზიანობით მოხიბლა. ერთ-ერთ მაგიდაზე ლუთერის შრომები ეწყო. ჭკუით საკმაოდ დუხჭირმა, მაგრამ სვებედნიერმა იმპერატორმა, რომელიც უფრო ტიციანის ფუნჯმა უკვდავჰყო, წიგნებზე მიუთითა და ღიმილით ჰკითხა, ხომ არ ინებებსო დოქტორი თავისი აზრების შეცვლას. არა, არ ინებებს! კარლოსმაც იგივე პასუხი მიიღო, რაც მეორე დღეს სეიმზე თქვა: „მე აქ ვდგავარ და სხვანაირად არ შემიძლია!" არ ვიცით, გალილეის არ იყოს, თქვა თუ არა ლუთერმა ნამდვილად ასე, მაგრამ, ასე კი მოიქცა, და ესაა მთავარი. თამამი ბერი არ ცნობდა პაპის ძალაუფლებას და კათოლიკურ დოგმებს ბიბლიის ავტორიტეტს უპირისპირებდა. მართალია, მისი რეფორმა ეკლესიის ჩარჩოებს არ გასცილებია, საერო გარდაქმნების მომხრე არც ოდეს ყოფილა, გლეხთა ომის დროს კი ჯერ განაცხადა, მოთხოვნები სამართლიანიაო, მერე ფეოდალებს მიემხრო და გადაისროლა ცნო-

ბილი დევიზი: „ვისიც ძალაუფლებაა, იმისია სარწმუნოებაცო“, მაგრამ ვორმსის სეიმზე — იმპერიის უზენაეს ორგანოს სხდომაზე — ის იყო რაინდი, სწავლული, დიდი რეფორმატორი, არსებითად პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის სულისჩამდგმელი, რომელმაც „მეხი სტყორცნა დენთის კასრს“ (ენგელსი). საკითხს პაპის თხოვნით იხილავდნენ; „ერესიარქ ავგუსტინელ ბერს“ განკვეთა და „უსისხლოდ დასჯა“ ელოდა. მის თვალწინ იან ჰუსის, იერონიმე პრაღელის, ვანინისა და ბრუნოს აჩრდილები დადგნენ, მაგრამ „ვორმსის ედიქტს“ მარტინ ლუთერი მეგობრებმა დროზე გაარიდეს. ის უკვე თავისი მფარველის — საქსონიის ჰერცოგ ფრიდრიხ ბრძენის ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა. ამბობენ, აქ ესროლაო ლუთერმა ეშმაკს სიწერელი.

ოთხნახევარი საუკუნის შემდეგ პროტესტანტებისა და კათოლიკების შერიგების მიზნით გამოჩენილმა გერმანელმა საერო და სასულიერო მოღვაწეებმა რომის პაპს „ვორმსის მემორანდუმით“ მიმართეს, წყევლის მოხსნა ითხოვეს, მაგრამ ვატიკანი მას დუმილით შეხვდა: მიცვალებულს ანათემა არ ეხებაო! გალილეის „აპატიეს“, ლუთერს — არა.

ლუთერმა თავისი საქმე გააკეთა.

გავიდა 450 წელი. 1967 წელს პატარა ქალაქ ვორმსში სახელმწიფო მოღვაწეები და კულტურის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. საიუბილეო ზეიმზე პროტესტანტმა კანცლერმა, სოციალ-დემოკრატმა გუსტავ ჰაინემანმა სენსაციური სიტყვა წარმოთქვა: „იესო ქრისტეს მოძღვრება რევოლუციური ძალაა“. იგივე თქვა ლუთერზე. „რა არის თანამედროვე მსოფლიოში ქრისტიანული რელიგიის მოწოდება? ისა, რომ ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა მხარეზე დადგეს“. როგორ, ფედერალური გერმანიის პრეზიდენტი — რევოლუციონერი? არა, ასეთი შთაბეჭდილების წინააღმდეგ გამოდიან თვით ლუთერი და ქრისტე, რომლებიც რევოლუციონერები არასოდეს არ ყოფილან. მართალია, ჰაინემანმა თავის დროზე დემონსტრატულად მიატოვა ადენაუერის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, როცა ვერმახტის შექმნა მოსთხოვეს, მაგრამ მარქსისტი ის არ გამხდარა და თავისი გამოსვლით მხოლოდ გააოცა, დააბნია და შეაშფოთა ევროპის უაღრესად კლერიკალური ქვეყნის — ფედერაციული გერმანიის მორწმუნეთა გონება. აქ თვით ლოგიკა ირღ-

ვევა: განა შეიძლება ჩაგრულად და ექსპლოატირებულად ჩაითვალოს მაგნატი, მილიონერი, რომელიც მუშასავით მორწმუნეა? თანამედროვე საქრისტიანოში ასეთ თავსატეხებს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით.

ღმერთი დაზგებთან

● აი ერთი მათგანიც. 1945 წელს პარიზში უცნაური მოძრაობა წამოიწყეს: ქუჩაში გამოვიდნენ ე. წ. მუშა-მღვდლები, დომინიკანელი ბერები, რომელთაც მიზნად დაისახეს სამუშაო ადგილზე ქადაგებით აღედგინათ მისუსტებული რწმენა და შეეჩერებინათ გასულ საუკუნეშივე დაწყებული „უღმერთობის ნაკადი". მოძრაობას მხარი დაუჭირეს პარიზის ეპისკოპოსმა და რომის პაპმა. სამასი ახალი „მოციქული" დაზგებთან დადგა, ფაბრიკა-ქარხნებში დანაწილდა და შეუდგა ქადაგებას: იწამეთ ღმერთი უფალი საბაოთი, მისი ძე და სულიწმინდაო! მაგრამ დაზგებთან ატუზულ ღმერთს ზედაც არავინ შეხედა. მუშებს სხვა დარდი ჰქონდათ: როგორ მოიპოვონ პური არსებობისა, როგორ გაძვირდა ხორცი, რით შემოსონ ცოლ-შვილი, და სხვა მიწიერი ამბები. მართალია, ადამიანი არა ოდენ პურითა ცხოვნდების, მაგრამ კაცმა ჯერ უნდა ჭამოს და მერე ღმერთზე იფიქროსო. ასე გავიდა ათი წელი. მისიონერები საგონებელში ჩავარდნენ და მალე ბერები მებრძოლებად იქცნენ. პაპმა პიუს XII სახიფათო ცდა აკრძალა. 15 მღვდელი ამ ვეტოს არ დაემორჩილა. ახალ პაპს იოანე XXIII მათ წერილით მიმართეს, წინამორბედის ბრძანების გაუქმება მოსთხოვეს. სასტიკი მამხილებელი წერილით დაშინებულმა კარდინალებმაც იშუამდგომლეს და პაპმა ვეტო გააუქმა მუშა-მისიონერებმა მუშაობა განაახლეს. სამი წლის შემდეგ პავლე VI გამოვიდა ცნობილი ენციკლიკით „პოპულარუმ პროგრესსიო" — „ხალხთა წინსვლა", რაც აღიარებდა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციის უფლებასაც კი. ჩაგრულთა თანამშრომლობა ეკლესიასთან? ესეც ახალი სასწაული! თითქოს წარსულს ჩაბარდა პიუს XII-ის ცივი ომის შავბნელი დრო... და ისევ იმედის გაცრუება! მუშა-მღვდლების წინამძღოლმა, პაპის პირადმა თეოლოგმა, პირველმა იეზუიტმა-კარდინალმა, გამოჩენილმა დოქტორმა ჟან და-

ნიელიუმ თავის გამოსვლაში საფრანგეთის ტელევიზიის მაყურებლებს აუხსნა თავისი აზრი და, მაშასადამე, ვატიკანის აზრიც: მუ-შები უღმერთობის გზას დაადგნენ, ეკლესიებში აღარ დადიან, ამიტომ ეკლესია უნდა მივიდეს მათთანო. მართალია: თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაჰმადი მივიდეს მთასთან! ძველი მუსულმანური სიბრძნე კარგად მიუდგა ქრისტიანულ-კათოლიკურ სამყაროს. ეს ასეა. მაგრამ თურმე თვითონ მუშა-მისიონერები დაადგნენ ცთომილების გზას: იმის ნაცვლად, რომ ხალხი მარადიული სასუფეველისათვის მოემზადებინათ, პირდაპირ პოლიტიკურ სამზარეულოში უკრეს თავი, ტვინი გამოუტენეს პურით, რაც სამ დღეში ობდება და ღვინით, რაც სამ დღეში მძაღდება. ეს ხომ ახალი ერესია! ნაბიჯი უკან! დაუბრუნდით პიუს მეთორმეტის ერას!... ამას ქადაგებს არა რომელიმე მოხეტიალე ბერი, არამედ განსწავლული იეზუიტი, კარდინალი, და ისიც არა მეცამეტე საუკუნეში, არამედ 1971 წლის ბოლოს! დანიელიუ მხოლოდ უფრო გულწრფელი გამოდგა. ვატიკანის ყველა დანარჩენი ღონისძიებაც ან 1891 წლის „რერუმ ნოვარუმის“ გაგრძელებაა, ან ამ რეაქციული კურსის ნიღაბი.

ავაზაკთა ქვაში

დიდი პანი მოკვდა! დღეს მხოლოდ მისი აჩრდილი აშინებს ცალკეულ გულუბრყვილო ადამიანებს.

შიშმა შექმნა ღმერთებიო, თქვა რომაელმა პოეტმა სტაციუსმა. შეიძლება დაემატოს: შექმნა ქვეშევრდომთა დასაშინებლადო.

მუდამ ასე იყო. მაგრამ მუდამ ასე იქნება?

ვატიკანის II ყრილობამ თითქოს დასაბამი მისცა კათოლიკური ეკლესიის „განახლების კურსს“, მაგრამ ვიმეორებთ, ბევრი არაფერი შეცვლილა. ძალაში დარჩა სახარების მთავარი მცნება: „არა არს ხელმწიფება გარნა ღმერთისაგან“ (პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 3, 1). ეს ნიშნავს, რომ ყოველ მიწიერ მბრძანებელს ზღუდავს მოხუცი ადონაი-საბაოთი.

დღეს აღარ არიან ბიბლიური მეუდაბნოეები. ან რა სახალისოათეული წლობით სადმე უდაბნოში დაყუდება და ლოდინი, როდის მოგიტანს ყორანი „უცომოს“, ნახევარ პურს, რაც მთელი დღე უნ-

და იკმარო, მერე ილოცე და ელოდე უფლის წყალობას! ეს მაშინ, როცა ამდენი აგარაკია, ამდენი ქალი!

რელიგია უძველესი მოვლენაა — იმდენადვე ძველი, რამდენადაც კაცობრიობა. მას ლამის მიწის გულამდე აქვს ფესვი გადგმული, ძნელია მისი ამოძირკვა. ზოგსა ჰგონია კლირი დასუსტდაო. არა, კლირი კი არ დასუსტდა, პროგრესის ძალები გაძლიერდნენ. მხოლოდ ესაა გამარჯვების საწინდარი.

შეიძლება პარადოქსად გვეჩვენოს, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ამ ბოლო წლებში მაინც გაიზარდა რელიგიისადმი ინტერესი. ინგლისის ახალგაზრდობის 66 პროცენტი მორწმუნე აღმოჩნდა. ირლანდიაში რეაქციონერი ელისეები ქადაგებენ და მზად არიან „ბრანგვებს“ შეაშამონ ყველა, ვინც ღმერთს არ იწამებს. ეს აღელვებს პროგრესის ძალებს.

ქრისტიანობის ზოგადი ავტორიტეტი თუ ტრადიცია ისე ძლიერია, რომ მისი ყალბი შარავანდედის დაფარვა უჭირს კოცონთა კვამლსა და სისხლის წვიმას, რაც მის მესვეურებს გამოუწვევიათ. ერთი ცნობილი მოღვაწე „წმინდა ბუნაგის“ გამოცემის გამო ამბობდა: „მეტად სასტიკად ექცევა ტაქსილი რომის პაპებს, სიწმინდის სიმბოლოებს, თქვენ ხომ იცით...“ დიახაც ვიცით და ამიტომ ვებრძვით. რაფაელისა და ელ გრეკოს ქრისტე არავის სძულს, ველასკესის პაპი კი... ჩვენ ფაქტებით ვლაპარაკობთ. წაიკითხონ და ნახონ, „რამეთუ ნეტარ არიან მორწმუნენი“. წაიკითხონ და მოაგონდებათ ერთი ესპანელი სატირიკოსის ეპიგრამა, უნიჭო მხატვარ პაჩეკოს კალმით ნაწამებ ქრისტეს რომ უძღვნა:

> რას დაღრეჯილხარ, ფერწასული, ჩასვენებული?
> ო, მაცხოვარო! მათხოვარი მგონიხარ ქუჩის!
> განა განცდილთა ჭირთაგან ხარ ასე ვნებული?
> არა, იესო! ეს დაღია პაჩეკოს ფუნჯის!

ქრისტე თითქოს კაცთმოყვარეობას, უბრალოებას, თავშეკავებასა და სათნოებას ქადაგებდა, მისი მოადგილეები კი დღესაც შიმშილს უქადაგებენ სამწყსოს. პაპის ჩვეულება ასეთია: ჩადის პროვინციაში, ზარ-ზეიმით ხვდებიან, იღიმება, ლოცავს, კულტურის ძეგლებს გადახედავს, სავსე სუფრას მიუჯდება, დათვრება და წასვლის წინ ხალხს ერთხელაც დალოცავს: კარგი განწყობილებით მივდივარო. გაბედნიერებული ცხვრები მის ქოშებს ემთხვევიან

და ერთხელაც არ ჰკითხავენ: შენ კი მიდიხარ, წმინდა მამაო, კმაყოფილი, მაგრამ ჩვენ თუ გვტოვებ კმაყოფილსო? თუ ის წმინდა მამაა, რად ქცეულა მისი სახელი რისხვისა და სისასტიკის სინონიმად? იესომ უთხრა იროდეს ჯალათებს: სიკეთისათვის მკლავთო? „არა სიკეთისათვის, არამედ გმობისათვის, რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ!" იგივე შეიძლება მორწმუნემ უთხრას პაპს.

პაპობა... ამაზე ოდესმე ილაპარაკებენ, როგორც გარდასულზე, ისტორიის მუხრუჭზე, კაცობრიობის პროგრესის გზის იმ მონაკვეთზე, რაც ჭაობზე გადის... ილაპარაკებენ იმ გორაკზეც, რასაც დღეს გარშემო ვატიკანის ზღუდე აკრავს. მაგრამ დღეს ჯერ კიდევ ბევრი ვინმე ლაპარაკობს ვატიკანზე, როგორც დაბნეული კაცობრიობის ხსნის ბურჯზე. ჩვენ რა აზრისა ვართ? პასუხი ისევ სახარებაში უნდა ვნახოთ. იქ სხვა სიბრძნეთა შორის ერთი ასეთი ადგილია: წმინდა ტაძარში სამსხვერპლო ცხვრებითა და მტრედებით ვაჭრობა იყო გამართული, „და შევიდა იესო ტაძარსა მას ღმრთისასა, და გამოასხნა (გამორეკა) ყოველი იგი განმსყიდველი და ყოველი რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი დაამხვა და დასასხდომლები იგი ტრედის-მოფარდულთა მათ დაუქცია. და ჰრქვა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს! ხოლო თქვენ გიყოფიესთ იგი ქვაბ ავაზაკთა" (მათე, 21,13). ფრიად საყურადღებო ეპიზოდია!

ტაძრიდან უღირსთა განდევნა — საანდაზოდ ქცეულა. თქმულს რაღა დაემატება? ბუნაგი ბუნაგად რჩება. „მისი სახელი ლეგიონია", რადგან მრავალი ეშმაკია შიგ მოკალათებული.

ბრუნოს ფერფლი ქარმა წაიღო, იეზუიტი იგნაციო კი დუდუნებდა: „ო, ჯორდანო, რატომ არ გწამდა ის, რაც ყველას სწამს?" დღეს შეგვიძლია ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ: ბრუნომ იცოდა, დადგებოდა დრო, როცა აღარავინ იწამებდა კერპებს, ამიტომ არ სწამდა.

დღეს ჯერ კიდევ მრავალს სწამს. მაგრამ უმრავლესობას ისიც სწამს, რომ ეს აბსურდია. ამიტომ იცინიან: პაპმა ღმერთს ჰკითხა, ჩემთვის სამოთხე როდის იქნებაო? — უკვე არისო! კარდინალებისათვისო? — ათი წლის შემდეგო. დიაკვნებისთვისო? — ოცი წელი უნდაო. ხალხისთვისო?—ამას მგონი ვერც მე მოვესწრებიო — ამოიოხრა ღმერთმა. ამ ათეისტური ანეგდოტის შემდეგ ბუნებ-

რივი იქნება ერთი უცნობი ესპანელი სატირიკოსის ეპიგრამაც გავიხსენოთ:

ღმერთო, ცოდვაში ჩავდგები,
წიგნს ვუძღვნი პაპებს — ვეშაპებს,
მაგრამ ვინ არის თავდები,
რომ არ ახლიან ეშმაკებს?

ახალი ზარები

● საუკუნეების განმავლობაში ირეკებოდა ეკლესიების ზარი. სამსართულიანი სამრეკლოები ხალხს საკურთხეველებისაკენ მოუხმობდნენ. რეკავდნენ და ქადაგებდნენ: „ძინ-ძინ-ძინ! მისმინეთ, მისმინეთ, მისმინეთ! გონება — ეშმაკის ბადეა! დედაკაცი არის ეშმაკის ქმნილება! სიცოცხლე არის ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო! მეცნიერება — მახეა ეშმაკისა! ძინ-ძინ-ძინ!"

დღესაც რეკავენ ზარები, მოაზროვნე ადამიანები ხალხებს მოუწოდებენ აზრის სამეუფოში, რომ ზღაპრები ბავშვებს დაუთმონ, ტირანიის კლასიკური სახე — პაპიზმი დაამხონ და სამოთხე მოაწყონ აქვე, დედამიწაზე, ლახვარი ჩასცენ ყველა სახის მატყუარას, რა ნიღაბსაც არ უნდა იყოს ამოფარებული დიდ საკაცობრიო კარნავალზე, რასაც გამოღვიძებული კაცობრიობის გონებისა და სინდისის ტრიუმფი ეწოდება.

ძინ-ძინ-ძინ! — რეკავენ ახალი ზარები. — არ დაიჯეროთ ბებერი სპრუტის შეგონებანი! გონება — ადამიანის გვირგვინია! სიცოცხლე — ბუნების უზენაესი წყალობაა და მისი წყალობით ადამიანი აღწევს ყველაფერს! ქალი მიწიერი ქმნილების სამკაულია! მეცნიერება ჩვენი ხვალინდელი დღეა! ენდეთ მათ! ძინ-ძინ-ძინ!

ამ ახალ ზარს რეკავენ იგივე კამპანელა, ბრუნო, ვანინი, ჰუსი და ჰაინე, დიდრო და ვოლტერი, ერაზმი და სპინოზა, რეკავენ პუშკინი და გორკი... რას იუწყებიან ეს ზარები? სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, დავიმოწმოთ გორკის სიტყვები: „ადამიანი და ღმერთი... ადამიანის სულში აკვნიდან კუბოს კარამდე იკრება შავი სპრუტი, აწამებს და არასოდეს არ აძლევს მოსვენებას. სპრუტი ითხოვს თაყვანისცემასა და სიყვარულს, კვებავს ყველაზე უფრო

გიჟურ უაზრობას, ცრუ და მაცდურ წარმოდგენებს, აღძრავს მწვავე შუღლს, აღვივებს ტლანქ ცრუ რწმენებს, საზიზღარ პირმოთნეობას. ამ მრავალსაუკუნოვანი და ძლევამოსილი სპრუტის — მეცნიერების, თავისუფლებისა და პროგრესის მტრის — სახელია რელიგია. მის წინააღმდეგ უნდა ავახმიანოთ სიტყვა, ზარიხ ხმასავით რომ გააღვიძებდა კაცობრიობას...“

აი, ამ ახალი ზარის ხმა ესმის ვატიკანს და საუკუნო ძილს უშფოთებს მღვდელმთავრებს.

ახალი სამრეკლოები მეცნიერების ტაძრებთან, მწერლობისა და ხელოვნების სასახლეებთან დგანან.

ჯერ კიდევ შექსპირი ამბობდა: სასწაულების დრო წავიდაო. მაგრამ ის არ წასულა, დღესაც კი, ატომური საუკუნის ხანაში. გამოდიან ახალი ნათელმჭვრეტელნი, ფანატიკოსები, მცხეთის ტაძარში მიეშურებიან, ბოდავენ, და გულუბრყვილო ადამიანებს სჯერათ მათი ჰალუცინაციები...

სიკეთისა და ბოროტის ბრძოლა არ დამთავრებულა. ბელგიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის იეზუიტთა ჟურნალი ამართლებს ჰიტლერს, ვატიკანი „დამსახურების“ ორდენს აძლევს პორტუგალიის საიდუმლო პოლიციის შეფს. გერმანელი ეპისკოპოსი მფარველობს ფაშისტ დამნაშავეს... ბრძოლა გრძელდება.

ვატიკანის უკანასკნელი ასი წელი არ არის პაპიზმის უკანასკნელი საუკუნე. ვატიკანის ისტორია გაგრძელდება მანამ, სანამ არსებობს ვატიკანი. კაცობრიობის წინსვლის რიტმზეა დამოკიდებული, როდის შეწყდება მისი ისტორია. როდის შეგვეძლება ვთქვათ: აღარ არის რომის პაპი, აღარ არის ვატიკანის სახელმწიფო, არის იტალიის თავისუფალი რესპუბლიკა. მაგრამ ეს მოხდება. ხვალ იქნება თუ ასი წლის შემდეგ, ეს უზენაესის ნებაა და იმ უზენაესის სახელია მოაზროვნე ადამიანი.

მაგრამ ჩვენ მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე ვართ. ახლა ერთ პატარა კომედიას ვნახავთ...

პატარა კომედია დიდ ყრილობაზე

● როგორც ცნობილია, 1054 წელს, ლევ IX პონტიფიკატის

დროს, რომმა შეაჩვენა კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიხეილ კერულარი, ხოლო პატრიარქმა თავის მხრივ შეაჩვენა პაპის ლეგატები და გახრწნილების წუმპედ გამოაცხადა რომი. პაპის ლეგატებმა განკვეთის ქაღალდი სოფიის ტაძრის საკურთხეველში შეინახეს.

ეს არის ისტორია. გავიდა 900 წელი. აღარც ლევ IX იყო, აღარც კერულარი. და აი, 1965 წელს, ვატიკანის მეორე ყრილობის დასკვნით სხდომაზე პავლემ გამოაქვეყნა ბულა, რომლითაც კონსტანტინოპოლის პატრიარქს ანათემა მოხსნა. პატრიარქმაც მოხსნა შეჩვენება რომის ლეგატებს. ასე მოხდა ორი ეკლესიის შერიგება. ეს იყო კომედია, გათამაშებული იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო ეკლესიის ტრაგედია.

ერთი წლის შემდეგ კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ინახულა პავლე VI და მოხდა XVI საუკუნეში გათიშული ეკლესიების შერიგება.

ამ უკანასკნელ ხანს პრესაში საგულისხმო ცნობა გამოქვეყნდა. ვენის არქიეპისკოპოსის წინადადებით რომის წმინდა კოლეგიას ვანუზრახავს გადასინჯოს გალილეის საქმე: დღეს ეკლესიამაც დაიჯერა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბზრიალასავით ტრიალებს. რატომ უნდა იყოს დასჯილი მხცოვანი მეცნიერი ამ ჭეშმარიტების მტკიცებისათვის? მართალია, ეს პროცესი წმინდა ინკვიზიციას უფრო ესაჭიროება, ვიდრე დიდ გალილეის... მაგრამ ეს ისტორიული მობოდიშებაც კაცობრიობის პროგრესული ნაწილის მონაპოვარია.

ყოველივე ეს ახალ ვითარებასთან შეგუების ცდაა. ამავე მიზნით უარყოფენ ახალი პაპები ომს, ქადაგებენ მშვიდობას. მაგრამ ეს უკვე ფარსია. პაპი ომს უარყოფს, მისი ეპისკოპოსები კი არმიებს• გზას ულოცავენ. ესაა მშვიდობა ქაღალდზე. ვატიკანი იყო და რჩება ცეცხლის გამჩაღებლად, პროგრესის მტრად. და თუ პაპების ვრცელ ამბავს მაინც კომედიით ვამთავრებთ, ამით მხოლოდ ვიბრალებთ მკითხველს, რომელსაც უთუოდ მოსწყინდა ამდენი ტრაგედია.

ორი ათასი წელიწადია, რაც ვატიკანის წმინდა ბუნაგიდან გაისმის ავბედითი ძახილი: „წყვდიჭდი! წყვდიადი!“ ორი ათასი წელიწადია, რაც ქვეყნიერების ყოველ მხარეში ქუხს ხალხთა მრის-

ხანე პასუხი: „სინათლე! სინათლე!“ ვატიკანის უკანასკნელი საუკუნე — ესაა რელიგიის დაისი. მაგრამ წმინდა პეტრეს ტაძარი ჯერ კიდევ კლდეზე დგას. კაცობრიობის მოწინავე ნაწილს კიდევ ბევრი მსხვერპლის გაღება დასჭირდება, რომ საბოლოოდ ამოძირკვოს სარეველა, ანგარიში გაუსწოროს უსასტიკეს რელიგიას, რომელიც მილიონების ძვლებსა და ფერფლზე აგებს საკურთხევლებს, და უკანასკნელი თავშესაფრიდან განდევნოს რომის პაპი — ბოთლში ჩაკეტილი ბოროტი ჯინი, სიცრუისა და სიწამხდრის ნისლად ქცეული ეშმაკი.

„არა იქორწინო!“

— როგორ, თქვენ კაცობრიობის გადაშენების მომხრე ხართ?— მიუგო ჯორდანო ბრუნომ ვენეციის ინკვიზიციას ერთ-ერთ კითხვაზე, ქალებთან რატომ მეგობრობდიო! — მე მიყვარდა ქალები და ეს არ მიმაჩნია დანაშაულად. თვით თქვენმა ღმერთმა შექმნა ქალიცა და სიყვარულიც. ეს ამრავლებს კაცობრიობას. ამით სულდგმულობს ადამის მოდგმა.

ეკლესიას თავისი მოსაზრება აქვს. მთავარია ქონება.

„არა კაც ჰკლა!“ „არა იმრუშო!“ — მოსეს სჯულის ამ ცნობილ მცნებებს ეკლესიამ დაუმატა სასტიკი მოთხოვნა: „არა იქორწინო!“ სასულიერო პირებს ეკრძალებათ ქორწინება. ცოლიანი მღვდელი ღვთისმსახურებაზე არ დაიშვება. ამას ეწოდება ცელიბატი, რაც ლათინურად უქორწინობას ნიშნავს (ცელებს — უცოლო). ამთავითვე აშკარაა მისი სიყალბე და მანკიერება, არაბუნებრივ ხასიათზე რომ არაფერი ვთქვათ. არც ერთი მღვდელი არ გაჩერდება საყვარლის გარეშე. ეს კი სიმრუშეა. რა ხდება აქ? პატიოსან ცოლშვილიან კათოლიკე მღვდელს ეკრძალება ღვთისმსახურება, ხოლო ვინც მრუშობს და არღვევს მეათე მცნებას, — ნება ეძლევა, რადგან ის შენიღბულია. კაცთა წინაშე ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ღმერთი ხომ ყოვლის მხილველია? აბრმავებენ? რატომ აყენებენ ღმერთს შეურაცხყოფას ღვთისმსახურნი? ამაზე პასუხის გაცემა გვიჭირს.

მართლაც და, რა წესია ეს? მღვდელს ეკრძალება ცოლის მოყვანა. სულერთია, აკრძალულ ხილს ის მაინც წაეტანება, თანაც ყო-

ველ ნაბიჯზე. იწყება თავაშვებული გარყვნილება, მრუშობა, ღალატი, სიძვა, უზნეობა — რასაც ეკლესია სიტყვით ებრძვის. წარმოიდგინეთ მილიონობით ღვთისმსახური — მათი რიცხვი წიგნის დასაწყისში მოგახსენეთ — მთელი არმია, რომელსაც ეკრძალება ქალის შერთვა, და დამეთანხმებით, რომ პატიოსნების ფარდაგების მიღმა რაღაც გრანდიოზული დანისლული საოსკიპო იხსნება. მაშ რანაირად? ბუნებამ წმინდა კავშირი დააწესა იმისათვის, რომ კაცთა მოდგმა არ გადაშენდეს, ადამიანი კი წმინდა კავშირს წმინდა უზნეობით ცვლის. ქორწინების ამ აკრძალვას მხოლოდ მაშინ ექნებოდა ერთგვარი გამართლება, რომ სასულიერო წოდება მემკვიდრეობით გადადიოდეს — იქნებ მაშინ მუქთახორების მოდგმა გადაშენებულიყო! მაგრამ შეიძლება მღვდლის შვილი გამოვიდეს მეომარი, მეცნიერი, მხატვარი, პოეტი... სწორედ აქ იფარება უქორწინობის მთავარი მიზეზიც: **საეკლესიო** მიწები გადავა **საეროთა** ხელში, ეს კი ეკლესიას ხელს არ აძლევს. ამას ემატება მეორე მიზეზი: უცოლშვილო მოძღვარი მორწმუნეთა თვალში წმინდანია, სამღვდელოება ინარჩუნებს შეუვალ ავტორიტეტს... მაგრამ გარყვნილება, რაც ცელიბატს მოსდევს, ხომ საერთოდ მიწასთან ასწორებს ეკლესიის ავტორიტეტს? მოკლედ, საითაც არ უნდა გავიხედოთ, წინააღმდეგობას ვაწყდებით, მაგრამ ვინც დოგმებითა და ძალადობით ბატონობს, მას წინააღმდეგობა არ აწუხებს.

ჯერ კიდევ VI საუკუნეში შეიტანეს ცელიბატი თავიანთ წესდებაში ბენედიქტინელმა ბერებმა, მერე პაპმა მხარი დაუჭირა — მამულები არ დაქუცმაცდებაო. კლიუნის რეფორმით XI საუკუნეში უქორწინობა ფაქტიურად დამტკიცდა, ხოლო XII საუკუნიდან დაკანონდა. კლიუნი ბენიდიქტინელთა მონასტერი იყო ბურგუნდიაში. მის მესვეურთა ეს სატანური გამოგონება ეკონომიურად ამაგრებდა ეკლესიას, სამუდამოდ უსაკუთრებდა მამულებს, ამიტომ სამღვდელოების ყველა პროტესტის მიუხედავად მას ვატიკანი საუკუნეების განმავლობაში მხარს უჭერდა და მხარს უჭერს დღესაც, როგორც ურღვევ კანონს. არ გჯერათ?

1966 წელს პავლე მეექვსემ გამოუშვა ენციკლიკა, რაც ძალაში ტოვებდა ამ დახავსებულ კანონს.

1970 წლის დასაწყისში ჰოლანდიის კათოლიკურ პრესაში 316 სტატია დაიბეჭდა ცელიბატის საკითხზე. უმრავლესობა პროტესტს

აცხადებდა. ეს იყო ნამდვილი აფეთქება კათოლიკურ სამყაროში (მართლმადიდებელი ეკლესია უცოლობას სავალდებულოდ უხდის მხოლოდ ბერებს, ასკეტებს, პროტესტანტები კი ცელიბატს უარყოფენ).

ჰოლანდიის წმინდა საბჭოს 106 წევრიდან 90 წევრმა უარყო ცელიბატი. ეკლესიის მეთაურმა, კარდინალმა და პრიმატმა ბერნარდ აფრინკმა საბჭოს გადაწყვეტილება დაადასტურა, რითაც დოქტორი დანილოუ გაანაწყენა. ამას დაემატა იმავე წლის იანვარშივე ბელგიის კარდინალის სუენენსის მიმართვა პავლე მეექვსისადმი: ცელიბატი უნდა გაუქმდესო! ამერიკაში ბრაზილიის სამღვდელოებამ უცერემონიოდ აქცია ზურგი უცოლობის მცნებას, წირვაზე ცოლიანი მღვდლები გამოცხადდნენ და არცერთი ეკლესია არ დანგრეულა. დემოკრატიული გერმანიის 84 კათოლიკე პროფესორმა მთელს ევროპას მოუწოდა, ცელიბატის წინააღმდეგ გაილაშქრეთო. მოთხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ ეს კანონი ეკლესიის ისტორიაში მუდამ სავალდებულო არ ყოფილა, და ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება სჯობს ცელიბატის შენარჩუნებასო.

საქმე განხეთქილებამდე მიდის. ვატიკანი ვეღარ ერევა პერიფერიებს. კათოლიკური პროვინცია დრტვინავს, მოძღვარი ქორწინების უფლებას ითხოვს.

მართლაც და, თუ თვითონ იესო ქრისტეს ქალების ამალა დაჰყვებოდა, თუ მისი უახლოესი მეგობარი იყო მარიამ მაგდალინელი, რომელმაც მიატოვა ქმარი პაპუსი, ოფიცერს გაჰყვა, ქალაქ მაგდალაში გაიქცა და არ მოისვენა, ვიდრე ამ ქალაქის ყველა მამაკაცის სარეცელი არ გაიზიარა, — რატომ არ უნდა იყოლიონ კანონიერი ცოლები ქრისტეს მსახურებმა?

ვატიკანი, გამოუვალ თუ არა, მძიმე მდგომარეობაში მაინც აღმოჩნდა. არის საფრთხე, რომ ცენტრალური კურიის ძალაუფლება შეიზღუდება, პაპი ვეღარ გაუწევს კონტროლს კათოლიკურ სამყაროს.

ამაოდ ქადაგებს ცნობილი იეზუიტი, ღვთისმეტყველების პროფესორი, კარდინალი ჟან დანილოუ: ცელიბატის შენარჩუნება აუცილებელია ეკლესიის ერთიანობის დასაცავად, ანარქიის დასაძლევად, „წმინდა მამის გარშემო დასარაზმავადო". ეს თეორიული მსჯელობა სუსტი ნუგეშია მღვდლისათვის, რომელიც ნათლობიდან ან წირვი-

დან თუ ქორწილიდან შინ დაბრუნდება და ცივ ლოგინს გადახედავს...

დანილოუმ ყალბი უწოდა კარდინალ ალფრინკის გადაწყვეტილებას. პასუხად კარდინალმა უარი თქვა განზრახვაზე, რომ ვატიკანს სწვეოდა.

ვატიკანი საგონებელში ჩავარდა. თუ გადაუდგება ბელგია, ჰოლანდია, გერმანია, ბრაზილია, თუ განმეორდება ლუთერის ამბავი, კონტროლი ვერ გაუწია კარდინალთა და საბჭოების მოქმედებას, — ხომ განქარდება პაპის სახელმწიფოს ავტორიტეტი! მერე, ცელიბატით ხომ არ ამოიწურება მისი სიძნელეების სერია! „ობსერვატორე რომანის" ბევრი საზრუნავი აქვს.

პავლე VI იძულებული გახდა შემარიგებლის როლში გამოსულიყო, დილით ნათქვამი საღამოს გადაეთქვა და „ცალკეულ შემთხვევებში" მღვდლებისათვის ქორწინების უფლება მიეცა. ეშმაკს შესაძვრომი ხვრელი გაუჩნდა. ესეც მორიგი ბზარი! კარდინალი ამბობს: „არა იქორწინო? არა, იქორწინო!"

ბუნებრივია: თუ სიყვარული იმარჯვებს ეკლესიის გარეთ, რატომ არ უნდა გაიმარჯვოს ეკლესიაში? მთელი ცდის მიუხედავად, საქმე იქით მიდის, რომ სიცრუისა და ძალადობის მთელი სისტემა ადრე ფუ გვიან ისტორიის კუთვნილებად იქცევა. მაშინ იზეიმებს ჭეშმარიტების ღმერთი წყვდიადზე გამარჯვებას და გენიის ქმნილებათა მუზეუმად იქცევა კლდეზე აშენებული პეტრეს ტაძარი. ამით არაფერი დაშავდება, რადგან ტაძარი კლდეზევე დარჩება. ისევ ისე აღტაცებით, ისევ ისე მოწიწებით შეხედავენ მორწმუნენი — ადამიანის ნიჭის მორწმუნენი — და იტყვიან: რელიგია წარმავალია, ხელოვნება კი მარადიულია.



შ ი ნ ა ა რ ს ი

ვატიკანი — რეაქციის ბუნაგი 8
პოეტები და პაპები 8
ისტორია გრძელდება 14
საუკუნის სარკმელში 17
როგორ იქცევიან ლეგენდები დოგმებად 21
ლეო ტაქსილის სასამართლო პროცესი 24
ნათლის სვეტმა ვატიკანშიც შეაღწია 26
ლეო XIII და იმპერიალიზმთან შეგუება 27
სიტყვით მისიონერი — საქმით მილიონერი 29
„მუშათა პაპი" 32
პიუს X—ერთიულების არჩეული ,მილიონების შეურაცხმყოფელი 36
დიპლომატიური მარცხი 38
რომის პაპი ურიგდება იტალიის მეფეს 40
„მსოფლიო ომის პირველი მსხვერპლი" 41
ბენედიქტე XV — გულმაგარი პაპი 42
პიუს XI და „რომის საკითხი" 47
რელიგია — „ცივილიზაციის საფუძველი" 48
ჯვაროსნული ლაშქრობა 50
პიუს XI, მუსოლინი, ჰიტლერი და ფრანკო—ძმადნაფიცი ბანდიტები 51
მადონა ტანკზე 53
ალბიგოელები და... კომუნისტები 54
ჯვარი და სვასტიკა 55
«Habemus papam» 57
„ახალი წესრიგის" ძველი ბურჯი 59
„მხოლოდ ჰიტლერი იცავს ახალ ევროპას!" 60
რატომ დუმდა პაპი? 63
პიუს XII პასპორტს აძლევს 6 000 000 კაცის მკვლელს 64
„ონდექს ლიბრორუმ პროჰიბიტორუმ" 65
მაიმუნი... წმინდა სამსჯავროზე 67
ფილეტოს ტრაგედია და მიუნხენის კომედია 68
პიუს მეთორმეტის პორტრეტი 69
იოანე XXIII — ვატიკანის ახალი კურსი 70
უკან, პიუსების ბუნაგში! 74
პავლე VI, ატომის საუკუნის პაპი 76
ვატიკანის მეორე საეკლესიო ყრილობა 77
ქრისტეს რომ ენახა... 79

პაპის დუქანი 80
წუმპე... წმინდა ტახტის ჩრდილში 82
მოკვდა ერესი? 83
მოგზაური პაპი 85
შავი აფრიკა — გემრიელი ლუკმა 87
ვატიკანის დიპლომატია 88
პაპის გვარდიის აღხსრული 91
დმერთი მოკვდა — გაუმარჯოს ღმერთს! 93
ბალთაზარის ნადიმი 94
ვიტენბერგელი მეამბოხე და ბონელი პრეზიდენტი 98
ღმერთი დაზგებთან 100
ქვაბი ავაზაკთა 101
ახალი ზარები 104
პატარა კომედია დიდ ყრილობაზე 106

რედაქტორი გ. სახაროვი
გამომცემლობის რედაქტორი მ. ვარდოსანიძე
მხატვრული რედაქტორი მ. ჭანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ობოლაძე

გადაეცა ასაწყობად 13/V-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/X-72 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 7
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35
შეკვეთა № 1836 ტირაჟი 30.000 უე 12055

ფასი 17 კაპ.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Тип. изд-ва ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина, 14.